

საგჟოთა ზელთვნება

ISSN 0152-1307

გეოგრაფიკული
გინგლითვა

5
1988

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
უძველესი პურნალი



მთაბარი. ესაუბრის
მსპალუსი. დიახ, ბატონო.
მთაბარი. მე რომ მოვდე და ქვეანს
განსაგლო ახლავ
მეცხე

უილიამ შექსპირი

საწყაული საწყაულისა ვიღ

5 მოქმედება

მოქმედი პირები

ვინჩენცო, ეენის მთავარი.
ანჯელო, მთავრის ნაცვლი.
მსპალუსი, მოხუცი დიდებული.
კლავდიო, ახალგაზრდა აზნაური
ლუციო, პეწენიკი აზნაური
პირველი აზნაური.
მომრა აზნაური.
ცინის უფროსი.
პედრა } ბერები.
თოგა }
მოსაბართლე
პირიანი
ილაჰი, კონსტებლო.
ჰაში, ქარაფშუტა აზნაური.
კომპი, ქალბატონ გაყვეთლენ მსახური.
საზარელი, ვალთი.
პარნარინი, თავზეხელაღებული პატიმარი.
იზაბელა, კლავდიოს დაი.
მარინან, ანჯელოს საცოლუ-
ჯულინაბა, კლავდიოს შეყვარებული.
ფრანისკა, მონაზონი.
ქალბატონი გაცვითილი, დალალი.
დიდებულეპი, გუშაგაპი, მოქალაქენი, გიმი,
მსლაბლეპი.

მოქმედება — ეენაში

მოქმედება პირველი
სურათი პირველი

დარბაზი მთავრის სასახლეში.
შემოღიან მთაბარი, მსპალუსი, დიდებულეპი
და მსლაბლეპი.

ვიცი, წყლის ნაუვა გამოშავა, რადგან
შენ გაცილებით ჩემზე უკეთ მოგეხსენება
და ჩემი რჩევა-დარიგება ვერაფერს შეგძენს.
ამასლა გეტყვი, რომ ეს ცოდნა-გამოცდილება
შენი ღირსების შესაუერად გამოიყენო.
ჩვენს ხალხს, მის ჩვევებს, მის ბუნებას, ჩვენი
ქალკის

გამგებლობასა და კანონებს შენ კარვად იცნობ
და სხვა არცა ვინ შეგულება ტოლი დაგაღოს.
მამ, შეუდექი. აჰა, ჩემი რწმუნებულება.
მტოციედ მიჰყევი, იმედი მაქვს, არ გადაუხყე. —
აჰა, ანჯელოს დამძახეთ! (გადის ერთ-ერთი მსლე-
ბელი). შენ როგორ ფიქრობ,
ჩემს შეცვლას იგი მოახერხებს? პირდაპირ გეტყვი —
გულმა იმიკენ გამიწია, ჩემს აოუოფნაში,
გადაწყვიტე, რომ ჩემს შემცვლელად იგი დავტოვო.
მას ვანდო ჩემი მრისხანებაც, გულმონყალებაც,
მას ჩავაბარო მთელი ჩემი ზეღისუფლება.
რას მტყვი, აჰა?

მსპალუსი. მთელს ვენაში თუკია ვინმე,
ღირსი ასეთი პატივისა და დიდებისა,
ლორდ ანჯელოზე ითქმის ესა.
მთაბარი. აგერ, ანჯელოც.

(შემოღის ანჯელო).

ანჯელო. მარადუასი შენი ერთგული და
მორჩილი მონა,

შენი ბრძანების მოსასმენად მოვედი ახლაც.
მთაბარი. ისე გულღია ხარ, ანჯელო, რომ
შენს ბუნებას,

მთელს შენს ცხოვრებას კაცი ზღლად ამოიკითხავს.
მაგრამ ეგ შენი სიკეთე და გულმონყალება
შენ არ გეკუთვნის მარტოდმარტო, რომ ფუქად
ფლანგო.

აკი სანთელსაც მისთვის ვანთებთ, რომ გაგვიანთოს —
ჩვენც ასე ვგზარობებს, ჩვენგანაც ამას მოითხოვს ზეცა:
შენი სიკეთე სხვასაც თუ არ გაუნაწილე,
გინდა გქონია ეგ სიკეთე, გინდ არ გქონია,
მალალი სული მალალ მიზნებს ემსახურება,
თვითონ ბუნება, ხელმომიკრე ქალღმერთის მსგავსად
ნამცეცი რაა, ნამცეცხაც კი არას გეობოქებს,
თვის მადლს ისე :რ გადირსებს, თუ არ მივაგეთ
ამის სანაცლოდ მადლობაცა და სარგებელიც...
ნეტა რას გმოძღვრავ, როცა ძალგის აქეთ მასწავლო
ახლა მისმინე:

ჩემს აოუოფნაში შენ იქნები ჩემი შემცვლელი:
მოკედინებაც და შეწყალებაც აქ, ამ ქალაქში,
შენი გულისა და ენისთვის მე მომინდვია.
მოხუც ესაუღუსს — თუმც ეკუთვნის მეტი პატივი —
შენ თანაშემწედ დაგინიშნავ. აჰა, გადმოგეც
რწმუნებულება.

ანჯელო. ჩემო კარგო, დიღო ბატონო,
ერთხელაც კიდეე გამოსცადე ჩემი ფოლადი,
ვიდრემდე მასზე ამ დიდებულ ზატს დააქედედე.
მთაბარი. აღარას გარგებს თავპატივი,
შენი დანიშვნა

საგულდაგულოდ მოვიფიქრე და გადაწყვიტე.
შენც შეუდექი პატივსაღებ საქმეს ახლაც.

იხე ანაზღად და სასწრაფოდ მივემგზავრები, რომ ბევრი დიდი საქმე მრჩება გადასაწყვეტი. დროდადრო, როცა მოვიცლი ან საქმე მოითხოვს, შეგატყობინებ ჩემს საქმეებს და აქაური შენი ამბებიც უსათუოდ გაამაგებინე. მშვიდობით იყავ, გტოვებ ახლა იმის იმედით, რომ საქმეს კარგად გაუძღვები ჩემს არყოფნაში.

ანჯელო. ცოტაზე მაინც ვაგაცილებთ,

ჩემო ბატონო.

მთაპარი. დრო აღარა მაქვს, მეჩქარება. გულმტკიცედ იყავ, არა გმართებს ბევრი ქოქმანი, შენც ჩემნაირი უფლებებით ხარ აღტურვილი, ხან გააკაცრებ კანონებს და ხან შეარბილებ — როგორც საქიროდ დაინახავ და გული გიტყვის. ხელი მოშე. საიდუმლოდ მივემგზავრები. ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი, მაგრამ არ მინდა, იმათ წინაშე საგაპებოდ გამოვმწიგულდე. ვიცო, ასეა მიღებული, მაგრამ ვერ ვიტან, როცა სიყვარულს ტარსისკვით და ზარზეიმით გეფიცობან, არცა მგონია, ასეთი რაშე კვავთაშყოფელ კაცს შეებას პგვრიდეს. აბა,

მშვიდობით!

ანჯელო. ზეცამ მშვიდობა, გამარჯვება

ნუ მოგიშალის.

მსპალუსი. კარგად ყოფნა და ბედნიერად შინ დაბრუნება.

მთაპარი. მადლობელი ვარ, თქვენც მშვიდობა (გადის).

მსპალუსი. ნება მიბოძეთ, გულახდილად გელაპარაკოთ — მინდა გავიგო, რა საქმე მაქვს, რა შევალება; ძალუფლება კი მომეცა, მაგრამ არ ვიცი — ან რა ძალა მაქვს ბოძებული, ან რა უფლება. ანჯელო. მეც მაგ დღეში ვარ. გამოშევიტო,

ნულარ გადავდებთ

და ერთობლივად გადაწყვიტოთ სულყველაფერი.

მსპალუსი. როგორც თქვენ მეთვით. (გადიან).

სურათი მეორე

ქუჩა. შემოდინა ლუციო და ორი დიდებული. ლუციო. თუ ჩვენი მთავარი, სხვა მთავრებთან ერთად, უნგრეთის მეფეს არ დაუზავდა, მაშინ, თქმა არ უნდა, მთავრები პირს შეტარავენ და მეფეს დაესხიან. პირველი დიდებული. ზეცასა ვოხოვ, ყველა! მოგვივიტონოს მშვიდობა და უნგრეთის მეფეს კი — არა!

მეორე დიდებული. ამინ! ლუციო. შენ იმ ფარსევულ მეკობრესავით გამოგლის, ზღვაში ათი მცნება რომ გაიყოლა თან და ერთი კი იმ ათი მცნებიდან წინდაწინვე ამოშალა.

მეორე დიდებული. „არა იქურდო?“ ლუციო. ჰო, ეს ამოშალა.

პირველი დიდებული. აბა, რა უნდა ექნა — კაპიტანი და მისი მეზღვაურები საქურდლად იყვენენ გასულიდნ, ეს მცნება კი ქურდობას უკრძალავს. ერთ ჩარისკაცსაც ვერ ნახავ ჩვენ შორის, რაიმე შეებას; პგვრიდეს მშვიდობისათვის ადვლენილი ვედრება, სადილის წინ ლოცვაში რომ წარმოთქვამს.

მეორე დიდებული. ჩემს დღეში არ გამიგონია, ჩარისკაცს ეს არ სიაშოვნებდეს.

ლუციო. მგერა, შენს სიცოცხლემი აღბაღ ერ-
თხელაც არ გექნება ლოცვა მოსმენილი, პირველი
მეორე დიდებული. რა ბრძანებაა, რატომ თორ-

მეტჯერ არა! პირველი დიდებული. როგორ, ლექსად?

ლუციო. თუნდაც ლექსად, თანაც, რომელ ენა-

ზედაც გინდა. პირველი დიდებული. ღა რომელ რელიგიაშიაც.

ლუციო. რატომაც არა. წყალობა წყალობა, რაც უნდა დავა ჰქონდეთ ერთმანეთში, რალა შორის წვი-
დეთ — შენ ხომ გამოუსწორებელი არამზადა ხარ,
რამდენიც არ უნდა ილოცო.

პირველი დიდებული. ჩვენ ორივე ერთი ნაქრი-
საგანა ვართ.

ლუციო. ჰო, რა თქმა უნდა — როგორც ნაწიბურიც და ხავერდი, შენ ნაწიბური ხარ.

პირველი დიდებული. შენ კი ხავერდი ხარ, დიდებული ხავერდი. მაგრამ მირჩენია ინგლისური ხე-
შეში ჭვალის ნაწიბური ვიყო, ვიღრე შენსავით ბუ-
სუსდაყრილი ფრანგული ხავერდი. მიმიხვდი, რას
გუებები?

ლუციო. რა ძნელი მისახვედრი ეგ არის, თვითონ-
ვე გამოტედი, რაცა გპირს — ლაპარაკე გტუტობა,
ძალიან გაუმწარებინხარ. ამის შემდეგ რადენიც არ
უნდა ვიცოცხლო, არ დამვიწყდება: შენ რომ მო-
სვამ, იმ ქიქით აღარ დავლიო.

პირველი დიდებული. ეტყობა, რალაც შემეშალა —
მე თვითონ ვაფიფუქე საქმე.

მეორე დიდებული. ასეა. მაგას აღარაფერი ეშვე-
ლება — გინდა ნამდვილად გპირდეს და გინდა არა-
ლუციო. შეხედეთ — ქალბატონი დამრწყულებუ-
ლი მოვლის.

პირველი დიდებული. მაგის ქერკვეშ იმდენი სენი
ამიციდება, რომ...

მეორე დიდებული. მაინც რამდენი?

პირველი დიდებული. აბა თუ გამოიცნობ!

მეორე დიდებული. სულ ცოტა, სამი ათასი, წე-
ლიწადში...

პირველი დიდებული. რას ამბობ, მეტი!

ლუციო. ერთი ფრანგული კრონით მეტი.

პირველი დიდებული. სულ რალაც ავადმყოფო-
ბასა მწამებ, მაგრამ ვერ მოგართვებს. ვერა ხედავ; რა
მაგარი და რიხიანი ვარ.

ლუციო. შენ ჭანის სიმართლედ იყითებ, თორემ ეყე-
ლაზე რიხიანი ფულურო ხეა, ძვლები ფურტურო გა-
გიხდა, ამდენმა უკულმართობამ ტაშფანდურად გექ-
ცია.


(შემოდის ქალბატონი ვაკვეთილი)

პირველი დიდებული. როგორა ბრძანდებით, უფ-
რო მაგრად რომელი თეძო მუშაობს?

ბავშვითილი. რა დროს ეგ არის, ეგერ, ერთი ბიკი
დაიქირებს და ციხეში წაიყვანეს, თქვენ ხუთათასქერა
გქობთ.

მეორე დიდებული. ვინ იყო, გვითხარი მაინც.

ბავშვითილი. ვინა და კლავდიო, ხანითორ კლავდიო.
პირველი დიდებული. კლავდიო დააპატიმრეს?!
რასა ჩმახავ!



ბაცვათილი. მართლს გუებნებით, ჩემი თვლით დავინახე, როგორ დააპატომრეს, ციხეში როგორ წაიყვანეს. მაგრამ, რაც მთავარია, სამ დღეში თავი უნდა გაავადინონ.

ლუციო. რაც ჩვენ აქ ვილაზნადარეთ, ამას აღარ მოველოდი. დარწმუნებული ხარ, რომ ასე მოხდა?

ბაცვათილი. ისე დარწმუნებული ვარ, რომ მეტი არ შეიძლება. თანაც რისთვის — ქალბატონ ჭულიეტას ბავშვი გაუჩინა.

ლუციო. ო-ო, მჭერა, მჭერა. ორი საათის წინ უნდა შევხედროდი. თავის დღეში სიტყვა არ გაუტეხია.

მომად დიდებული. თანაც, ხედავ, რასაც ჩვენ ახლა აქ ვლაპარაკობდით, იმას მავს!

პირველი დიდებული. მთავარი კი ისაა, რომ ახალ ბრძანებს ემთხვევა.

ლუციო. წავიდეთ, ერთი, ვნახოთ, რა მოხდა. (გადიან ლუციო და დიდებულები).

ბაცვათილი. რა გამოვიდა, ეს ომით, ეს ქირით, ეს სახრჩობელაო, ეს უფულობაო, მუშტარი აღარ შემარჩა.

(შემოდის პომპი.)
მოხვედი? რა ამბავი მოიტანე.

პომპი. ეგერ ერთი კაცი ციხეში წაჩიქიქიეს.

ბაცვათილი. რა ვქენით?

პომპი. ქალი.

ბაცვათილი. მაინც რა დააშავა?

პომპი. აკრძალულ მდინარეში კალმახს ეძებდა.

ბაცვათილი. რაა? ბავშვი გაუჩინა გოგოს?

პომპი. არა, ქალს გოგო გაუჩინა. ახალი ბრძანება არ გაგვიცა?

ბაცვათილი. რა ბრძანება?

პომპი. რაც კი ვენის გარეუბნებში სახლებია, ხელ უნდა აიღონ.

ბაცვათილი. შიგ ქალაქში?

პომპი. ქალაქში არა. იმათაც დანგრევენ, მაგრამ ერთი ჭკვიანი ბიურგერი გამოქმდამა.

ბაცვათილი. დავიჭერა, უველა საროსიკოს და გვინგრევენ გარეუბნებში?

პომპი. მიწასთან გაასწორებენ, ქალბატონო.

ბაცვათილი. მაშ უველაფერი თავდაყირა დაუყენებიათ. მე რაღა მეშველება?

პომპი. ფიქრი ნუ გაქვს. კვი ვეკლს კლინტი არ გამოელევა. ადგილს შეიცვლი, ხელობას კი არ გამოიცვლი, მე არ მოგშორდები — კვლავ შენი თანაშემწე ვიქნები. მაგრამ დადექ! შეგიცოდებენ. თვლები ამ საქმეში ამოგიღამდა, ამაგს არ დაგვიწყებენ.

ბაცვათილი. აქ რაღას ვუდგევართ, თომას ტიპსეტერ. წამო, წავიდეთ.

პომპი. აგერ, ციხის უფროსს კლავდით მიჰყავს ციხეში, ჭულიეტაც აქ არის.

(შემოდან ციხის უფროსი, კლავდით, ჭულიეტა და ჭაროსკაცები)

კლავდით. რას დამატარებ ქუჩა-ქუჩა, ქვეყნის საცქერად.

ბარემ ციხეში წამოყვანე, როგორც გიბრძანეს. ციხის უფროსი. ანჯელოსაგან საგანგებოდ გეკვებს ნაბრძანები —

ნურც კი იფიქრებ, შენთვის ცული რამე მინდოდეს.

კლავდით. თავი ღმერთებდა დაუსახავთ ქვეყნის მმართველებს

და ცოდვებისთვის ისე გვსჩიან, ვით ზეცის მკვიდრნი; თუკი იწებებს, შეიწყალებს, თუ არ იწება, მაშინ ბრალდებას დაუშემიბებს, მის ნებაზე

(შემოდან ლუციო და ორი დიდებული)
ლუციო. მართლა შეგიპყრეს, პა, კლავდით? რაე იყო ევა?

კლავდით. თავისუფლებამ, მეტისმეტმა თავისუფლებამ.

ზედმეტ სიმაძრეს მარხვა მოსდევს, ხოლო მეტისმეტ და თავაწყვობა გაღალატებს — მკაცრი შეზღუდვა. ვირთაგები რომ შხამს მსუნაგად მიაძღებიან, ჩვენც ისე მოვალის — ბორცობას დავწყვებით და სანვ ბოლოს მოვკვებდეს, ესვამთ დახარბებით.

ლუციო. დააპატომრეს რომ ასეთი ბრძნული ლაპარაკი შემეძლოს, ახლავე მოვავანინებდი ჩემს მოვალეებს. თუმცა, გამოიტყულები, თავაწყვობილი სილაღე მირჩენია ციხის ბრძნულ შეგონებებს. მაინც რა დააშავე, კლავდით?

კლავდით. მაგისი განმეორებაც კი ახალი ცოდვა ექნებოდა.

ლუციო. მოკალი ვინმე?

კლავდით. არა.

ლუციო. გარყვნილება ჩაიდინე?

კლავდით. ასე ვუწოდოთ.

ციხის უფროსი. გაიარეთ, გაიარეთ, უნდა წავიდეთ.

კლავდით. ცოტაც მაღროვე, მეგობარო, ლუციო, ერთი სიტყვა მაქვს საიქმელი.

(გვერდზე მიდგებიან.)

ლუციო. ნეტა კი რამე გიშველო და თუნდ ასი იყოს. გარყვნილებისთვის ნუთუ ასე მკაცრად სჩიან?

კლავდით. აი, რა მოხდა: როგორც ქმარმა, კანონიერმა

მე ჭულიეტას სარცელი გაეზიარე. შენ იცნობ ამ ქალს — იგი ახლა ჩემი ცოლია, თუმცა ჭკრისწყერა წესისამებრ ვერ მოვაწარით: გვინდოდა, მზითევს, რასაც მამა თავის ქალიშვილს სვიგრძობ უნახავს, ცოტა მაინც მომატებოდა; ჩვენს სიყვარულსაც ამის გაიო ემაღავდით ღრომღე მარჯვე შემთხვევის მოლოდინში.

მაგრამ მოტყუედი — ჩვენი ფარული აღიერის და ტრფილის კვალი ცხადად დაეთუო ჭულიეტას.

ლუციო. ბავშვსა გულისხმობ?

კლავდით. საუბედუროდ, ასე მოხდა.

მთავრის ნაცვალი — იქნება თავის გამოჩენის ხარბი სურვილით, როგორც ეს ახლებს მოსდით ხოლმე; ან სახელმწიფოს მართლაც ცხენად თუ წარმოვიდგენთ, მაშინ, იქნება, ამხედრებული ახალბედა მხედარი მასზედ, სახლს რომ აჩვენოს, ცხენს რა მარჯვედ ვანავარდებო, დეშებს მალიმალ გამეტებით ანოპკრავს ხოლმე; ან, იქნება, სულაც დაბადებით მტარვალთ იყოს, ან განდიდების მოტრფილა... ვერ ვიტყვი, რატომ, მაგრამ აუ ახალგაომცხვარმა ჩვენმა მთავარმა ძილსმიცემული კანონები კვლავ გააღვიძა, სიძველისაგან დაუნაგებულ საქურთლის მსგავსად, უქმად კედელზე რომ ეკიდა და კაცის ხელი —

აგრ ცხრამეტი ზოდიაქო ისე გაიქცა — არ შეხვებია, არავისთვის დასკრებივითაო, ახლა, თავი რომ მოიწონოს, ძალა გვაჩვენოს, ეს უავღასული კანონები მე მომიყენა და იმითა მსჯის, — რა თქმა უნდა, ძალას გვაჩვენებს. **ლუციო**. ნამდვილად ასეა. ისე უნაყლებს ახლა შენი თავი შენსავთუ კისერზე, რომ შეეყარებულმა მერძევე გოგოშ ერთი რომ ამოიზაროს, გადაადგდეს. მითავართან იჩიოდე, კაცო გაუგზავნე.

კლავდიო. განა არ ცვადე, მაგრამ მითავარს ვერსად მივანგს.

ახლა რასა გზოვ: ჩემს დას ნახვად დღეს მონასტერში — მონაწენად უნდა აღიკვეციოს — გააგებინე. რა დღეში ვარ და რა მომელის. ჩემი სახელით სხოვზე, მივიდეს ჩვენი მითავარს გულქვა ნაცვალთან და შეეფედროს, ნახოს ერთი, რას მიპირებენ. დიდი იმედი მაქვს ამისი. უმაწვილი ქალის მორქალაბული და უსიტუვი მერძეველებმა კი შეარხვეს ხოლმე მამაკაცებს, ჩემს დას მით უფრო, უნარი შესწევს, გონიერულად დაუხაბუთოს.

და დარწმუნოს. **ლუციო**. ნეტა კი მართლა მოახერხოს — იმათაც გაამხნევეს, ვინც შენთან დღეშია და იქნებ შენც გიხსნას, გული მომიკვდება, ასე სულელურად, კამათლებს გორებისათვის რომ დაიღუპო. ახლავე წავალ.

კლავდიო. გმადლობ, ძვირფასო მეგობარო. **ლუციო**. ამ ორ საათში.

კლავდიო. წამო, წავიდეთ, წამიყვანეთ. (გადაინ).

სურათი მემორა

მონასტერი. შემოდინ მთავარი და ბერი თომა. **მთაპარი**. აჰ, არა, ჩემო წმინდა მამავ.

ეგ არც იფიქრო — რომ ტრფობის ისარს მოწიფული ვაყვაცის გული დაეცოდოს და საიდუმლო თავშესაფარსაც იმითმე გზოვოდ. უფრო მძიმე და ღრმა მიწეზით გზოვ შემიფარო.

ბერი თომა. იქნებ მითხრა, რა ღრმა მიწეზით! **მთაპარი**. წმინდაო მამავ, შენზე კარვად.

აჰ, ვინ იცის, როგორ შევნატრი მეუღლო უფავს, განმარტოებას და როგორ ფუტად მიმარჩნა თავწაწვეტილი, ქარაფშუტული დროსტარება და ღრეობები. მე მთელი ჩემი გამგებლობა-ძალაუფლება გადავხარე ანჭელოს — კაცს სჯეველო განთქმულს სისხსტიკით და უმკაცრესი თავშეკავებით. მასა ვგონავარ პოლიონეთში, საოგზაუროდ, რადგანაც ხალხში საგანგებოდ, ასეთი ხმები მე წინადაწინე ვავარტყედი, ასე ჰგონიათ.

იქნებ, გსურს გითხრა — ასეთი რომ რატომ ვისურვე? **ბერი თომა**. სიამოვნებით მოგისმენდი.

მთაპარი. სახელმწიფოში ჩვენ მტად მკაცრი და სასტიკი კანონები ვაქვს, ლაგამს ვდებთ ამით თავაშვებულთ, აღვირახსნილებს, მაგრამ რად ვინდა — მეთოთხმეტე წელიწადია თვლემენ ისინი, როგორც დღომი დაბერებული,

ქვაბში რომ წევს და სანადიროდ ვეღარ გამოიდის... კეთილ მამას რომ ხელში ჭოხი დაუქერია და პატარების დასანასად პაერში იქნეს, რათა ამითი დააშინოს, მაგრამ დრო გადგნენ და დააშინეს და შიხის ნაცვალად, მამის ჭოხი თანდასწრეს მამის იმავ ბავშვების დასაცინად გადაქცეულა. სწორედ ამგვარად დამართა ჩვენს კანონებსაც — სიკვდილი თავად დაეუფლა სიკვდილის წყაროს; აბუჩად ივდებს თავხედობა მართლმსაქმელებს, ბავშვი ძიძას სცემს და ღირსება თავდაჟურა დგას. **ბერი თომა**. ჩემო ბატონო, რაღას უცდიოთ, თქვენს ხელით არ არის —

ისევე ახსენით შებორკილი მართლმსაქმელები, თქვენ ხომ მათ უფრო სასტიკად გამოიყენებთ, ვიდრე ანჭელო.

მთაპარი. ვშიშობ, შეტი არ მომივიდეს. ხალხი მე თვითონ გავაღლე, გავთამამე და მტარვალობა გამომივა, სახრჩობელებზე ახლა იმისთვის ავიყვანო, რის უფლებასაც თავად ვძალდედი. ბოროტებას როცა არა სჭი, ამით თვითონვე აქეზებ მას. ახლა მიმიხვედი, ანჭელოს რატომ გადავიცი ძალაუფლება?! ჩემი სახელით, დაე, იმან იქნოს ხმალი, მე კი ვავდები არხინად ბრძოლიდან განწე და ვეღარავინ ვერ დამრჩახავს. ოღონდ ეს მინდა, თვლი ვადევინ შორიახლო მის გამგებლობას, და ბერის ჩოხს თუ ჩავიცვამ, მაშინ უველასთან — პრინცი იქნება თუ მღამიო — მე მიუხეხლება. ამიტომაც გზოვ, ტანსაცმელი მომიცი თქვენი. და შემასწავლე, რა ვაქეთ, როგორ მოვიქცე. თქვენი ორდენის ბერს ნამდვილად რომ დავემსგავსო, რად მოვიგონე მე ეს ხერხი, ამას უველაუერს, როცა მარჯვე დროს მოვიხვლივებთ, მაშინ გამამობ. ამასლა გეტყვი, რომ ანჭელო უზიზღად დაიცავს ჩვენი ქალაქის სამართალსა; შეუვალაია, ძარღვეში სისხლი არ უჩქეფსო, ასე გგონია, ვერ გამოიცნობ, რა მოპგვრის ნერწევს — ღორღი თუ სურია... ვნახოთ, თუ შესცვლის მარძანებლობა, მივუვლოთ უფრო...

(გადაინ.)

სურათი მისამე

დღეთაო მონასტერი. შემოდინ იზაბელა და დრანცისკა. **იზაბელა**. სხვა არაფერი უფლებები არ გაქვთ მონაწენებს?

ფრანცისკა. ეს გეცოდება, რაც გითხარი? **იზაბელა**. რა ბრძანებაა.

პირიქით, მინდა, უფრო მკაცრი წესები ჰქონდეთ აქ, წმინდა კლარას მონასტერში.

ლუციო (გარედან). აჰა მშვიდობა! **იზაბელა**. ვიხი ხმა ისმის?

ფრანცისკა. კაცის ხმა. გზოვ, იზაბელა, კარი გაუღე და გაიგე, რისთვის მოსულა. ჭერ გაქვს უფლება. მონაწენად რომ აღიკვეცივი, მხოლოდ წინამძღვრის თანდასწრებით მოცემენ ნებას, კაცს ესაუბრო, ისიც სახეჩამობურჯილმა,

ხოლო სახეს თუ გამოაჩინ, უნდა დადუმდე.
იხვე გვეძახის, იზაბელა, გიხოვ, უბასუხო.

(გაღიანი.)

იზაბელა. ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაქვოს.
ვინ არის მანდა?

(შემოდის ლუციო.)

ლუციო. სათნო ქალწულო — ვარდისფერო
ღაწვები თქვენი
უფლებას მაძლევს, ეს გიწოდოთ — იქნება მითხრათ,
აქ იზაბელა, უბედურო კლავდიოს დაი,
თქვენთან ახლახანს შემოსული, სად უნდა ვნახო.

იზაბელა. „უბედუროო“, რატომ ამბობთ?..

თავად გახლავართ მე იზაბელა, კლავდიოს და.

ლუციო. სათნო ასულიო,

ძმა გულმხურვალო სალამს გიძღვნის... რაღას გავწელო,
პირდაპირ გეტყვი — ციხეშია ახლა თქვენი ძმა,

იზაბელა. ვაიმე, რისთვის?

ლუციო. რისთვისაც ვამბო — მსაჭული ვიყო —
სასკელოს ნაცვლად დიდ მადლობას მოვახსენებდი,
რადგან მეგობარს მშვენიერი ბავშვი აჩუქა.

იზაბელა. ხუმრობთ, ბაბონო?

ლუციო. მართლს ვამბობ, არ გეტყვებით,
ხუმრობა მიყვარს, გამოვტყუებდი, პრანქიანებით —
გულად სხვას ფიქრობს და ენა კი სულ სხვას ტიტინებს;
მაგრამ თქვენნაირ ქალწულებთან როდი ვიხუმრებ,
თქვენ მე წმინდანად მიმაჩნიათ, ციურ არსებად;
რაკი მოსცილდით ამა სოფელს — უკვდავი გახდით,
და როგორც წმინდას წმინდა გულით გესაუბრებით.

იზაბელა. მე კი დამცინით, მაგრამ

ამით შეცას არისხებთ.

ლუციო. ეგ გულშიაც კი არ გაივლიათ.

მოკლეთ ვიამბობთ,

რაც თავს გადახდა თქვენს ძმასა და მის შეყვარებულს.
ერთმანეთს იხე გადელეძვნენ, რომ ვეღარ გაძღნენ
ტრფობა-აღერისით; გასაფხულზე რომ იცის ხოლმე —
თესლი მიწაში გალივდება, გაიბერება —

ასევე ქალის წიაღ-გვამი ბარაქიანი,

მონწობს, თუ შენს ძმას რა ბეჭითად უხნავ-უთესავს,
იზაბელა. ეს ქულიტა ხომ არ არის,

ჩემი დაიყო?

ლუციო. თქვენი და არის ქულიტა?

იზაბელა. ჩემი დობილი —
როგორც სკოლაში გოგონემა იციან ხოლმე,
ღღობა შეუფიცეთ ერთმანეთსა.

ლუციო. ისა ყოფილა.

იზაბელა. მაშინ, შეირთოს, რაღას უცდის.

ლუციო. საქმევ ეგ არაა —

იხე ანაზად გაემგზავრა ჩვენი მთავარი,
რომ ბევრ ღირსეულ მოქალაქეს — მეც იმათ შორის —
სიტუვა, წინასწარ მოცემული ვერ შეუსრულა,
დაგვტოვა ასე უიმედოდ. მაგრამ გავიგეთ —
იმთავად, ვისაც მთავრობასთან საიხლოე აქვს —
წახვლა მთავარმა თურმა ვანკებ მოიმიწოვა,
სინამდვილეში სხვა განსრახვა ჰქონია გულში.
ძალაუფლება ღორად ანჭელოს გადაულოცა,
ვისაც ძარღვებში სისხლის ნაცვლად უიწოდებ უდგას,
ვისთვის უცხოა ანტი თოთოლად სიყვარულისა
და მხურვალე გრძობას, ბუნებრივსა, ვინაც აჩლუნგებს
განსჯით, გონებით, შარხვითა და თავშეკავებით.
რათა აღვეთოს წრესგასული თავისუფლება, —

რომელიც ავერ რახანია, მართლმსაჯულებას,
ვით ღომის თავები, ემალება ნობერტებულად
რალაც კანონი გამოჩნდება, რონიელიც თქვენს მშას/
სიკვილოს უქადის. იმიტომაც დააპატიმრეთ/რუწუნუქი
დასქას უპირებს სხვებისათვის სამაგალითად: იმითავე
თუ თქვენ არ იხსნით, თუკი თქვენი ქალწულებრივი
წმინდა ვედრებით არ მოაღბობთ ანჭელოს გულსა.
ეს არის — თქვენმა საბრალო ძმამ ეს დამაბარა.

იზაბელა. დასქას უპირებს?

ლუციო. მისჯილი აქვს უკვე სიკვდილი.

და როგორც მითხრეს, ციხის უფროსს უბრძანეს

კიდეც

ამ განაჩენის შესრულება.

იზაბელა. ვაგლახ, მე უძღურს.

რით შემძლია დავებნარო!

ლუციო. გამოიყენეთ, რაც ძალა გაქვთ.

იზაბელა. ძალა ვინ მომცა! მე იმას ვეჭვობ...

ლუციო. ეს ეჭვია, ჩვენ რომ გვალატობს,
და ხშირად იმას გეაქარგვიანებს, რასაც ადვილად,
თუკი ეჭვი არ გვექნებოდა, მოვიპოვებდით.

მიდით ახლავ ანჭელოსთან, შეიანებინეთ,
რომ, როცა ქალი ევედრება, მამაკაცს მართებს,
ღმერთების დარად შეიწყნაროს მისი ვედრება,
ხოლო თუ ქალი მუხლს მოიდრეკს და ცრემლებს
აფრქვევს,

თავის მუდარის შესრულება მის ხელთვე არის.

იზაბელა. კარგი, ბედსა ვცდი.

ლუციო. ოღონდ ჩქარა, ნუ დააყოვნებთ.

იზაბელა. ახლავ წყავალ.

ღედა-წინამძღვარს გავენდობი და გავსწევ კიდეც.
მადლობას გიძღვნით უმადბლესსა. ძმა მომიციხებთ —
შევატყობინებ ამაღამვე, თუ რამეს გავხეი.

ლუციო. გემშვიდობებით.

იზაბელა. თქვენც მშვიდობა ნუ მოგეშალოთ.

(გაღიანი.)

მ ო ქ მ დ მ ბ მ მ ო რ ა

სურათი პირველი

ღარაზნი ანჭელოს სასტუმო.

შემოდინ ანჭელო, ესკალესი, მსაჭული, ციხის უფ-
როსი, ჯარისკაცები და მსუბუღები.

ანჭელო. მართლმსაჯულებას საფრთხობელად ნუ
გადავქცევთ

ონავარ ფრინველთ დასაფრთხობად რომ აღმართავენ,
ფრინველები კი სულ მალევე შეეჩვევიან

და ქანდარადაც გაიხდიან დაფრთხობის ნაცვლად.
მსბაბუღნი. ღო, მაგრამ მეტი აღფიქრება და

განსჯა გვმართებს. —
განა არა სჯობს, მცირედ დასქარა, ოღნავ გასტო,

ვიღრე დასვე და სასიკვდილოდ დასახირო!
ვაგლახ, ამ ქაბუქს, ვისაც ახლა ვეწომავები,

კეთილშობილი მამა ჰყავდა... აბა, დაფიქრდით
და თქვენ განსაჭეთ, თქვენვე ბრძანეთ, თქვენ

რომელსაც მე
მეაცრი წუნობა-სათნობის ნიშნად ესახვით —
ვნებით აგწუნებულს — ვთქვათ, ნოხდეს და — დროც

და აღვილიც,
გარემოებაც შესაფერი და მარჯვე შეგვადეს.

სისხლადღებულს სანატრელი ვამი დაგიდგეს — როცა აღვიღად აღისრულდებ შენს ფართულ სურვილს... ნეტა ვიცოდე, რას იზამდით, ნუთუ ერთხელაც არ შეცდებოდით; ისეთ ცოდვას არ ჩაიდინდით, რისთვისაც აგერ, სხვას უმჯარეს სასჯელს უმჯადებთ?!

ანჯალო. სხვა, როდესაც გაცთუნებენ,

და სულ სხვა არის, თავისთავად რომ დაცემი. მე არ უარყოფ, რომ სამსჯავროში, რომელიც წყევტს პატიმრის ბედსა, იმ თორმეტ ნაფიც მსაჯულს შორის იქნებ ერთის ერთი ან ორი დაჰნაშვე — იმ განსასჯელზე უფრო მტრადაც ცოდვანი, ვისაც თვით სჯიან. მართლმსაჯულება სჯის აშკარა დადნაშვევებს; ქურდებს თუ ქურდი ასამართლებს, ეს მან რა იცის! მუდამ ასეა — თვალ-მარგალიტს რომ დაინახავთ, ჩვენ დავიხრბობთ და ავიღებო, თუ ვერ შევნიშნეთ, ფეხს დავადგამთ და წავალთ, თითქოს არც კი გვენახოს.

შენ იმ ქაბუთის დანაშაულს ვერ შეამცირებ მხოლოდ იმითი, რომ იმგვარი ცოდვა შევა მაქვს. სჯობს, ამგვარად ეთქვათ: როდესაც მე, მისი მსაჯული. ცოდვას ჩავიდენ ამგვარსავე, დე, მეც დამსჯონ სიყდილით მაშინ, სასჯელი არ შემომსუბუქუნს. ის უნდა მოკლდეს.

მსპალუსი. თქვენი საქმე თქვენ უკეთ იცით. **ანჯალო.** ციხის უფროსი სადღა არის? **ციხის უფროსი.** მე აქ გახლავართ.

ანჯალო. დაიმხსოვრე, რომ ხვალ დილის ცხრა საათისთვის კლავდიოს დასჯით. მანამდე კი მღვდელი მიგვარეთ, რომ მოამზადოს საუკუნო მგზავრობისათვის.

(ციხის უფროსი გადის.)
მსპალუსი (თავისთვის). ღმირთმა შეუნდოს, ჩვენც გვადიროს შენდობა სრული, ზოგად მალღა ღუპავს, ზოგს კი ცოდვით უღვია სული. აქლემის ქურდი აჯაკობს და ერის არავინ, ციხეში ღებება იქ მეორე — ბეწვის შარავი. (მემოტიან იდაყვი, გუშაგები, ქაქანი და პომპი.)
ილაპკი. აქეთ გამოატარეთ. წესიერმა ხალხმა თუ საზოგადოებრივ ადგილებში უწესობას მიჰყო ხელი, რა გამოვიდარ, რაღა კანონებია! გამოატარეთ, გამოატარეთ.

ანჯალო. ეს რა ამბავია? ვინა ხართ თქვენ, ბატონო? ან რა ხდება, გაშავებინეთ.

ილაპკი. მე, ბატონო, ერთი საწყალი კონსტებლი გახლავართ, იდაყვი მქვია სახელად. სამართალს ვეუარდნობი, ბატონო, და ახლაც აგერ, თქვენს ბრწყინვალეობას ორი გაქნილი კეთილმოქმედი მოვგვარებ.

ანჯალო. კეთილმოქმედი! აბა, ერთი მაჩვენე, რა კეთილმოქმედი არიან. ოუ ბორცოქმედეები უნდა გეთქვა?

ილაპკი. მართალი თუ გნებავთ, კარგად არც ვიცი, ვინ არიან. ეს კი ვიცი, რომ ნამდვილი არამზადები გახლავთ, ერთი ბეწო პროფანაცია არ გააჩნიათ, რაც ქრისტიან ადამიანს უსათუოდ უნდა ჰქონდეს.

მსპალუსი. ყოჩაღ, ბრძენი კონსტებლი ყოფილხარ, **ანჯალო.** აღარ იტყვი, ვინ არიან? იდაყვი გქვია? რატომ ხმას არ ამოიღებ, იდაყვი?

პომპი. არ შეუძლია, ბატონო, იდაყვი აქვს ამოვარდნილი.

ანჯალო. ვინ ვინა ხარ? **ილაპკი.** მე, ბატონო? ეგ მოციტანი განლავე, ბატონო. თან მოციტანია, თან მაქანკლობს, ერთ ვაჟუკებულ დედაკაცს ემსახურება. იმ დედაკაცს ემსახურება, როგორც მითხრეს, უკვე დაუნგრევიათ. ბატონო, გარეუბანში, და ახლა აბანო გაუხსნია, მაგრამ, მე მაგონი, ეგეც ნამდვილი საროსკიო იქნება.

მსპალუსი. შენ საიდან იცი? **ილაპკი.** ჩემი ცოლი, ბატონო, რომელიც, ზეციაა და თქვენს წინაშე, საშინლად შემატაგებია...

მსპალუსი. როგორ? შენი ცოლი? **ილაპკი.** დაბ, ჩემო ბატონო, ღვთის წყალობით, პატიოსანი დედაკაცია.

მსპალუსი. და ამიტომ შეიძლება? **ილაპკი.** თუ დამიჭერებთ, ბატონო, საყუთარ თავსაც შევიძაბებ, თუ ის სახლი საროსკიო არ იყოს, ბატონო; მაგის ბედზე მოხდა, რომ უფარგის სახლია...

მსპალუსი. შენ საიდან იცი ეს, კონსტებლო? **ილაპკი.** ჩემი ცოლისგან, ბატონო. ჩემი ცოლი რომ ხორცმუსხმული იყოს, საშინელი ავხორცი, მრუში და, რა ვიცი, რა აღარ იქნებოდა.

მსპალუსი. იმ ქალის გამო? **ილაპკი.** კარგად მითხვდით, ბატონო, ქალბატონი გაცვეთილის გამო. მაგრამ ისე მიაფურთხა სახეში ჩემმა ცოლმა, თქვენი მოწონებულნი.

პომპი. არა ბატონო, კი ნუ მიწყენთ. და ასე არ უოფილა.

ილაპკი. მშ, დაამტკიცე თუ არ უოფილა, ამ არამზადების წინაშე დაამტკიცე, შე პატიოსანო კაცო.

მსპალუსი (ანჯალოს). ხედავთ, როგორ აურადურია ეველაფერი!

პომპი. მაგისი ცოლი რომ ჩვენთან მოვიდა, ბატონო, მუცელი გამობერილი ჰქონდა, დღე-ღღეზე ბავშვს ელოდა. დღმთმა თქვენი თავი კარგად მიმოყოფოს და, მოშუშული ქლიავი მონატრებოდა. ჩვენ კი ორი ქლიავი დაგვრჩენილა იმ დროს სახლზე თეფშზე. სამეცნიანი თეფში გახლდათ. არ შეიძლება, მაგისთან თეფში არ გვენახოთ, ბატონო. ჩინური ფაიფურისა არ არის, მაგრამ ძალიან კარგი თეფშებია...

მსპალუსი. განაგრძე, მორჩი, რა მნიშვნელობა აქვს, რა თეფში იყო.

პომპი. დაბ, მართალხა ბრძანებთ, ბატონო. ერთი ბეწო მნიშვნელობა არა აქვს. ეგ მართალი ბრძანებთ. ერთი სიტყვით, მის ეამბობდი, რომ ძალიან დიდი მუცელი ჰქონდა ქალბატონ იდაყუს, დღე-ღღეზე ბავშვს ელოდა, და, როგორც უკვე მოგახსენებთ, ქლიავი მონატრებოდა, ჩვენ კიდევ ორი ქლიავი დაგვრჩენილა თეფშზე. დანარჩენი, გითხარით კიდევ, ბატონ ქაფს შეეკამა, აგერ, ამ კაცს, ბატონო... ჰოდა, გითხარით კიდევ და ახლაც მოგახსენებთ, იმ შექმულის ფული ამ კაცმა გადაიხდა პატიოსნად, რა თქმა უნდა. თქვენც კარგად მოგხსენებთ, რა პატიოსანი კაცია ბრძანდება ბატონი ქაფი... ხომ გახსოვთ, ბატონო ქაფო, ზურდა რომ ამ აღმომანდა, სამი პე...
მპი. ნამდვილად, ნამდვილად...

პომპი. კეთილი და პატიოსანი, მაშინ თქვენ, თუ გახსოვთ, იმ ქლიავების კურკებს ამტვრევდით...

კომპი. კომპი.

მსპალუსი. გვარი?

კომპი. ფსკერი.

მსპალუსი. ო-ო, ყველაზე დიდი მართლაც ფსკერი გაქვს. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება დიდი კომპლუსი შეგარქვით. კომპი, შენ სანახევროდ მრუ-შების დალალი უფილბარ, თუმცა ფერი ნამდვილი მეღვინისა გაქვს. ჰა, რას იტყვი? ახლა მართალი მი-თხარი — შენთვისვე აქობებს.

კომპი. მართალი თუ გნებავთ, ბატონო, ერთი სა-წყალი კაცი ვარ და სიცოცხლე ნინდა.

მსპალუსი. როგორ გინდა იცოცხლო, კომპი? და-ლალობით? შენს ხელობაზე რას იტყვი, კომპი? კა-ნონიერი ხელობა?

კომპი. თუკი კანონი ნებასა მრთავს, ბატონო!
მსპალუსი. კანონი აღარ დაგრთავს ნებას, კომპი. ვენაშო ამის ნება აღარ გექნება.

კომპი. ქალაქის ახალგაზრდებს რაღას უპირებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ — სულ უნდა დაასაქური-სით?

მსპალუსი. სულაც არა, კომპი.

კომპი. მაშინ, ჩემი პატარა პეუთი, უჩვენოდ ვე-რაფერს გახდებიან. როსკიებსა და გარყენილებს თუ კანონი მიუყენეთ, დალალებსა რაღასი უნდა გვეში-ნოდეს!

მსპალუსი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, უკვე მიუყენებულა კანონი — კუნძი და სახრჩობელა.

კომპი. ათი წლის განმავლობაში თუ ასე ავლები-ნეთ თავი ან საქმეში ექვმიტანილ ხალხს, მერე თა-ვები სხვა ქვეყნებიდან შემოსატანი გავიხდებით. ათ წელიწადს თუ გაგრძელდა ეს კანონი ვენაშო, ყვე-ლაზე კარგ სახლს სამ პენად გაუიღინებთ, მაშინ გაი-ხსენეთ კომპის სიტყვები, მანაზე თუ გასძელით.

მსპალუსი. მადლობელი ვარ, კეთილო კომპი, და შენი წინასწარმეტყველების კიდელოდ აი, რას გპირ-დები: ამერიკიდან აღარავითარი საჩივარი აღარ გა-ვიგონო შენზე; ის სახლიც დასტოვე, სადაც ახლა ხარ; თორემ, კომპეუსს, გულშეკა კეისრად გადაგქეცე-ვი და სულ კარვებამდე დაგიფრენ. უფრო მარტივად თუ გინდა — მათრახით აგაქრებებს. აჭერად კი მშვიდობით, კომპი.

კომპი. გმადლობთ, ბატონო, ამ წყალობისათვის. (თავისთვის). მაგრამ ისე გამოვიყენებ, როგორც ჩე-მი ხორცი და ბედისწერა ინებებს.

დაე, მერტლემ აპკრელოს მათრახით ცხენი, ჩემთან არა გინდათ, მამაცი ვარ — ჩამომეხსენით.

(გაღის)

მსპალუსი. ახლა შენ, ბატონო იდაყუო, ახლოს მო-იწი, ბატონო კონსტებლო. რამდენი ხანია, ამ სამსა-ხურში ხარ?

ილაჰი. შვიდნახევარი წელიწადი.

მსპალუსი. არ შეგმცდარვარ — სიბეჭითეზე გე-ტყობა, დიდი ხნის ნამუშევარი ხარ. შვიდი წელიო, არა?

ილაჰი. და ნახევარიც, ბატონო.

მსპალუსი. ო, დიდი ჭკუა დადგომია! ძალიან გაუწვალეხიხარი. ხალხი აღარა მკავთ იმ თქვენს სა-გუშაგოში რომ შეგცალონ?

ილაჰი. მართალი თუ გნებავთ, ვარჯიხი ცოტადაა, ბატონო. შეარჩევენ, აიყვანენ და მაინც ყველაფერს

მე მაკეთებინებენ. ორიოდე გროს მომცემენ და ყველას მავერ მე დაგჩიჩიებ.

მსპალუსი. ჩამომიწერე იმ თქვენი საგუშაგოდან ექვსი-შვიდი ყველაზე მარჯვე ბიჭი და სიამოვნებენი ილაჰი. შინ მოგართათ, ბატონო? *ბიზმისმისა* მსპალუსი; შინ მომიტანე, ახლა მშვიდობით.

(გაღის იდაყვი)

რომელი სათი იქნება, როგორა გგონიათ?

მოსსაბრთლმ. თერთმეტი, ბატონო.

მსპალუსი. დღეს სადილად ჩემთან მოდით, გთხოვთ.

მოსსაბრთლმ. უმორჩილეს მადლობას მოგახსე-ნება.

მსპალუსი. მიმძიმს კლავდიოს მოყვლინება, მაგრამ საშველი რომ აღარ არის!

მოსსაბრთლმ. შეტად მკაცრი გახლავთ ანჯელო.

მსპალუსი. საქმე მოითხოვს. წყალობა

რომ გვგონია ხშირად, სულაც არ არის ის წყალობა. ლმობიერება სულ ახალ-ახალ კირს და ვარაშს წარმოშობს ხოლმე, მაინც მებრალთის მე კლავდიო... ხსნა კი არ არის. წამო, წავიდეთ.

(გაღიან.)

სურათი მეორე

მეორე ოთახი იქვე
შემოდინ ციხის უფროსი და მსახური.
მსახური. ჭრ საქმეს არჩევს. მაგრამ ალბათ მალე მორჩება. ვეტყუი, რომ აქ ხართ.
ციხის უფროსი. ძალიან გოსოვთ.

(მსახური გაღის.)

ნეტა ვიცოდე,
რას გადაუწყვეტს. იქნებ კიდეც შეუშლუბუქოს. თითქოს სიშარში შესცოდაო. წლები გაღის და, ამ ავკაცობას სჩადის ყველა, უოველი ჭური, და ყველას ცოდაც ერთბა აცამა რატომ უნდა ზღოს.
(შემოდის ანჯელო.)

ანჯალმ. რა?

ციხის უფროსი. კლავდიო ნუთუ ხვალე უნდა დავსაქოთ?

ანჯალმ. აკი გითხარით? ზომ ხელთა გაქვთ ჩემი ბრძანება?

რაღასა მკითხავთ?!

ციხის უფროსი. მემინია, არ შემეშალოს — ბევრჯერ მინახავს —

ჭერ დავვისგია და მერე კი მართლმსაჭულებას სანანებულად გახლდობა.

ანჯალმ. ჩემს საქმეებში

ნუ ჩაერევთ, წავს და თქვენს საქმეს მიხედეთ, ანდა დასტოვეთ სამსახური — შემცვლელს ვიპოვით.

ციხის უფროსი. გთხოვთ, მომიტყეოთ, ჭულიეტას

რაღას უპირებთ, დღედაღამ ტირის, მალე ბავშვიც უნდა გაუჩნდეს.

ანჯალმ. სადმე შესაფერ შენობაში გადაიყვანეთ. ოლონ ახლავ. (შემოდის მსახური.)

მსახური. მისჯილის და გიცდით, ბატონო, თქვენი ნახვა სურს.

ანჯალმ. და მკავს იმას?

ცინის უფროსნი. დახ, ბატონო, საინო ქალწული. მონასტერში აპირებს შესვლას, იქნებ კიდევაც აღკვეცა.

ანჯალო. კარგი, მოვიდეს.

(მსახური გალის.)

ის მრუში ქალი სადმე სწრაფად გადაივანო; რაც უსათუოდ დასჭირდება, თან გაატანეთ, ზედმეტი — არა! ახლავ გავსცემ აძის ბრძანებას.

(შემოდინ იზაბელა და ლუციო.)

ცინის უფროსნი. მშვიდობით, თქვენო ბრწყინვალეებავ.

ანჯალო. ჭერ დაცადეთ.

(იზაბელას)

დღე მშვიდობისა. გისმენთ — რაზე შეწუხებულხართ? იზაბელა. მე უბედური მოთხოვნელი ვარ,

ჩემო ბატონო, გემუდარებით, მომისმინეთ.

ანჯალო. ბრძანეთ, მე გისმენთ.

იზაბელა. ეს ბორკობა თვითონვე მძულს

ყველაზე მეტად.

და, რა თქმა უნდა, იმსახურებს საყდრის სასჯელს. თითქოს რა გულმა უნდა მომცეს, რომ ესა გობოვოთ, მაგრამ მაინც რომ უნდა გობოვოთ, რის თხოვნაც

მიმძიმს;

და რა ექნა — ჰოს და არას ომში ასე გავბმულვარ.

ანჯალო. პირდაპირ ბრძანეთ!

იზაბელა. სიკვდილი აქვს ჩემს ძმას მისჯილი.

გობოვოთ მისი ბრალი დაიხაროს, თავად კი — არა.

ცინის უფროსნი. ღმერთმა წყალობით

გადმოგვხედოს!

ანჯალო. ბრალი დავსაჯოთ,

და არა თვითონ ბრალდებულნი?! ბრალი ხომ ისეც დასჯილი არის. მაშინ, გამოდის, ერთი ნამცეცი

საქმეც კი არა მქონია რა, თუკი მოვდეკი

და ვსაჯე ბრალი — კანონიგან უკვე დასჯილი —

ხოლო ჩამდენი ამ ბრალისა კი შევიწყნარე.

იზაბელა. ო, მართალო და მაინც ესდენ

მკაცრო კანონო!

მაშ, მე ძმა უკვე აღარა მყავს... ო, მომიტევეთ!

ლუციო (ჩუმად იზაბელას). სიხოვეთ, სიხოვეთ,

ნუ მოეშვებით!

მიდით, ფეხებში ჩაუვარდით, კალთას დასწიეთ!

ასე უნდილად ქინძისთავსაც არ თხოულობენ.

ნუ მოეშვებით, მიდით, მიდით.

იზაბელა. მაშ, უნდა მოკვდეს?

ანჯალო. ხსნა აღარ არის, ქალბატონო.

იზაბელა. ხსნა არის, არის!

თქვენ შეგიძლიათ შეიწყნაროთ და ოდნავაც კი ამით არც უცნა გარისხებთ, არც ადამიანს.

ანჯალო. მაგას არ ვიზამ.

იზაბელა. თუ ისურვეთ, ხომ შეგიძლიათ?

ანჯალო. თუკი არა მსურს, ესე იგი

არ შემიძლია.

იზაბელა. შეგეძლებოდათ და ქვეყნის წინ

არც შესცოდადით,

თუ გულში ჩემებრ აღგეძვროდათ თქვენც

სიბრალოელი.

ანჯალო. სიკვდილი უკვე მისჯილი აქვს,

გვიანდა არის.

ლუციო. (ჩუმად იზაბელას.)

უფრო მსურვალედ! მეტი გზნებით! რა ცივდა

სიხოვოთ.

იზაბელა. გვიანდა არის? სულაც არა!

ხომ შეგიძლიათ

უკან წავიღოთ ჩვენი სიტყვა. ო, დამერწმუნეთ, რომ არაფერი ადამიანს (მეფეს — გვირგვინს) ნაცვალს მეფისა — ხმალი თვისი, კერძობა —

ზარშალსა,

მსაჯულს — თვისი მოსახსამი) ო, არაფერი ისე არ ამკობს ამა ქვეყნის ძლიერთა, როგორც

გულმოწყალება!

ჩემი ძმა იყოთ თქვენს ადგილზე და თქვენ მსავით ფეხი უკვარ დაგახლტომოდეთ, თქვენს მიმართ იგი არ იქნებოდა ასე მკაცრი.

ანჯალო. გობოვოთ, რომ მიბრძანდეთ.

იზაბელა. ნეტავი მქონდეს თქვენი

დიდი ძალაუფლება.

ხოლო თქვენ იყოთ იზაბელა! მე გაჩვენებდით ქეშმარტ მსაჯულს და პატომრის ყოფასაც მაშინ.

ლუციო. (ჩუმად იზაბელას). ასე, ჰო, ასე, არ მოეშვა, იქნება მოვლებ.

ანჯალო. თქვენს ძმას კანონმა

მიუხაჯა. და სულ ფუქია

ეს ლაპარაკი.

იზაბელა. ვაგლახ, ვაგლახ! ყოველი სული აკი დასჯილი იყო ერთხელ და სწორედ იმან,

ვისაც ძალედვა ჩვენი დასჯა, ხსნა მოგვიცილინა. ნეტავი მაშინ რას იტყოდით, ასევე მკაცრად

მსაჯულსა ჩვენსა უზუნაგეს თქვენ დაესაჯეთ? აბა, დაფიქრდით, და ნახათ, რომ თქვენს ბაგებზეც

სუნთქვას დაიწყებს შეწყალება — როგორაც კაცი მკვდრებით აღმდგარა.

ანჯალო. მშვენიერო ყმაწვილო ქალო, სასჯელი თქვენს ძმას მე კი არა, კანონმა დასდო,

და თუნდა შეილი ყოფილიყო ძმა, ბიძაშვილი, დაისჯებოდა ამგვარადვე. ხვალ უნდა მოკვდეს.

იზაბელა. ხვალ? ასე უცებ? შეიბრალოთ,

ო, შეიბრალოთ!

ჭერ მზად არ არის სიკვდილისთვის. ქათამსაც კია

დროს შევარჩევთ და ისე დავკლავთ. ჩვენს ტლანქ

სხეულებს

შეცავზე მეტი პატივი ვცეთ?! კარგო ბატონო,

დაფიქრდით მაინც, ამ ცოდვისთვის ჭერ ვინ

მოკლავთ?

ძალიან ბევრს აქვს ჩადენილი ასეთი ცოდვა!

ლუციო (ჩუმად იზაბელას). კარგია, კარგი!

ანჯალო. კანონს დღემდე ძინა მხოლოდ, კი არ მოკვდარა. და ის ბევრი ამ ბორკობას

ვერც გაბედვდა. პირველად ცოდვის ჩამდენი რომ დაესაჯათ საყდრისად. ახლა კანონმა

გამოიღებია — უთვალთვალებს, ვინ რას აკეთებს, სარკეს ჩასცქერის, ვით წინასწარმეტყველი ვინმე,

და წინასწარ კვრეტს, მომავალში რა ბორკობა აღორძინდება უურწავდებით გაღვივებული,

ანუ ახალი რა მზადდება ჩასახვისათვის, რათა ძირშივე მოიკეთოს და გაჩვენამდე

მოედოს ბოლო.

იზაბელა. მოწყალება გამოამუღავეთ.

ანჯალო. მე სამართალში ვაძლენ

ხოლმე გულმოწყალებას

და მათ ვიბრალბე, ვისაც არ ცნნობ, ვინც დაუსჯელი ცოდვების გამო ბორკობას გადაურებოდნენ.

როცა ერთს დასჯი ცოდვისათვის, მაშინ მეორე

აღარ ჩაიდენს იმგვარ ცოდვას! ბელს შეურავდით
თქვენი ძმა ხვალე უნდა მოკვდეს, ბელს

დამორჩილებით.

იზაბელა. მაშ, თქვენ იქნებით პირველი,
ვინც ამ სასჯელს ადებთ,
მამ კი პირველმა ეს სასჯელი უნდა იგემოს.
კარგია, როცა ადამიანს დევის ძალა აქვს
და მტარავლობა — დევურად თუ გამოიყენებს.

ლუციო (ჩუმად იზაბელას). ეს კარგადა სიტყვი.

იზაბელა. უძლიერესი ამა ქვეყნისა
იუბიტერის დარად გრავინვა რომ შემსლემოდათ,
ძილს გაუკრთობდნენ იუბიტერს სამარადუამოდ,
რადგან ყოველი ნამტყვა და კნინი მმართველი
ზედას ქუხილის ასპარეზად გადააქცევდა,
მხოლოდ ქუხილის ასპარეზად!
მორწაოდ ზეცავ. შენი ბასრი გოგირდის ელვით
დაკოურად მუხსს უშალ გაკვეთ, ვიდრე ნახ ტვიანს.
ადამიანი კი, გულზეავი ადამიანი
ძალაუღლების დღემოკე და კნინ სამოსელში
გამოხვეულა და არ ახსოვს, თავდაჭრებულს,
რომ მისი არსი უძლურია, მინისებრ მყიფე;
ვით ბრაზიანი მაიმუნი, — ისე თვალთმაქცობს
და იონბაზობს ის მალაი ზეცის წინაშე,
რომ ანგელოზებს ცრემლი მოსდით, თუშვა შეეძლოთ,
მოკვდავთ უზადარუქ სიანჩხლეზე ეციანთ კიდევ.

ლუციო. (ჩუმად იზაბელას) ასე გოგონი, არ მოეშვა,
მალე მოღებვა,
ჰა, მოღბა კადე, არ მოეშვა.

ციხის უფროსი (თავისთვის) ღმერთო, უშველი!

იზაბელა. შენი საზომით ხეცას ვერას დროს
ვერ შეაფასებ.

დიდ ხალხს — წმინდანსაც რომ დასციონონ —
არ დამარბავენ,
მღაბიოებს კი მკრებელობად ჩამოერთმევათ.

ლუციო (ჩუმად იზაბელას).

კარგი მულაბი მოუძებნეს! ასე, გოგონი!

იზაბელა. სიტყვა, სარდალი რომ წარმოთქვამს.

მეცხე იქნება

ჭარისკაცისგან წარმოთქმული — ღმრთისმგმობელობა,

ლუციო (ჩუმად იზაბელას).

ვინ დაგარიგა ასე კარგა? მიდი, განაგრძე.

ანჯალო. ნეტა მე რაბომ მეუბნებით ყველაფერი
ამას?

იზაბელა. ხშირად სხეებივით სცოდავს ხოლმე
ხელისუფალი,

მაგრამ წამალი აქვს ისეთი, რომ ბოროტებს
გარედან პირი შეეკრება და აღარა ჩანს.

საკუთარ გულში ჩაიხედეთ და დაეკითხეთ —
ნუთუ ნამდვილად უცნობია ჩემი ძმის ცოდვა,
და თუკი იქაც აღმოჩნდება ეს ბუნებრივი,
ჩვეულებრივი შეცოდება, მაშინ თქვენს ენას
ძმის სასიკვდილო განაჩენი ნულარ მოსწყდება.

ანჯალო (თავისთვის). ლაპარაკობს და გეგონება
ფიქრებს ისმენო —

და მეც ფიქრები ამიშალეს მისმა სიტყვებმა.
(ხმამალა) ახლა მშვიდობით.

იზაბელა. გთხოვთ, მობრუნდეთ, ჩემო ბატონო.

ანჯალო. ვნახით, ხელახლა მოვიფიქრებ.

ხვალ ისევ მოდიო.

იზაბელა. უნდა მოკრთამოთ, ნუ მიღიხართ,
გვედრეთ, ბატონო.

ანჯალო. უნდა მოკრთამოთ?

იზაბელა. ისეთი რამით, რომ ზედმეტს უკრთავენ-
აროთ.

ლუციო (ჩუმად იზაბელას) ო, ამით საქმე გაა-
ფუჭეთ!

იზაბელა. არა ბაჭალო ოქროით ან
თვალმარგალიტით,
რომელთა ფასი ხან კლებულობს, ხანაც მატულობს
ვინმეს ზუსტურის ცვალობაზე, — არამედ ლოცვით,
მზის ამოსვლამდე ცად აღვლენილ ალალი ლოცვით,
უცოდველ სულთა და უბნო ქალწულთა ლოცვით,
ვისი ფიქრებიც არ მოუცავს მწიფერ ზრუნვას.

ანჯალო. კარგი, ხვალ მოდიო.

ლუციო (ჩუმად იზაბელას) კარგი იყო. ახლა წავი-
დეთ.

იზაბელა. ღმერთმა მშვიდობა მოგივლინოთ.

ანჯალო (თავისთვის). ამინ! რადგანაც
უკვე ცთუნების გზას ვადგავარ. ლოცვა დამიხსნის.
იზაბელა. რომელ საათზე ვნახლო ხვალ თქვენს
ბრწყინავლებას?

ანჯალო. რა დროსაც გნებავთ, შუადღემდე.

იზაბელა. ღმერთი გფარავდეთ.

(გაღიან იზაბელა, ლუციო და ციხის დარაჯი.)

ანჯალო. შენგან მფარვიდეს ღმერთი შენი
საონოებისგან!

რა მომდის? ეს რა მემართება? ვისი ბრალია —
ჩემი თუ მისი? უფრო მეტად ვინ სცოდავს ნეტა —
მცოდუნებელი თუ ცოდუნებელი?.. მაგრამ ეს ქალი
როდი მაცოდუნებს — თვითონ ვგავარ ღმრთს იის

გვერდით,
მცხუნვარე მზეში ნელ-ნელა რომ იბრწყნება ხოლმე.

შეიძლება კი,
რომ ქალის კდემამოსილებამ უფრო აღგავაზნოს,
ვიდრე იმისმა სოამამე-ქარაუშურობამ?

ნუთუ არ დარჩა სხვა ადგილი, რომ წმინდა ტაძარს
არ მივაშუროთ შესაბაღალად, იქ ეშმაკების

გასამრავლებლად? ო, სირცხვილო, ო, შერცხვენა!
რა ხარ, ვინა ხარ, შენ, ანჯელო? რა განგორბავენ?

გინდა სიბიწნით შეუტრო მის სათინობას?
დაე, იცოცხლოს იმისმა ძმამ: ვინ აუტრძალავს

ქურდებს ქურდობას, მსაჭრელებიც თუკი ქურდობენ?
ჰა, შემოიყარა? მაშ, მისი ხმა რად მომენატრა?

რადა მწუშურია ისევ მისი თვალუბნით ტკობაში?
ან რას ვოცნებობ? გაიძვერა მტერს განგორბავენს

ანკეს წმიდანი მოაყოლო და საქნიერად
წმიდანივე გავს! გეშინოდეს იმ ცოდუნებისა,

ცოდვას რომ წმიდა სიყვარულში ჩაგადენინებს.
რომელი კახა — ლამაზი და თვალმებუფუნო,

დამშვენებელი ნაირნაირ სამკაულებით, —
მოახერხებდა ჩემს აღზუნებას? ამ ქალწულმა კი

დამიმორჩილა ერთიანად მე. ვინც აქამდე,
კაცს რომ ვნახავდი შეეკარებულს, მეცინებოდა.

(გაღიან.)

სვედასხვა მხრიდან შემოდიან გადაცემული
მოავარი, ბერი და ციხის უფროსი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოტე.
მთავარი, ციხის უფროსო, გამარჯობა, ხომ უფ-
როსი ხარ.
ციხის უფროსი, დიახ, უფროსი, რას მიზრძანებ,
წმიდა მამაო?

მთავარი, მოვედი, რათა ჩემი წმიდა ორდენის ნებით,
ტანჯულნი სულნი ვაწუგეშო საკურობიდეშო.
ამის უფლება კანონით გვაქვს მონიჭებული.
მაშ, გაძიებნი, ამიხენი, ვის რა ბრალი აქვს,
რათა მიაგო შესაფერი ნუგეში ყველას.

ციხის უფროსი, მეტყვ რომ მთხოვო,
შეგისრულებ, თუ საკიროა.
ერთი მათგანი აგერ მოდის, ეს ქალიშვილი
გულისთქმას ახყვა და სახელი კი შეირცხენა.
ბავშვს ელის. ის კი, ამ ქალს ბავშვი ვინც გაუჩინა,
სიკვდილმისიგილი აქვე გახლავთ. იმის ნაცვლად, რომ
ერთი ამგვარი ცოლდა კიდევ ჩაადენინოვ,
ყმაწვილი კაცი უნდა მოკლან.

(შემოდის ჭულიტა.)

მთავარი, როდისა სჯიან?

ციხის უფროსი, ხვალ, თუ არ ვცდები.

(ჭულიტას)

შენი საქმეც გადაწყდა უკვე —

ცოტა ხანს კიდევ დაიცდი და გადაგიყვანენ.

მთავარი, მოინანიე, შვილო ჩემო, შენი ცოდვები?

ჭულიტა, მოვიანიე, ამ სირცხვილსაც მოთმენით
ვზიდავ.

მთავარი, მე შეგასწავლი, სინდისის ხმას როგორ
ღუსინო

და როგორ მიხვედ — სინანული შენი ყალბია

თუ გულწრფელი და ქემშარტი.

ჭულიტა, მზად ვარ გისმინოთ.

მთავარი, გიყვარს ის კაცი, ვინც დაგღუპა?

ჭულიტა, დიახ, ისევე როგორც ის ქალი, ვინც
ის კაცი ასე დაღუპა.

მთავარი, მაშ, თქვენ ურთიერთ შეთანხმებით
ჩაგდენით ეს მძიმე ცოლდა.

ჭულიტა, შეთანხმებით!

მთავარი, მაშინ გამოდის, რომ თქვენი ცოლდა გა-
ცილებით უფრო მძიმეა.

ჭულიტა, ვალიარებ და ვინანიებ, წმიდაო მამა.

მთავარი, მოსაწონია, შვილო ჩემო, თუ ცოლვას
ნანობ

და არა სირცხვილს, რაც ცოდვებმა შენ მოგივლინეს.
რადგან ასეთი სინანული ცაში არ ადის.

ჩვენ თვითონ გვრჩება.

ჭულიტა, მე ვინანიებ ჩემს ცოდვებს მხოლოდ,
ხოლო სირცხვილს შვებითა ვზიდავ.

მთავარი, კარგია, შვილო, ხვალვე თურმე
სიკვდილით სჯიან

იმ შენსა თანამონაწილეს. მასთან მივედი,
რომ მოვაშხალო. **Benedicite!** ღმერთი გწყალობდეს.

(გაღის.)

ჭულიტა, ხვალ უნდა მოკლან?!, ო, კანონო,
დაუნდობელო,

შენ მე სიციცხლეს მიხანგრძლივებ, მაგრამ სიციცხლედ
ჩემთვის სიკვდილზეც უფრო მეტად სახარელია.

ციხის უფროსი, ო, მეცოდება ის ქაბუკი.

(გაღიან.)

ანგელოს სახლი

შემოდის ანგელო.

ანჯელო, როდესაც ლოცვას დავაპირებ, თავში
ფიქრები

მოგარდებიან და ცად ლიტონ სიტყვებს ადვავლენ.

ენა სავსე ამიობს, ფიქრები კი იზაბელესკენ

მისწრაფვიან! როცა ზევას წარმოვთქვამ ხოლმე,
თითქოს ვლევავდე შე ამ სიტყვას, გულში კი ამ დროს

შემომპარვია ჩემივ ფიქრები ნასაზრდლები
წრახვა ბროტი და იმდებდა თანდათანობით.

ეს ქვეყნის მართავაც კარგ ამბავს მგავს,
ზევრქერ წყაითხულს,

მოსაწყენსა და მოკირკებულს, ჩემს დიდებასაც,
რომელსაც ასე, — არ გაიგონ — მეთამება,

ავილებდი და უსარგებლო ბურტულში ვავცვლადი,
რომელსაც ქარი აქეთ-ოქით აბორიალებს.

აი, პატუო, ო, დიდებუ, ნეტა რამდენჯერ,
ომ შენს გაფუყულ შესამოსელს, შენს ყალბ საბურველს

ბრძელები შუშის წმანხა-გრებით ძირს განურობიათ.
ბრძენთა შვრეა კი მიუჯკვავთ, სისხლი ხარ, სისხლ!

ეშმაკის ტყაზე ანგელოზო რომ გამოსხო,
ამით ხომ ეშმაკს მაინც ვერ შეცვლი!

(შემოდის მსახური.)

რაო, ვინ არას?

მსახური, იზაბელას — ვილაც მონაზონს — თქვენი
ნახვა სურს.

ანჯელო, შემოვიდეს, შემოიყვანე.

(მსახური გაღის.)

ოი, ზევაო!

სისხლი უტეხ რატომ მომანწა.

გულის სარქველი რად დამისხო

და ხელ-ფეხი რად გამიშეშა?

როგორც ბრძევთა ბროს გულწასულ კაცს შემოვხვევა,
თითქოს საშველად მისცვიან, მაგრამ თვითონვე

შაერს უხშობენ, რითაც უნდა გამოშკობინდე;
ან როგორც მეფის დანახვაზე მიყრიან საქმეს,

გამოცივიან ჭგლეთა-წყვეთით მიაწყდებიან,
მის წინ მონური მორჩილებით დემზობიან

თუმც ამ ბრძევული სიყვარულით შეურაცხუოფენ.

(შემოდის იზაბელა.)

ტურფა ასულო, რად მოსულხარ?

იზაბელა, მინდა გავიგო, რა გადაწყვიტით.

ანჯელო, ეს თქვენვე რომ გაგვგოთ, ჯობდა,
მე არ მკითხავდით. ძმაი თქვენი აღარ იციცხლებს!

იზაბელა, ასე გადაწყდა?! ზევა იყოს თქვენი
მფარველი. (წასვლას დააპირებს.)

ანჯელო, თუმც იციცხლებდა, და ვინ იცის, იქნებ
იმდენ ხანს, სანამ მე და თქვენ ვიციცხლებდით.

მაგრამ მოკვდებო.

იზაბელა, თქვენ მისუხაეთ მას სიკვდილი?

ანჯელო, დიახ, მე თვითონ.

იზაბელა, როდის? მითხარით, გვედრებით, იქნებ
მოასწროს — დანახადე რა დროც უნდა დარჩეს,

ბევრი თუ მცირე, — განწყენდა თავის ცოდვათაგან.
ანჯელო, აჰ, სამარცხვინო,

ზღწი ცოდვები! სულერთია — ის, ვინც ბუნებას
კაცის სიცოცხლეს გამოხტაცებს — გინდ შევიწყალო,
გინდ ნება დავტოვო უტოფრული სიამტკბილობის
(როცა კანონით ეკრძალებათ და მანაც სკედენ
ღმერთის ხატებას), ხომ არც ერთი არ არის ძნელი—
მოსოა სიცოცხლე, გაჩენილი კანონიერად,
და გინდ ღვთისაზე ამოკვეთო უაღბი ხატება,
რაც კანონით გეკრძალება?!

იზაბელა. ეს წესადა აქვთ ცაში მხოლოდ, არა —
მიწაზე.

ანჯელო. ასეა განა? ასე ფიქრობთ? მაშ, მიასახებთ:
რას აირჩევდით: რომ სრულიად კანონიერად
მძას მოუსწრაფოთ სიცოცხლე თუ მის დასახსნელად
საკუთარ სხეულს გასწირავდით იმდაგვარივე
ტკბილ სიბილწისთვის, რაც იმ ქალთან მანვე იგემა?
იზაბელა. დამერწმუნეთ, რომ სულზე უმალ სხე-
ულს გავწირავ.

ანჯელო. სულს არ ვგულისხმობ, თავსმოხვეულ
ცოდვებს ჩვენ მუდამ ცოდვას ვეძებთ, მაგრამ
ცოდვად არ ჩაითვლება.

იზაბელა. რაო, რა ბრძანეთ?

ანჯელო. თუმცა არა, ვერ დავივიციებ —
იქნებ ამით უფრავოვდეს საკუთარ სიტყვებს.
მაგრამ მოთხარბო, — მე კანონის სახელთი უკვე
თქვენს მძას სიკვდილის განაჩინი გამოვუტანე —
როგორ გგონიათ, არ შეიცავს წყალობას ცოდვა,
თუკი ამ ცოდვით მძას დაიხსნით?

იზაბელა. ოღონდ ეს ჰქენით. დე, გავწირო
— მე ამ ცოდვით სულს დავიძიმებ...
ცოდვა არც ეთქმის, ამას კქეია გულმონყალება.

ანჯელო. სულს კი გასწირავთ თქვენ ამით,
მაგრამ სანაცვლოდ
გულმონყალება იმ ცოდვაააც გათანაბრებს.

იზაბელა. ძმის სიცოცხლეს გოხოვთ, და თუ
ახოვნაც ცოდვა იქნება,
მე მაწილიონოს დე ღმერთმა, თქვენ თუ ამ თხოვნას
შემისრულებთ იგი ესეც ცოდვაა თუ ჩაითვლება,
დილის ღოცებში ღმერთსა შევსთხოვ, ეს ერთი ცოდვა
თქვენ მოგებსნათ და ჩემს ცოდვებზე მე დამეძალოს.

ანჯელო. ყური დამიგდეთ, ვერ გამიგეთ,
რას გეუბნებით —
ანუ არ გესმით, რასაც ვამბობ. ან ეშმაკურად
თავს იკატუნებთ, და ამას კი ვერ მოგიწონებთ.

იზაბელა. დე, ვყო ასე უმეცარი და უფარგისი
ოღონდ რაც ვარ, თავს მახზე უყოთ არ ვაჩვენებდე.

ანჯელო. სიბრძნეც ასეთე — თავს ითრგუნავს
და თან კი ცდილობს,
უფრო კაშკაშა ნოგვეჩვენოს. შავი ნიღბის ქვეშ
ქალი ათქვრავს უფრო მეტად მშვენიერი ჩანს,
ვიდრე უნიღბოდ. მომისმინეთ. პირდაპირ გეტყვით,
რომ უფრო კარვად მიგახედროთ: მძა უნდა მოკვდე!ს
იზაბელა. ვიცი.

ანჯელო. კანონით ამას იმსახურებს იმისი ცოდვა.
იზაბელა, ესეც სწორია.

ანჯელო. ვთქვათ, აღარ არის მისი დახსნის სხვა
რამ სახარია, —

მე ამას ჩემთვის ვვარაუდობ მხოლოდ და მხოლოდ,
ჩემთვის ვალაგებ გონებაში, — ვთქვათ, თქვენ, მისი და,
ვილაცს თვალში მოუხვედით, გავგნინან კაცს,

რომელსაც ძალუძს, მსაჯულს მსჯავრი შეაცდევინოს
და კანონების ბორკილისგან იხსნას თქვენი ძმისა,
აღარაფერი მიწიერი საშუალება
აღარ არსებობს: ანუ იმ კაცს უნდა მოუძღვნენ
შენი სხეულის საგანძური, ან მძა დასაჯონ.
რას აირჩევდით?

იზაბელა. ძმის ღირსებისთვის იმგვარადვე,
როგორაც ჩემთვის —
სიკვდილი მქონდეს თუნდა მოსჯილი, შოლტის
ნაკვლებს

ისე ამაყად ვტარებდით, ვით ლაღ-ბადახზებეს,
ტანთ გავიხდიდი სიკვდილის წინ, როგორც დიდი ხნის
ნანატრ ღოგინში დასაწულად, მაგრამ სხეულს კი
შესაგინებლად არ დავთმობდი.

ანჯელო. მაშინ სიკვდილი გარდუვალია თქვენი
ძმისთვის.

იზაბელა. ისევე ესა სჯობს —

უკეთესია მძას ერთბაშად მოეღოს ბოლო,
ვიდრე და, მისი გამოსხნისთვის, მიწვივ კვდებოდეს.

ანჯელო. მაშინ ხომ ეუღლება იქნებოდათ,
ვით ის კანონი,
თქვენვე რომ ასე უკადრისად მოიხსენიეთ.

იზაბელა. შეწყალება და სამარცხვინო გამოსასყიდი
სხვადასხვა სახის ბინადრები გაქლავთ, ბატონო;
კანონიერი შეწყალება ბილწ გამოსახსნელს
ნათესავადაც არ მოხვდება.

ანჯელო. ახლა არ იყო,
კანონს მტარვალად რომ სახავდით? თქვენი ძმის ცოდვა
ლად თავშექცევად მიგანდართ და არა სიკვდილ!

იზაბელა. ბატონო ჩემო, მომიტყვით! ასეა ხშირად:
ოღონდ კი მიგწუნდეთ საწაღელსა — და რასაც
ფიქრობთ.

იმას არ ვამბობთ. ახლაც ასე: რაც მძულს —
ვამართებთ,
რომ ამით ძვირფას ადამიანს რაიმე ვარგო.

ანჯელო. ჩვენ სუუველანი სუსტები ვართ.
იზაბელა. მოკვდეს ჩემი ძმა,
თუკი სხვას არვის არ მიუძღვის ამგვარი ცოდვა
და ეს სისუსტე მას აქვს მხოლოდ მემკვიდრეობითა.

ანჯელო. არა, ქალებიც სუსტები ხართ.
იზაბელა. როგორაც სარკე,
რამოც ქალები საკუთარ თავს უცქერენ ღოღმე
და რაც ისევე ადვილად და უცებ იმსხვრევა,
რა უცებდაც აირეკლავს. ოი, ქალებო,
ღმერთო ისენი! მამაკაცი თავიანთ შექმნილთ
თვად არცხვენენ... ათქვრე უფრო სუსტი გვიწოდეთ!
ჩვენ სათუთნი ვართ, სულითაც და გარეგნულადაც
და ხალხს ადვილად მივეწნობით.

ანჯელო. დიახ, ასეა.

და რაკი თქვენვე ქალთა სქესზე ამ აზრისა ხართ,
თან რაკი ვიცი, რომ არვის ვართ ისე ძლიერი,
არ შევჯარყოს ცოტუნებმა, პირდაპირ გეტყვით —
თქვენი სიტყვები მახებინებს — იყავით, რაც ხართ,
ქალი იყავით! ამაზე მეტს თუ მოინდომებთ,
აღარაფერი არ იქნებოთ: რაკი ქალი ხართ, —
ამას კი თქვენი გარეგნობაც კარვად ამტკიცებს,
გამომჟღავნეთ ეს ქალობა, გამოუხვიეთ
ბედის ბოძებულ სამოსელში.



სურათი პირველი.

იზაბელა. ერთი ენა მაქვს,
ჩემო ბატონო, სხვა ენა შე არ განაჩინა:
გთხოვთ, როგორც წელან, ახლა ისე მელაპარაკოთ.
ანჯელო. გამოგიტყდებით, რომ მიუყარხაროთ.
იზაბელა. ჩემს ძმას უყარდა
ჭულიტა. და ამის გამო თქვენ სიკვდილით სჭით.
ანჯელო. თუ შემოყარებთ, ძმაი თქვენი აღარ
მოკვდება.

იზაბელა. ამის უფლება თქვენ გაქვთ,
ვიცი, რომ ცოცხალი უფრო ცუდი გამოჩნდით,
ვიღრემდე ხართ, სინამდვილეში,
და ამით სხვები გამოსცადოთ.
ანჯელო. სინდისს ვფიცავ,
ჩემი სიტყვები ჩემსავ ზრახვებს გამოხატავენ.
იზაბელა. ნამცეცა სინდისს ვინ ერწმუნოს!
ანუ ამ მშავრულ
დამლუპველ ზრახვებს! თვალთმაქცობა, ო.

თვალთმაქცობა!
შეი, ანჭელო, იცოდეთ, რომ საქვეყნოდ გამხელთ.
ახლავე ხლიო მოაწერეთ ძმის შეწყალებას,
თორემ განანებთ — ვიღარიღებ ხმის ჩახლჩქამდე,
ქვეყანას მოვდებ, რა კაცაც ხართ.

ანჯელო. ვინ დაგიბერებს?
ჩემი უწყველო სახელით და წმიდა ცხოვრებით,
შენს წინააღმდეგ ჩვენებით, თანამდებობით
სულ გადავიწინი მაგ ბრალდებას და ამოგახრჩობ
შენივე ცილისწამების და საჩივრის სუნში
ველარაფერი შემაჩერებს, რაკი დავიწყე —
ჩემს ივაწყვეტილ ვნებას ახლა სადავეს წაყერი,
უნდა დამიხტრო ხარბი მალა შენი თანხმობით,
ჩამოიშორე ეს მორცხვობა და კეკულეობა,
ჩამოშობი იმას გაურბიან, რასაც ელტვიან.
დამიმორჩილე ეგ სხეული და ძმა დაიხსენ,
თორემ სიკვდილსაც მოვანატრებ — ეგ გულქვაობა
სიკვდილს გრძელ ტანჯვად გადაუტყვევს. ზვალ პასუხს
შელი.

და ეს გახსოვდეს, შენმა ტრფობამ თუ ვამაგიფა,
მაშინ მტარვალად გადვქციე შენი ძმისათვის.
ახლა როგორც შენ მოისურვებ — თუ გამამულავე,
ჩემი სიყალბე შენს სიმართლეს გადაიწონის.
(გადის.)

იზაბელა. ვისთან ვიჩივლო? ჩემს სიმართლეს
ვინ დაიბერებს?

სახარი ბაგე! ენას ფარავს, რომელსაც ძალუძს
მსჯავრიც დასდოს და იხსნას კიდევ ადამიანი,
კანონს იქით ხრის, სათიაც კი მოესურვება,
ანჭენზე უკვლას წამოაგებს — მრულსა თუ მართალს!
წავალ, ძმას ვნახავ, თუმც კი დასცა სისხლის
ცთუნება,

კაცურკაცობა და ღირსება ხომ მაინც შერჩა,
და ოცი თავიც რომ ჰქონოდა, ოცივეს ერთად
სისხლიან კუნძუე დასაბედალ იმ განსწირავდა,
მავრამ დის სხეულს შესაბიწლად არვის მისცემდა.
ძმავ, მოკვდი, ოღონდ იზაბელა უბიწო დარჩეს,
რადგანაც ძმაზე მეტად გვილირს უბიწოება
წავალ და ვეტყვი, რა პასუხი მივე ანჭელის,
რომ სიკვდილს შეხვდეს ღირსეულად, სულის
სიმშვიდით. (გადის.)

ცნე-
შემოდინ ბერად გადაცმული მთავარი,
კლავდიო და ციხის უფროსი.
მთავარი. მავ, იმედ გაქვს, ანჭელოსგან შეწყალებ
ბისა?

კლავდიო. მეტი, განწირულ აღამიანს,
რა დარჩენია — მხოლოდ იმედი!
ვცოცხლობ იმედით, სიკვდილისთვის კი ვემზადებო.

მთავარი. მავ უნდა იყო სიკვდილისთვის;
მაშინ ორივე —
სიკვდილი იყოს, გინდ სიცოცხლე — უფრო გატკებია.
სიცოცხლეს ასე ესაუბრე: „შენ თუ დაგკარგი,
მაშინ თითქმის დამეკარგოს ისეთი რამე,
რაკი სულელებს არ ეთმობათ, შენ სუნთქვალა ხარ,
და ცის ტლღების მოძრაობას ემორჩილები.
იქვე ბინადრობ და მარადამ მისი შიში გაქვს,
შენ მახსარა ხარ სიკვდილისა — წვალობ, ცოდვილობ,
რომ სიკვდილს თავი დააღწიო, — მისცი კი ილტვი-
არა-რა კეთილშობილების შენ არა გცხია —
ბილწი გზით უნდა მოიპოვო, რაც რომ გვირდება;
შენი თითქმის მამაობა არ გაგაჩნია,
რადგან საბრალო ქვეწარმავლის სუსტი და რბილი
ნესტარის შიშს ვერ მორყევია. შენთვის ძილია
ყუჯაზე კარგი დასვენება, მას თავად იხმობ,
სიკვდილს კი უფროხი, თითქმის ისიც ძილი არ იყოს.
შენ — შენ არა ხარ: შენ მიწისგან აღმოცენებულ
მრავალ ათასი ცახსაგანა შედგენილი ხარ.
ბედნიერებებს ვერ ეწევი, რადგან სიხარული
იმას მიეღტვი, რაც არა გაქვს, რაც გაქვს — იფრეხებ;
სიმტიცე არ გაქვს — გუნება და განწყობილება
გეცვლება მთავარის კვლობაზე; და რაც არ უნდა
მდიდარი იყო, ღარიბი ხარ: სახედრის მსგავსად, —
ზოდების ტვირთქვეშ საცოდვად რომ იჩნიქება, —
შენ მხოლოდ უნდა ზილო შენი მიმიმე სიმდიდრე,
რასაც სიკვდილი მოგხსნის შემდეგ. უთვისტომო ხარ,
რადგან შენივე ნაწლავები, მამად რომ გიხმობს,
და მთელი შენი ნაშთი რწყველით იკლავებ
ნეკრისი ქარებს, რევატიფშას, ქეცხა თუ მიღერს,
აქამდე რატომ აცოცხლებთო. არც სიჭაბუკე,
არცა სიბერე შენ არ იცი, და ამით მხოლოდ

ბურანში ხედავ, ვით შუადღის მართალი ძილის დროს;
რადგან ნეტარი სიჭაბუკე, როგორც მიხრწილი,
დამლანდაცემულ სიბერეს სთხოვ მოწყალებასა,
ხოლო როდესაც დაბერდები, მდიდარიც იყო,
აღარ გექნება შერჩენილი არც სილამაზე,
აღარც ძალღონე, არცა გზნება და მისწრაება,
ის სიმდიდრე რომ მოიხმარო სიამტიკობით“.

მავ, სიცოცხლეში რადა ყრავ? ჩემ პასხობით
სიკვდილს ფარავს ეს სიცოცხლე, მაინც გვაშინებს
სიკვდილი, ყოვლი სიმრუდისა გამსწორებელი.

კლავდიო. მდებალ მადლობას მოგახსენებთ.
სიცოცხლეს ველტვი,
სიკვდილს ვპოულობ, სიკვდილს ვეძებ — სიცოცხლე
მოდის.

დაე, მოვიდეს.

იზაბელა. (გარედან.)

მანდ ვინა ხართ? მშვიდობა თქვენდა!
ცინის უპროსნი. ვინ ხართ? შემოდით. თქვენც
მშვიდობა ნუ მოგიშალოთ.

მთაპარი. კვლავ მალე გნახავ, შვილო ჩემო.
კლავდიო. გმადლობთ, მამაო.

(შემოდის იზაბელა.)

იზაბელა. კლავდიოს რაღაც უნდა ვუთხრა.
ცინის უპროსნი. სიამოვნებით.

აჰა სინიორ, და გესტუმრათ.
მთაპარი. (ციხის უფროსს) ერთ რამეს გბრძნობთ.
ცინის უპროსნი. რამდენიც გნებავთ.
მთაპარი. მომასმენინე, რას იტყვიან, მე კი
დამაჟღერებ.

(გაღიან მთავარი და ცინის უფროსი.)
კლავდიო. რას მტყვი, დაო, სასუგუმოს?
იზაბელა. რა უნდა გითხრა —

ყველა ნუგეში ასეთია;
თუშკა ეს სხვებზეა სჯობს:
ცაში საქმე აქვს ლორდ ანჯელოს და განუზრახავს,
რომ სამუდამოდ გაგამგზავნოს თავის დესპანად,
ამიტომ ჩქარა მოემუდგა — ხვალ გაგზავნიან.
კლავდიო. მაშ, ხსნა არა ჩანს არსადაღან?
იზაბელა. არავითარი, თუ გული ორად არ გაიბე
თავის დახსნისთვის

კლავდიო. აკი ყოფილა!
იზაბელა. არის, ძმაო, ძალგადს იცოცხლო:

მსაჭულმა ეშმას შეწყალება გამოიმეტა —
თუკი მიიღებ, შეივრდომებს ის შენს სიცოცხლეს,
ოღონდ იქნები შებოჭილი სამარადელამოდ.

კლავდიო. მაშ, სამუდამო ციხე მერგო?

იზაბელა. დიახ, ასეა, სამარადისო პატიმრობა!
თუნდ ასპარეზად მთელი სამყაროს თვალუწყვდენი
სივრცე გებოძოს

კლავდიო. ეს რანაირად?

იზაბელა. თუ დასთანხმდი ამ პირობაზე,
სინილისიგან ერთიანად განიძარცვები
და ასე ივლი განძარცვული, გაშიშვლებული.
კლავდიო. გამაგებინე, მიმახვედრე, რა ხდება ჩემს
თავს?

იზაბელა. შენი ფიქრი მაქვს, ო, კლავდიო,
შიშით ვკანკალებ
რომ ფეთიანი არსებობა არ აირჩიო
და ექვსი-შვიდი წამთარი არ დაამჯობინო
პატრიონება მარადიულს. სიკვდილს გაურბი?
სიკვდილზე ფიქრი უფრო მეტად შესაზარია.
ნამცეცა ხოვოც, ფეხით რომ ვსრესო, იმნარიივე
მამჩაველ ტყვილს გრძნობს ვით ცხოველი
ვებერთელა.

კლავდიო. ასე რად მარცხენ? ნუთუ ფიქრობ,
რომ ჩემს სიმტკიცეს
მე უვაილივით ნაწ არსებას დავესესხები!
თუკი სიკვდილი მიწერია, წყვილიან შევხვდები
როგორც საბედოს — ჩავიხუტებ მხურვალედ გულში.

იზაბელა. ეს კი ჩემი მძის სიტყვებია!
თითქოსდა მამამ
ხმა მოგაწვდინა სამარიდან! მო, შენ მოკვდები:
კეთილშობილი ვაჟაკი ხარ და სიცოცხლესაც
ასეთი ბილწი საფასურით შენ არ იყიდი.
ვაი-წმიდანი, ბრძენის სახე რომ მიუღია

და მიმე-მიმე მტყუარებით სიყმარულს მკლავს,
ვით შევარდენი — ცაში ფრინველს, სიამაღებელში
ავე სულა და თუ კარგად გამოუბრტყე,
რაც კი გულგვაში სიბილწე აქვს, დამსტყურებ
გოგონებივით უძირო ტბორს.

კლავდიო. ვინა გულისხმობ — წმიდა ანჯელოს?
იზაბელა. თავს ვაჭვენებს მხოლოდდა ასე,
იგი წმიდანის სამოსელში გამოხვეულია
და მთელს სიბილწეს სხეულისას იმიტი ფარავს.
აბა, თვითონვე დაუფიქრი — მე თუ შეგსწირი
უმანკუდა, მაშინ იგი ცოცხალს დაგარჩენს.
კლავდიო. მაგისგან ღმერთმა დაგვიფაროს!
იზაბელა. დიახ, მაშინვე თავისუფლებას მოგანიჭებს,
ეს სამარცხენო

ცოდვა სიცოცხლეს ცოდვიანზე, შეგინარჩუნებს.
ამდამ უნდა მივებხოლო და შევესრულო
ის, ვახსენებაც რისი მზარავს და მეზიზღება,
ანდა ზვალევე უნად მოკლას.
კლავდიო. მაგას არ იზამ!
იზაბელა. ო, სიცოცხლეს რომ მიხოვდეს იგი,
ოღონდ დაგიხსნა,—
დაუნანებლად გადუფლებდი, როგორც ქინძისთავს.
კლავდიო. ჩემო ძვირფასო იზაბელა, მძღობელი
ვარ.

იზაბელა. გამხნვედი, ძმაო, და მზად შეხვდი
ზვალ დილით სიკვდილს.

კლავდიო. მაშ, სიყვარული შესტეხია,
რაკილა კანონს,
რის გატარებაც გადაწყვიტა, — აბუჩად იგდებს.
ჩემს ცოდვას ცოდვა არც კი ეთქმის ან თუ არა-და,
შეიდ ცოდვათაგან მსუბუქია ყველაზე უფრო.

იზაბელა. ყველაზე უფრო მსუბუქია?

კლავდიო. მიძიმე რომ იყოს,
ეს ბრძენი კაცი წამიერი სიამისათვის
სამარადელამო ტანჯვას რატომ აიკიდებდა!
ო, იზაბელა.

იზაბელა. ძმავ!
კლავდიო. სიკვდილი შემზარავია.
იზაბელა. თვალაფლასხმული სიცოცხლე კი —
საზარელია.

კლავდიო. მაგრამ სიკვდილი... წასვლა სადღაც —
არც იცი, საით,

გაუნარეღლად ცივ მიწაში წოლა და ლბობა,
როცა ერთბაშად ეს თბილი და ცოცხალი ფეთქვა
მიწის ცივ კოშტად გადაიქცევა; როცა ცხოვრების
სიამით დამტკბარ სულს ჩაიხვევს ციცხლის ტალღები;
ან სქელ ყინულით შემოზღუდულ გამკობლი სუსხის
სამფლოტელოში ჩაეშვება, ანდა უჩინარ
ქარაშობებში მოქცეულს რომ აბორიალებს
ამ ჩამოკიდულ დედამიწის ირგვლივ, გოუტად,
ძალა სასტიკი და უწყვეტი, ან ვანსაცდელი
უარესზედად უარესი ტანჯვა-წამებით,
რის წარმოდგენაც ჩვენ არ ძალგვიძის.. საშინელია..
მაგრამ ყველაზე საზარია და ბილწი ცხოვრება —
სიბერე, სნება, სიღატაკე, ციხეში გდება,
სხვა ყველაფერი, რაც კი ორგუნავს კაცის ბუნებას,
სიკვდილის შიშთან შედარებით სამოთხე არის.

იზაბელა. ვაჟახ, ასეა!
კლავდიო. ჩემო ტბილო, ძვირფასო დაო,

სიცოცხლე მინდა! ძმის დახსნისთვის ჩადენილ ცოდვას
ბუნება წმინდა სათნოება მიითვლის შევგან...

იზაბელა. ლაჩარო! მხეცო! უნამუსო!

დაუნდობელი!

ჩემი ცოდვით გსურს გადარჩენა! შენ კაცი გქვია?!

სისხლის აღრევას არ ჰგავს ენა, როდესაც თავი

დის შერცხვენით გსურს გადარჩენა? რაღა ვიფიქრო?

დღემდამა მამარემ უფალადა და გააკეთე...
მამო, ამნარი უფლმარით და გარეწარი

მისი სისხლი ხომ არ იქნები! პირდაპირ გეტყვი —

მოკვდი! მოხსნე! თუნდა მითხრან, რომ წელში მოხრით

განსაცდელისგან შენი დახსნა მე შემეძლება,

არ მოვიხრები. ღმერთთან ათას ლოცვას აღვაჯღენ,

რომ მოგაკვიდნოს, დახსნისთვის კი სიტყვას არ

დავძვრავ.

კლავდიო. მე მომისმინე.

იზაბელა. მერცხენები! საპარცხენო ხარი

ეს შენი ცოდვა შემოხვევითი ნუ ეგონებათ,

რადგან ხელობად გაგიბოძა. და შეწყალებაც

მაქაყლავა და შუამავალად გადაგქეცევა.

რას უფრო მალე მოგაკვიდნენ, მით უკეთესი

(წასვლას დააიბრებს.)
კლავდიო. ო, მომისმინე, იზაბელა.

(შემოდის მთავარი.)
მთაპარი. ღაო, ნება მომეცით, ერთი სიტყვა

გითხრათ, მხოლოდ ერთი სიტყვა.

იზაბელა. რა გნებავთ?

მთაპარი. თუ მოიცდით, მინდა, მოგელაპარაკოთ;

რასაცა გთხოვთ,

თქვენთვისვე იქნება სასარგებლო.

იზაბელა. დრო როდი მაქვს — საქმეს უნდა

მოვცდე.

მაგრამ მაინც მოგიხმენთ.

მთაპარი (კლავდიოს). შეილო ჩემო,

მე უფრო მოგვარი თქვენს ლაპარაკს. ანჯღლოს

ფიქრადაც არ მოხვლია შენი დის შეცდენა. სურ-

და, აღმანის ბუნება გამოეცდა — იმიტომაც შეუშ-

რა მის უბრუნებას და დიდად გაახარა ღირსეულმა

წინამძღედგობამ, რაკილა შეის დას ქვემარებით სათ-

ნოება აღმოაჩნდა. მე ანჯღლოს სულიერი მოძღვარი

ვარ და ვიცი, რომ ნამძვილად ასეა. ასე რომ, მომზა-

დებული ყხვები სიკვდილს — ფუკვი იმედებით

თავს ნუ მოიტყუებ — ხვალ უნდა მოკვდი. ღაირო-

ქე და სიკვდილსათვის მოეშვადე.

კლავდიო. ჭერ ჩემს დას პატიება უნდა ვთხოვო.

სიცოცხლე ისე შემეხვად, რომ სიამოვნებით დადომო.

მთაპარი. კარგავ იზამ. მშვიდობით.

(კლავდიო გადის.)

ციხის უფროსო, აქ მოდი, რაღაც უნდა გითხრა.

(შემოდის ციხის უფროსი.)

ციხის უფროსი. რა გნებავდით, მამო?

მთაპარი. მნებავს, რომ რაგორც მოხვედი, ისეც

ისე ზნებდი.

ამ ქალიშვილთან მარტო დამტოვე. ჩემი ახლანდელი

ფიქრად და სამოსი იმის თავდები იქნება, რომ აქ

არაფერი დაუშავდება.

ციხის უფროსი. სწორედ რომ დროზე მოხვედით.

(გადის.)

მთაპარი. ხელმა, რომელმაც ასეთი მშვენიერი

შეგქმნა, სათნოებაც მოგანაჟა. თუ სათნოება არ ახ-

ლავს, სილამაზე მალე დაქნება; სათნოებამ თუ დაი-

სადგურა სხეულში, მშვენიერება უკვდავია. შეთხე-

ვით გვიგე, ანჯღლოს შენი შეურაცხველი განუშარ-

ხავს. აღმანური სისხლის ანბავი რომ ვერ შეცოცხ-

დავსაქმებოდა. მაინც არ იზამ! — დასთანხმე-

ბი და ამით ძმას გადაარჩენ?

იზაბელა. სწორედ იქ მივდივარ ახლა,

რთა ჩემი გადაწყვეტილება ვუთხრა: ის მიარჩენია,

ძმა კანონიერად დაისაჯოს, ვიდრე მე უნაონო შეი-

ლი გავაჩინო. მაგრამ ვაგლახ, როგორ ვერ უცნია

მთავარს ანჯღლი თუკი როდესმე დაბრუნდა და მც-

ომშიცა შემთხვევა მასთან ლაპარაკისა, ენა სასუდამოდ

დამიღმუღეს, თუ არ ვაზნობო.

მთაპარი. იცოცხლე, კარგი იქნებოდა, მაგრამ, მე

მგონი, იუარებს — იტყვის, მინდოდა გამომეცადაო.

ამტომაც, კარგად დამიგდე ყური — ისე გულით

მინდა კეთილი საქმე გავაკეთო, რადგან რაღაც აწ-

რი მომივიდა: მჭერა, ერთი გაუბედურებული ქალის

სამართაც გულმორწყალებას გამოიჩენ, ძმასაც იხსნი ამ

მიმართული კანონისაგან, ისე, რომ შენს პატრონსაც

არავითარი მწყველი არ მოეცება და მთავარსაც დი-

დად ასიამოვნებ, თუკი ოდესმე დაბრუნდა და ეს ამ-

ბავი გავო.

იზაბელა. მითხრით ბარე — თუკი ჩემს სახელს

არ შებღალავს, გამბედაობა მეუცდა.

მთაპარი. სათნოებას არასოდეს აკლია გამბედაობა

და სიკეთიც უშიშარია. მარჩინა თუ გაგვიგონია, ფრე-

დერკის და. ეს ფრედერიკი მამაცი მემომარი იყო,

ზღვაში დაიღუპა.

იზაბელა. ვიცი, როგორ არა, და კარგის მეტი

არაფერი მხმენია იმ ქალბატონზე.

მთაპარი. ანჯღლოს უნდა შეერთო ის ქალი — და-

ნიშნულები იყვნენ. ჭვრის წერის დღეც დაო-

ქმული ჰქონდათ. მაგრამ უცებ ეს უბედუ-

რება დატრიალდა — ძმა გემის კაპიტროფა-

ში მოჰყვა და დის მთელი მზითვიც მას-

თან ერთად დაიღუპა. საბრალო ქალი! — ხედავ-

როგორ სასტიკად მოექცა ბედი — ერთბაშად დაკარ-

გა საქვეყნოდ პატივცემული და დაფასებული ძმა,

რომელსაც იგი ნახი სიყვარულით უყვარდა, მთელი

თავისი მზითვი და ავლადიდება, და საქმრს — მშვე-

ნიერი შესახედავი ანჯღლო.

იზაბელა. ნუთუ მართლა? და ანჯღლომ მიატოვა?

მთაპარი. დატოვა ასე, დასაღუპით ცრემლმომდ-

ნარე და ერთი პურცხვაც კი აღერისთ არ შეუშრია.

სიტყვი და აოქმე გადვალაბა, ის კი არაა, ცილიც

დასწამა — უნამუსობა შევიმწეო. ერთი სიტყვით,

ზურგი შეაკცია დამწურებულ ქალს, რომელიც დღე-

მდე მწუხარავა. თვად კი, თითქოს მარმარელო იყოს,

ის ცრემლები რეცხავს, არ ალბობს.

იზაბელა. მადლი არ იქნებოდა, საბრალო ქალი ან

ქვეყნიდან სიკვდილს წაუყვანა, რა უფლმართია წუ-

თისოფელი — აბა, ეგ კაცი უნდა ცოცხლობდეს!

მაგრამ მე რითი შემძობა ვუშველო ამ ქალს?

მთაპარი. მაგის კრილობის მალამო შენს ხელთაა

— თანაც, ეგ წამალი შენს ძმასაც იხსნის ისე, რომ

თვად სულაც არ შეიბღალებო.

იზაბელა. მასწავლე, კეთილო მამა.

მთაპარი. ამ ქალს ისეც იმგვარადვე უყვარს.

ანჯელოს უხამს გულქვაობას, წესით, უნდა ჩაეჭრო მის გულში სიუვარული, მაგრამ არა — ნიაღვარს რომ დაღვლოდავენ გზას და ამის შემდეგ კიდევ უფრო გაშმაგდება და გადაირევა, ახლაც ისე მოხდა. მიიღ ანჯელოსთან და მორჩილად მოახსენებ თანხმობა — ჩასაც მთხვო შერისრულებ-თქო; ოღონდ იმ პირობით, რომ, ჭრე ერთი, ცოტა წნით დარჩები მასთან, და, მეორედ — თქვენი შეხვედრა სრულ სიბნელესა და სიჩუმიში უნდა მოხდეს, ადგილიც შესაფერი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, დათანხმდება ამაზე. მერე კი ისე აეწუბა ყველაფერი, როგორც გვინდა: იმ გაწილებულ ქალს ვურჩევთ, რომ შენს მაგივრად მივიღეს დიოქიმულ ადგილას... ბოლოს, როცა ყველაფერი გამუდმდა, იძულებული იქნება, ცოლად შეირთოს; შენი ძმაც გადაჩრება და არც სახელი შეგებდალება. საბრალო მარიანა თავისას ეწვევა და ანჯელოს გარყვნილებასაც ლაგამ ამოედება. მარიანას მე თოიონდ დავრიგებ, როგორ მოიქცე, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ორმაგი სიყვით ამ საქმისა იმ სიკრუის ცოდვას გამოისყიდის. რას იტყვი? იხსაბაღა. ამის წარმოდგენაც კი უკვე მამშვიდებს. ექვს არ მესაარება, რომ ყველაფერს კარგად შევასრულებთ.

მთაბარი. შენცა ყველაფერი დამოკიდებული. ახლავ მიღი ანჯელოსთან. ვთქავთ, ამაღმვე მივიწვი ლოგინა — დასთანხმდი. მეც მიტოვებულ მარიანასკენ გავეშურები — წმიდა ლუკას მონასტერთან ცხოვრობს, განმარტოებით. შენც იქ მომავითხე მერე. ახლა კი ანჯელოსთან, რაც შეიძლება, ჩქარა. **იხსაბაღა.** მადლობელი ვარ ამ ნდევნისთვის. მშვიდობით, კეთილო მამა. (გაღიან.)

სურათი მორბ

ქუჩა ციხის წინ.

შემოდინ მიავარი, იდაყვი, დარაჯები და პომპი. **ილასპი.** თუკი მართლაც არაფერი საშველია და ქალბებიცა და კაცებიც ისე ვინდათ ივაკროთ, როგორც პირუტყვებით, მაშინ რაღა დარჩა ქვეყნად — დღინო და ნაბუშარები!

მთაბარი. ო, ღმერთო! ეს რა საძაგლობა მესმის! **პომპი.** აღარაფერი სასიხარულო აღარ დაგვიჩარჩუნეს — ორი ოხერიდან უფრო მხიარული მოიშორეს, უარესი კი, კანონის ლოცვა-ურთხევით, თბილ ქურქში გამოხვეული დაღის; თანაც, რა ქურქში გარდაქმნ მელთას ბეწუ, შვიგნით ცხვრისა, იმის ნიშნად, რომ მამაძაღლობა უტოდველობაზე მეტს ფასობს და უფრო გამოსაჩენ ადგილზე უნდა იყოს.

ილასპი. კარგი, კარგი, გეყოფა... ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგვიშალის, კეთილო მამაო.

მთაბარი. შენთვისაც მშვიდობასა ვთხოვ ღმერთს. ძმაო. ამ კაცმა რა გაწყენნა?

ილასპი. კანონს აწყენინა, ბატონო, თანაც ქურდობაშია ექვნიტაიდი. ჩემო ბატონო, რაღაც უცნაური ძალაყინი ვუპოვეთ და მამინევე მთავრის ნაცვალს გავუგზავნეთ.

მთაბარი. ფუშ, შერცხვენილო მაქანკალო, ბილწო დალალო,

ბოროტებას და სიავებს რომ ავრცელებს ქვეყნად და იმით ცხოვრობს! ნეტა ამას არ უფიქრდება,

რომ სიბილწვა ამ ხელებით ტანშიშემოსვა და უძირო ფაშვის ამოყარვა! თავს გამოუტყველ აი, ამითი პირუტყველი, გულსისმარევი ხვევნა-აღერის მაქმევეს, მასმევეს და მაცხოვრებულს ამას ეძახი შენ ცხოვრებას — ამ აქორობებს და მყარებას ყოფას! წადი, წადი, მოიხანოე.

პომპი. უნდა გამოვტყვე, სიმყარულზე რომ ბრძანეთ, ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ მაინც უნდა დავამტკიცო, რომ...

მთაბარი. პო, ეშმაკი თუ გითავმედებებს, კი დაამტკიცებ (გუშავს).

ჩქარა ციხეში წაიყვანი — მაგნაირ პირუტყვს შეგონებანი და სასწავლი თუ მოარჩულებს.

ილასპი. ჭრე საცვალს უნდა მივცავრო, ბატონო. ერთხელ უკვე გაფრთხილებული ჰყავს. დასანახად ვერ იტანს ამისთანა მრუშებს: ვთქვათ, აგერ კახევი ის დალალო და მიუყვანეს... ერთ მიღზე რომ გადაიკარგოს, ის ურჩევანა.

მთაბარი. ნეტავი ცოდვა ქვეყანაზე მქონდეს არავის ან ცოდვა იყოს ხილული და დაუფარავი.

ილასპი. მაგისი კისერი თქვენს წელს დაემსგავსება... თოკზე მოგახსენებთ, ბატონო.

პომპი. მეშველა! თავმდები გამომინდა! აგერ, ახნაური მოღის, ჩემი მეგობარი.

(შემოდის ლუციო.)

ლუციო. ეს შენა ხარ, კეთილშობილო პომპი?! ეს რა ამბავია — კეისრის ეტლს ასდევნებობარ? რა მოგივიდა, ქალები რატომ არ გახლავს, ახამალონივით რომ ძერწავდა, იერწე ხოლმე! ახლაგამოძერწილი ქალი ხალადა, არ მოწევი გიბეში ჩაგვიყოს და ქისა ამოგვაცალოს? რატომ არაფერს იტყვი, პა? | მას რატომ არ აგვიწყობ? თუ ამასწინანდელ წვიანში ჩაგებრჩო! პა? რას გაჩუმებულხარ, ბებრუცანა? ისევ ძველებურადაც ყველაფერი, კაცო? რა მოიგვლია — ცხვირი ჩამოვიშვია, ხმა ჩაგწყვეტია. ვერაფერი გამოვიდა!

მთაბარი. ესეც ერთი ამბავიანი, უარესიცი!

ლუციო. ჩემი თაფლისკვერი როგორ ვიკითხო, შენი ქალბატონი? ისეც ისე მაქანკლობს? პა?

პომპი. რაც ხორცი მქონდა, სულ შექამა, ბატონო და ახლა კასრშია ჩაფლული.

ლუციო. ასე უნდა, ამა, ბროგორ, ძალიანაც კარგია, სულ ქორთვა ხომ არ იქნება, ერთხელაც ჰქალარა გამოურევა. ამას ვერავინ გაეცქევა. ასეც უნდა იყოს. ციხეში მიღობარ, პომპი?

პომპი. ასე, ბატონო, სინდისს გეუცეობი.

ლუციო. ძალიან კარგია, არ გაწყენს, პომპი, მშვიდობით. წადი და უთხარი, რომ მე გამოგაგზავნე. მაინც რაზე დაგიპირეს — ვალენისთვის თუ სხვა რამისთვის?

პომპი. მაქანკლობისთვის, მაქანკლობისთვის.

ლუციო. თუ ასეა, ციხეში ჩასვით. თუკი მაქანკლობისთვის იქნერც, შენც უნდა დაგიტოვო. მაქანკალი ხომ, ამას წყადი არ გაუფა, თანაც უძველები დროიდან, მაქანკლად დაიბადა. — მშვიდობით, კეთილო პომპი. მოკითხვა გადაეცი ჩემგან ციხეში. კარგი მეურნე გახდები, პომპი. სულ სახლში იქნები, გარე-გარე აღარ იწანალე.

პომპი. იმედი მაქვს ბატონო, რომ მოწყალეხას მოიღებთ და თავმდებად დამიდებთ.

ლუციო. არა, მაგას ნამდვილად ვერ ვიხამ, პომპი.

თავმდებობას ყავლი გაუვიდა. მე იმას ვილოცებ, რაც შეიძლება მეტ ხანს გამოვიდეს იქ, პომპი. თუ მოთმინება ვერ გამოიჩენ, გამოდის, რომ მეტი გზენა გქონია. წმვილობით, ღირსეული პომპი. ლოცვა-კურთხევა არ მოგეშალოს, მამაო.

მთავარი. ასევე თქვენც.

ლუციო. ბრიკიტა ისევ ითხოვინება? მა, პომპი?

მთავარი. აბა, წაველით, წაველით.

პომპი. მამონ, გამოდის, რომ თავმდებელ არ დამდებო, ბატონო!

ლუციო. არც მამონ პომპი და არც ახლა..

მთავარი. აბა, წაველით, ბატონო, წაველით.

ლუციო. წალი, წალი შენს ხუხულაში, პომპი.

(გაღიან იდაყვი, პომპი და დარაჯები.)

მთავრის ამბავი ხომ არაფერი გაგვიგია, მამაო?

მთავარი. არაფერი. იქნებ თქვენ ვაიგეთ?

ლუციო. ზოგი ამბობს, რუსეთის იმპერატორთან წაველაო, ზოგი — რომშიო. თქვენ როგორა გგონიათ, სად უნდა იყოს?

მთავარი. ეგ არ ვიცი, მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, ყველგან სიყვითლე ვუსურვებ.

ლუციო. რამ მოუხუტურა, თავისი ქვეყნიდან გააბრულიყო და მათხოვარივით ეწაწალო, თითქოს ამბავის იქნა გაჩენილი. ისე, მის არყოფნაში ანკელმო მაგრად მოკლდა ზელი, სუსხი მისცა ცოლივანებს.

მთავარი. ძალიანაც კარგს შერება.

ლუციო. მრუშობისათვის კი უნდა მიეცა ცოტა უფლავით. ძალიან მკაცრად ექცევა.

მთავარი. ეს საერთო უბედურება გახდა და სიამაყე თუ ამოძირკვა.

ლუციო. მართალი ბრძანდებით, დიდი ოჯახი აქვს მაგ უბედურებას, ნათესავებით არის დაბუნძლული, მაგრამ სულ ვერ ამოძირკვა, მამაო, სანამ ქამასა და სმას არ აუტრიალავდნ ხალხს. იმასაც ამბობენ, ანკელმო კაცისა და ქალის გაჩენილი არ არისო, როგორც ძველთაგანვე ხდება ხოლმე. თქვენ რას იტყვით, მართალი იქნება?

მთავარი. მამ, რამ გააჩინა?

ლუციო. ზოგი ამბობს, ზღვის ალმა გააჩინაო, ზოგი ამბობს — ორი გამზარი თევზისგან გაჩნდაო. ერთი რამ კი ცხადია, სიბნელე რომ გამოუშვებს, შერთი მამონე იყინება ხოლმე. ეს დანამდვილებით ვიცი. და კაცობაც არა აქვს, ესე იგი, უფნებელია.

მთავარი. თქვენ მასხარა ყოფილხართ, ბატონო, ამდენ სისულელეს რომებო. აბა, ამნარი სიასტკიე იქნება — კაცს სიცოცხლე წართვა მხოლოდ იმისთვის, რომ შარვალი აუქანესა ნამდვილი მთავარი ამას გააკეთებდა?! სანამ ის ნახუშარის გაკეთებისათვის კაცს ჩამოახრჩობდა, ათას იპით გამოსაკვებად გადამხიდა. იცოდა ამის გემო, იმითმაც გულმოწყალებულ ექცეოდა. პირველად მესმის, მთავარი ასე გატაცებული ყოფილიყოს ქალებით. სულაც არ მქონია ამის მიდრეკილება.

ლუციო. ო-ო, ცდებით, ბატონო.

მთავარი. შეუძლებელია.

ლუციო. რა? მთავარი? მთავარი არ ყოფილა გატაცებული? მამ, ის რა იყო, რომელიდათი წლის მათხოვარ ქალს დუკატებს რომ ჩაუხრჩობდა და ქიქარში! კაი ხუშტურაინია. სვამს კიდევ. მე მერწმუნეთ. მთავარი. თქვენ ცილსა სწამებთ იმ კაცს.

ლუციო. რას ბრძანებთ, ბატონო, მისი გულთრეული მგობარი ვიყავი. დიდი მელამა იყო. და, მაგონი, ვხვდები კიდევ მისი გაპარვის მიზეზს.

მთავარი. მაინც, რა მიზეზი უნდა იყოს? **ლუციო.** ა-ა! უნდას უყარავად — ეს **ლუციო.** კრება უნდა შეეყრა. ერთს კი გეტყვით — ქვეშევრდომების უმრავლესობას ბრძნად მიანდა.

მთავარი. ბრძნად! მერე-და ბრძნეი არ იყო!

ლუციო. ყოვლად უმეცარი კაცი იყო, ქარაფუშტა, ცერცებთა.

მთავარი. ან შურითა ხართ დაბოღმილი, ან სულელი ხართ, ანდა გეშლებთ რამე. მოთელი მისი ცხოვრება და სახელმწიფო მოღვაწეობა სულ სხვას ამბობს. მარტო მისი საქმიანობით რომ შეაფასო, რაც არ უნდა შურიანი იყო, იძულებული იქნები აღიარო, რომ ქუშმარტი მეცნიერი, მმართველი და მეომარია. ასე რომ, თქვენ განუხტელად ლაპარაკობთ. ან არა-და ბოროტება გიბნელებთ გონებას.

ლუციო. მე ვიცნობ ბატონო, იმ კაცს და მიყვარს კიდევ.

მთავარი. რომ ვიყვარდეს, უკეთ უნდა იცნობდე, და უკეთ რომ იცნობდე, უკეთ უნდა ვიყვარდეს.

ლუციო. კარგით ერთი, ბატონო, მე რაც ვიცი, ვიცი!

მთავარი. მაგას როგორ დაგვიტყვით — რაც არ იცით, იმას ლაპარაკობთ. მაგრამ მთავარი თუ დაბრუნდა როდესმე — რისთვისაც დღედაღამე ვლოცულობთ, — იმის წინაშე უნდა გალაპარაკოთ ასეთუკი მართალია, რასაც ამბობთ. ვაყავთა უნდა გეყვით და პირში უთხრაო. თავს მკვალედ ვთვლი, ეს გაიძულეთ. ახლა კი თქვენი სახელი მიბრძანეთ.

ლუციო. ჩემი სახელი ლუციო გახლავთ, ბატონო.

მთავარიც კარგად მიცნობს.

მთავარი. უფრო კარგად გავიცნობს, თუ ცოცხალი დავრჩი და ყველაყური შევტავობინე.

ლუციო. თქვენი არ მეშინია.

მთავარი. თქვენ იმედი გქვთ, რომ მთავარი აღარ დაბრუნდება. ან სავსებით უსუსური გგონივართ. თუშეცა ეგვს კი მართალია — თქვენ რა უნდა გავნოთ?! შემოფიციეთ, რომ ყველაფერს უარყოფთ, რაც ახლა თქვით.

ლუციო. უმად ჩამომხრჩონ. ვერ გიცვნივარ, მანაო. მაგრამ ამას მოვეწევათ. ახლა ეს მითხარი, თუ იცი, კლავილი ხვად მართლა უნდა მოკვდეს?

მთავარი. რატომ უნდა მოკვდეს?

ლუციო. როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ ბოთლში ძაბრით ახსამდა. ნეტა, მართლა დაბრუნდეს მთავარი. ეს ცვედანი ნაცვალი სულ გააუყარებლეს ქვეყანას ამდენი თმენითა და თავშეკავებით. მამ, ბედურებას ვეღარ აუფიანო ბუღე მაგისი სახლის პარმალზე, რაკი ავხორციები არიან! რაც სიბნელეში ხდებდა, მთავარი იმას სიბნელეშივე ტოვებდა, თავის დღე-ში საშარაოზე არ გამოიტანდა. ნეტა კი დაბრუნდეს — და აბა რა გადობდა, — ამ კლავილის იმიტომ სჯიან, შარვალი რად შეიხსენიო! შვილობით, კეთილი მამაო. გიბოვ, ჩემთვისაც დილიცო. მთავარი კი, კიდევ გაგიმორებ, ბატონის ხორცს პარასკობითაც კარგად შექმეცა. ახლა რა დაბერდა, თორემ მითქვამს და კიდევ გეტყვი, მათხოვარა დედაკაცსაც კარგად ჩააროშინდა, თუნდაც ეს დედაკაცი შვიი პურისა და ნივრის სუნით ყოფილიყო აყროლებული.

თუ გინდა, უთხარი — შენვე ასე ლაპარაკობს-თქო.
(გაღიან.)

მისაპარი. ამას ვერც ძალა გაქცევა, ვერც სათნოება, ცილისწამება უბიწობას ზურგში სცემს დანას; გინდ შევე იყოს, ყოვლისშემძლე, ცილისწამებლის ღვარძლიან ენას რას დააღუბას, რას მოუხერხებს! მაგრამ ვინ არის ეს ნეტავ?

(შემოდინან ესკალუსი, ციხის უფროსი, გუშაგები და გაცეითოლი.)

მსპალუსი. მორჩა, ახლავე ციხეში ჩაიყვანეთ.

ბაცვეთილი. კეთილი ბატონო, შემობრალეთ, ნუ გამწარავთ. ისეთი გულმონწყაღე კაცი ბრძანდებით, მთელმა ქვეყანამ იცის, კეთილი ბატონო!

მსპალუსი. ორჯერ გავაჯილდულეს, სამჯერ გაგაფრთხილეს და მაინც შენსას არ იშლი. ეს თვით მოწყულენასაც კი გააბრაზებდა და მტარვალად აქცევდა. ციხის უფროსი, თერთმეტი წელიწადია მრუშე-ბის მპაქვნილობას ეწევა.

ბაცვეთილი. თქვენო მოწყალეებავ, ერთი ლუციო არის, სულ იმის მოგონილია. მაგან გაუკეთა ბავშვი ქალბატონ ქვეშოსაქცევს, ჭერ ისევ მთავრის აქყოფანში. შემაჩრდა, ცილად შევირთავო; წლისა და ოთხი თვის გახდება ის ბავშვი, აგერ, წმიდა ფილიპეს დღეს. სულ ჩემთან იყო, მე ვინახავდი, და, ხედავ, როგორ გადაიხიზდა!

მსპალუსი. მართლაც ძალიან საეჭვო ყოფაქცევია ის კაცი. ჩემთან გამოცხადდეს... ეს კი ციხეში მიაბრძანე. წადი, კრინტი აღარ დასძრა.

(გაღიან გუშაგები და გაცეითოლი.)

(ციხის უფროსი) ანჭელო მაგარი კაცია. ვერ გადაათქმევინებ. კლავიო ხვალვე უნდა მოკვდეს. სულიერად დაამშვიდეთ, შეეშალოს. რა ექნა, ჩემსავით გულჩვილი რომ იყოს ანჭელო, ეს არ მოხდებოდა. ციხის უფროსი. აგერ, ეს ბერი იყო კლავიოსთან და გაამხნევა, სიკვდილისთვის შეაშადა.

მსპალუსი. საღამო მშვიდობისა, კეთილი მამაო.

მისაპარი. სიკეთე და ლოცვა-კურთხევა ნუ მოგეშალოთ.

მსპალუსი. საღაური ხარ?

მისაპარი. მე აქაური არ გახლავართ, აქ ისე მოვხვდი:

წმიდა ბერების ორდენის ვარ და სულ ახლახან რომიდან მისი უმაღლესი უწმიდესობის დავალებებით ამ ქალაქში გამომაგზავნეს.

მსპალუსი. რა ხდება ქვეყანაზე, ახალი რა ისმის?

მისაპარი. არაფერი, გარდა იმისა, რომ სიკეთის საშინელი ციხე-ცხელია აქვს და სიკვდილია თუ განკურნავს. სულ ახლის ძიებაშია ხალხი. ძველი აღრაფერი უნდათ. დაბერება ისეთივე საშიშია როგორც სათნოების მარადიულობა; სიმართლე ისე იშვიათი გამხდარა, საზოგადოებას ზიფათისაგან ძლივსა იფარავს, სამაგიეროდ, მფარველები მომრავლდნენ და აღარც გინდა საზოგადოებაში გამოხვედ. ამ გამოცანას უტრიალებს მთელი სიბრძნე კაცობრიობისა. საქმოდ ძველი ამბავი გახლავთ, მაგრამ მუდამ ახლად გაიხმის. ერთი ეს მითხარით, თქვენი მთავარი რა კაცი იყო?

მსპალუსი. ყველაზე მეტად იმას ცდილობდა, საკუთარი თავი შეეცნო.

მისაპარი. რითი ერთობოდა ხოლმე?

მსპალუსი. უფრო დიდ სამოგენებას ჰგვრიდა,

როცა სხვების სიხარულს შეპყრებდა, ვიდრე ის, როცა სხვები ცდილობდნენ მის განხიზრულებას, უკვლავ დირსეული და თავდაპირილი კაცი იყო. მაგრამ თავის ბედს მივანდოთ, ღმერთსა ვხსნიყმანს, რომ ილღეობა მისცეს. მე კი ის მიწა გავიჭო, კლავიოს როგორც დაავადეთ, მომწაღებელი თუა სიკვდილისათვის. როგორც გავიგე, თქვენ ყოფილხართ მასთან.

მისაპარი. სასწელი ძალიან მკაცრი არ ყოფილა, ამბობს და უყოყმანო მორჩილებით ღებულობს მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას. თუმცა ადამიანურ სისუსტეს მაინც ვერ მორცევა და გადარჩენის ცრუ იმედები გასჩენია. კარგა ხანს დაერჩი მასთან და გაუფრანვე ეს იმედები. ასე რომ, ახლა გაბედულად ხვდება სიკვდილს.

მსპალუსი. ზეცის წინაშეც ჰირნათელი ხართ და ადამიანური ვალიც მოიხადეთ, რაკი ტუსას ეწვიეთ. მეც რამდენი ვეცადე, მეხსნა საწვალი კაცი, მაგრამ ჩემი ძალა არ იყო ამას, მეტიხმეტად მკაცრი გამოდგა მსაჭული, ბოლოს მეც მაიძულა მეღიარებინა, რომ ეს ნამდვილი სამართალი იყო.

მისაპარი. თუკი საკუთარი ცხოვრებითაც უპასუხებს ამ სიმკაცრეს, ძალიან კარგი, მაგრამ თუ სიმტკიცემ უმტკუნა, თავსაც სიკვდილის განაჩენი უნდა გამოუტანოს.

მსპალუსი. მეც უნდა ვნახო ტუსალი, მშვიდობით მისაპარი. სულის სიმშვიდე ნუ მოკლებოლეთ.

ვინაც მიიღოს მახვილი ციდან, ის იყოს მკაცრიც და იყოს წმინდაც; სამგალითო ის გახდეს სხვების გულმონწყალებით და სათნოებით; სხვის შეცოდებას თუ სწონის მიხზლით, აუწონავი არ დაარჩეს თვისიც; სირცხვილი, ვინაც ხვას ხალხით და ავიწყლებდა ბრალი თავისი. ანჭელომ ვარცხვენ სამჯერაც ბარემ — ჩემს ცოდვებს მარჯლის, თვისას ახარებს. კაცი რომ გულში სიბილწეს ფარავს, თავს ანგელოზად გვჩვენებს მარად, გელაქუცება და ღმილს გაფრქვევს, თან კი აგვარებს თვის ბინძურ საქმეს; ობობასავით ბადებებს ხლართავს ძლიერი ხალხი ვაბას რათა...

ხერხს შევავებებ მის მანქანებას და როს დღეს შესცვლის ღამის ზმანება, დაგმობილსა და მისგანვე ყვედაროს საძლიოს მივუყვეწ ანჭელომ გვერდით: სიყალბით უნდა სიყალბე ვირგუნო და დანიშნული მასვე ვარგუნო.

(გაღიან)

თარგმანი პსხტანა ჰელიძისა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



საქპატენტი ხელოვნება

№ 6
1988 წ.

უილიამ შექსპირი

საწყაული საწყაულისა წილ*

მოქალაქე მითხე

სურათი პირველი

თხრილშემოვლებული სახლი.
შემოდიან მარიანა და ბიქუნა.

ბიქი (მღერის). მომავორე ეგ ტუჩები, ასე ტბილად
ცრუ აღტქმით და ცრუ ფიცით რომ გამაწილა,
მაგ თვალბმაც — ცისკრის შუქით რომ გეულავს —
მომინელა, ნათელი დღე დამიბნელა.
ოღონდ კოცნა — ეს ბექედი სიყვარულის —
დამიბრუნე, გაგიცივდა რაკი გული.

მბრინან. მორჩი მღერას და წადი ჩქარა, აქეთკენ
მოდის

ყველას ნუგეში და მზრუნველი. მეც რამდენჯერმე
აღელვებული რომ ვიყავი, დამაშოშინა.

(ბიქი გადის, შემოდის მთავარი.)

შენდობასა გოხოვთ, წმინდა მამე, ნეტა კი ასე
ლადი სიმღერის მოსმენის დროს არ შეგხვედროდიო,
მაგრამ მერწმუნეთ, არა გულის გასახარებლად,
მძიმე ნაღველის გაქარვებას ვცდილობდი მხოლოდ.

მთაბარი. მუსიკას ჭადო მართლაცა აქვს,
მიოქვამს და გიტყვი —
ხან ტკივილებს რომ დაგვიუჩიებს, ხან სევდას

შეგვერის,
ერთი ეს მიბრძანეთ, დღეს აქ არავის ვუკითხოვარ?
სწორედ ამ დროისთვის ვიყავი შეპირებული, ვილა-
ცას უნდა შევხვედროდი.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საბუთა ხელოვნება“
№ 5, 1988.

მბრინან. არა, არავის უკითხოვართ — მთელი დღეა,
აქ ვარ.

მთაბარი. თქვენი ყველთვის მჯერა. საცაა უნდა
მოვიდეს — იქნებ ცოტა ხნით თვალს მიეფაროთ,
თქვენზე კეთილდღეობისთვის გოხოვთ.

მბრინან. თქვენგან მუდამ დავალბებული ვარ (გადის).
(შემოდის იზაბელა.)

მთაბარი. კარგ დროს მოხვედით, სალამს გიძღვნით,
ახალს რას მტყუვიო,
რაო, რას ამბობს ღირსეული, ნაცვალი მთავრის?

იზაბელა. აგურის კედელმოვლებული ბალი აქვს
ერთი.

რასაც ცალ მხარეს, დასავლეთით, ვენახი აკრავს, —
ფიცრული ჰიშკრით შეიძლება ვენახში შესვლა;
აგრე, ეს დიდი გასაღები იმ ჰიშკრისაა.

ეს კი, ეს მომცრო გასაღები კუტიკარს ალბეს;
გააღებ კარს და ვენახიდან ბაღში შედიხარ,
იქ უნდა ვიყო შუალამით, ასე შევიპირდი.

მთაბარი. გაიგებთ მერე გზას იქითკენ?
იზაბელა. ო, გულსიყვით

დავიმხსოვრე ყველაფერი. უნდა გენახათ,
რა დამორცხვებით და თან ფრთხილი გაფაციცებით
მიმასწავლიდა გზას ჩურჩულით. ორჯერ გამომყვა.

მთაბარი. სხვა რამ ნიშანი არ დაგიოქვამთ?
რომ მარიანამ

სუყველაფერი დაიხსოვს.

იზაბელა. სხვა არაფერი...
იოქვა მხოლოდ, რომ სიბნელეში მივალ ცოტა ხნით
და სულ მალევე ისევ უკან გამოვბრუნდები;
რადგან ვიხსობ მსახურს-მეთქი, ასე ვუთხარი,
გავაფრთხილებ, რომ ძმის საქმეზე აქ ვარ მოსული
და პატარა ხანს ქუჩაშივე დამიციდის-მეთქი.

მთაბარი. ძალიან კარგი. მაგრამ მე ჯერ
მარიანასთვის
არა მიოქვამს-რა. — ჰეი, ჰეი, აქეთ მობრძანდით.

(შემოდის მარიანა)
ეს ქალიშვილი გაიცანით, იგი მოსულა
თქვენთან კეთილი სურვილებით.

იზაბელა. დახ, ასეა.

მთაბარი. გჯერათ, რომ თქვენთვის კარგი მინდა?
მბრინან. კეთილ მამა,

როგორ არ მჯერა, აკი თვითონ მე გამოვცადე.

მთაბარი. რაკი ასეა, ამ ქალიშვილს მოჰყიდათ ხელს
და ის გაგანდობთ საიღუმლოს. მე კი მანამდე
აქვე დაგიცდით. ოღონდ სწრაფად, თანდათანობით
გვიიხლოვდება ბნელი ღამე.

მბრინან. მაშ, ჩვენ წავიდეთ.
(მარიანა და იზაბელა გადიან.)

მთაბარი. ოი, დიდებავ, ო, პატივი! მილიონობით
ორგული თვალი შემოგცქერის გაფაციცებით;
მილიონობით ყალბ მონაჩაბს, სულ სხვადასხვაგვარს,
ერთმანეთისგან განსხვავებულს აკოწიწებენ
შენზე ისინი! ათასობით მოცილილი ჭკუა
რად არა გასახავს, რა ოცნებებს აებენ შენზე,
და ოცნებითვე გამეტებით გგიჩვენან მერე.

(შემოდის მარიანა და იზაბელა)
რაო, შუთანხმდით?

იზაბელა. თანხმად სუყველაფერზე,

მხოლოდ თქვენს დასტურს ელოდება.

მითაპარი. დასტური რაა,

ვემუღარები ხასობით.

იზაბელა. ბევრს ნურას ეტყვი —

„ძმას გაბარებ-თქო“, წამოხვლის წინ წაუჩურჩულე.

მბრინან. ამისი ფიქრი ნუ გექნებათ.

მითაპარი. თქვენც, შეილო ჩემო,

ნუ დაგაფიქრებთ ნურაფერი: ნიშნობის ძალით

ქმარი თქვენია და ცოდვადაც არ ჩაგეთვლებათ

მისი ამგვარად მოპოვება. ის კი არა-და,

თქვენი უფლებამოსილება ამ ეშპაკობას

სამკაულოვით დაამშვენებს. ახლა წავიდეთ,

თუ არ დავთესთ, ისე ყანას რა დაამწიფებს.

(გადიან.)

სურათი მეორე

ციხე

(შემოდან ციხის უფროსი და პომპი)

ციხის უფროსი. აქეთ მოდები, ყმაწვილო. კაცისთვის თავის მოქრა თუ შეგიძლია?

პომპი. რატომაც არა, უცოლო თუა. ცოლიანს ცოლის თავი ექნება და ქალების თავებს კი ვერ მოკვრი.

ციხის უფროსი. კარგი ერთი, მაგ მოკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს მოეშვი და პირდაპირ მიპასუხე: ხვალ

დღით კლავდით და ბერნარდინი უნდა დავსაჯოთ სიკვდილით. ჭალათი კი მუცა აქ, მაგრამ დამხმარე

სჭირდება; თუ იყისრებ და დეხმარებ, ბორკილებს აგხსნი, არა-და, იქნები ასე ბორკილებში, მანამ აქა

ხარ. და ციხიდან გასვლის წინაც ერთს მაგრად გაგ-ჭობავინ, იმიტომ, რომ მრუშების მაქანჯალი ბრძანდება.

პომპი. დიახ, ბატონო, მე დიდი ხანია უკანონო მაქანჯალი ვიყავი; ახლა თანხმად ვარ, კანონიერი

ჭალათი ვაგხვდ. ოღონდ ჭერი იმ თქვენმა ჭალათმა უნდა მასწავლოს, რა გავაკეთო.

ციხის უფროსი. საზარელი სად არის? პეი, საზარელი.

(შემოდის საზარელი.)

საზარელი. თქვენ შეძახდით, ბატონო?

ციხის უფროსი. აგერ, ეს ვაუბატონი დაგეხმარება ხვალ. თუ მოგეწონება, მთელი წელიწადი გყავდეს, შენთან დაიტოვც. ოუ არ მოგეწონოს, ამ ერთხელ გამოიყენე და მოაშორე. დიდად ნუ ებოღი-

შები — მრუშების მაქანჯალია.

საზარელი. მაქანჯალიო! ფუი მაგას, ხელობას შემირცხვენს, ბატონო.

ციხის უფროსი. კარგი, კარგი, შენც მაგის ფანდო ხარ — ერთი ბუმბულით ვერ გადასწონით ერთმანეთს (ვადის.)

პომპი. ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლს. მართლაც გულმოწყალე ჩანხართ, ბატონო, მაგრამ თითქოს სახრიობელას ჰგავდით... რასაც თქვენ აკეთებთ, ხელობა შეარკვით იმას, ბატონო?

საზარელი. მაშა, ხელობა!

პომპი. მე კი ისე მქონდა გაგონილი, რომ ხატვას ერქვა ხელობა. აგერ, კახები რომ მოგირეკავთ, ჩემი საქმის მიმდევრები, ესენი ითხოვნებიან და იტიტომაც ხელობა ჰქვია ჩემს საქმეს. ჩამოხრჩობა სა-

დაური ხელობაა; თუნდაც ჩამომახრჩონ, ჩემთვის გაუგებარია.

საზარელი. ხელობა-მეთქი, ბატონო, კომპი. რით დაამტკიცებთ?

საზარელი. ყველა პატიოსანი კაცის ტანსაცმელი ქურდაც უნდა მოერგოს. თუ ძალიან ვიწრო მოუვიდა თქვენს ქურდს, პატიოსანი კაცი ფიქრობს, ცოტა არ იყოს, დღღიო; თუ ძალიან დიდი მოუვიდა იმ თქვენს ქურდს, ქურდი ფიქრობს, ცოტა არ იყოს, პატარაო, ასე რომ, ყველა პატიოსანი კაცის ტანსაცმელი ქურდაც უნდა მოერგოს.

(შემოდის ციხის უფროსი.)

ციხის უფროსი. მორიგდით?

პომპი. თანხმად ვარ, მივხმარები ამ კაცს, ბატონო; როგორც ვატყობ ჭალათს უფრო ადვილად შეუძლია მონანიება, ვიდრე მაქანჯალს — უფრო ხშირად შესთხოვს ღმერთს პატიებას.

ციხის უფროსი. ხვალ დღის ოთხი საათისათვის კუნძი და ნაჯახი მზადა გქონდეს.

საზარელი. წავიდეთ მაქანჯალო, ჩემს ხელობას შეგასწავლი. გამოშვევი.

პომპი. სიამოვნებით შევისწავლი, ბატონო, და იმედი მაქვს, თუკი როდესმე დაგვირდება შენი ხელობის საყუთარ თავზე გამოცდა, ნარკვედაც მოგემსახურებ: ამდენი სიკეთის სამაგიერო ხომ უნდა გადაგხიადო!

ციხის უფროსი. კლავდიოხა და ბერნარდინოს ჩემთან მოუხმეთ.

(გადიან პომპი და საზარელი.)

ერთი მებრძოლის, მეორის კი არცა მაქვს დარდი — მკვლელს, ძმაც რომ იყოს, მე თვითონვე არ დავუგოავდი.

(შემოდის კლავდიო.)

აჰა, კლავდიო, შენი დასჯის განკარგულება; შუალაშა ახლა სრული — ხვალ დღის რვაზე ეზიარები უკვადებას. ის სადღა არის?

კლავდიო. ღრმა ძილით სძინავს, ვით უცოდველ შრომით დამაშვრალს.

მგავრს რომ ძვალ-რბილში გაუჭდება მოთენითილობა. ვერ აღვიძებენ.

ციხის უფროსი. სიკეთესაც ვერ შეიღირსებეს! წადი, წადი და მოემზადე (კარზე აბრახუნებენ). რა ხმაური!

ზეცამ სიმშვიდე მოგივლინოს (კლავდიო გადის).

აჰა, მოვდივარ!

ნეტა კლავდიოს შეწყალების ბრძანება იყოს, ანუ ხასჯელის გადადების.

(შემოდის მთავარი.)

სალამი, მამაე

მითაპარი. ღამის სულელები გფარვიდეთ თქვენ, კეთილო კაცო.

ამ ცოტა ხანში იყო ვინმე?

ციხის უფროსი. არა, არცინ უყოფილა.

მითაპარი. არც იზაბელა?

ციხის უფროსი. არც ის იყო.

მითაპარი. მაშ, მალე მოვა.

ციხის უფროსი. კლავდიოს რამე ეშველება?

მითაპარი. არის იმედი.

ციხის უფროსი. მეტად ხასტიკი ნაცვალი გვყავს.

მითაპარი. მაგას ნუ ეტყვით. მისი ცხოვრება, ისე როგორც საქმიანობაც —

მართვა ქვეყნისა — კანონებს და სამართალს მისდევს, და ცხოვრობს ასე წმინდა თქენით, თავშეკავებით, სწორედ იმგვარად, რასაც სხვისგან მკაცრად

მოითხოვს.

თუკი რაიმე შესცოდა და ის ჩაიღინა, რასაც სხვას უშლის, ის მტარვალი გახდება მაშინ. ახლა რა გვეთქმის, კარგის გარდა.
(კარზე აბრახუნებენ.)

ჰა, მოვიდნენ

(ციხის უფროსი გადის.)

კარგი კაცია, იშვიათად მომხდარა ასე, რომ ციხის უფროსს მეგობრობა ჰქონოდას ხალხთან.
(ისევ აბრახუნებენ.)

რა ამბავია, რა ხმაური, რამ დააფეთათ, ლამის ჩაოხსნან ეს ვეება ციხის კარები.

(შემოდის ციხის უფროსი.)

ციხის უფროსნი. ცოტა გვადროვეთ, ახლავ გუშავს გააღვიძებენ

და კარს გაგიღებს, შემოგივივებს.

მთავარი. ნუთუ ჭერ არ ჩანს

ბრძანება ძველი განაჩენის გაუქმებისა ახლად კლავდის სიკვდილით სჯით?

ციხის უფროსნი. არა, ჭერ არ ჩანს.

მთავარი. დილაზე ბევრი აღარ დარჩა, მაგრამ, მერწმუნეთ,

გათენებამდე უსათუოდ მოვა ბრძანება.

ციხის უფროსნი. თქვენ რაღაც იცით, მაგრამ მჭერა, ამგვარ ბრძანებას

მე არ მივიღებ. ასეთი რამ ჭერ არ მომხდარა.

თანაც ანჭელომ სამსჯავროში გაშოცხადა, რომ შეწყალებას ნუ ელითო.

(შემოდის შიკრიკი.)

მისი შიკრიკი!

მთავარი. და შეწყალებაც კლავდის ამ შიკრიკს მოაქვს.

შიკრიკი. (ქალაქს გადასცემს)

ჩემმა ბატონმა გამოგიგზავნათ ეს ქალაქი და პირადად დამაბარა, რომ რაც აქა წერია, ყველაფერი ზუსტად შეასრულოთ და ერთი ბეწოთიც არ დადროლოთ — არც დრო, არც მთავარი ბრძანება და არც ანაფერი. მე კი შვიდობის დღის გასურვებთ, რადგან, როგორც ვხედავთ, უკვე თენდება.

ციხის უფროსნი. ყველაფერს შევასრულებ.

(შიკრიკი გადის.)

მთავარი (თავისთვის). ჰა, შეწყალება, შეძენილი ისეთი ცოდვით,

რასაც თავად ჩაფლულია შემწყალებელი; დანაშაულში სხვებზე უმალ ის გაეხვევა, ვისაც უწყალებს ზურგს მაღალი ხელისუფლება; როცა წყალობას ბოროტება გამოიმეტებს, ძალიან ფართოდ გავრცელდება წყალობა, რადგან შემწყალებელი დანაშაულს თავად მეგობრობს. რაო, რას ვწერენ?

ციხის უფროსნი. აკი გითხარით: ანჭელოს, ეტუობა, გადაუწყვეტია, რომ მე ჩემს საქმეს გულისხურით არ ვეკიდები და რაღაც უცნაურად მაქეზებს. საოცარია — ასეთი რამ აქამდე არ შემინიშნავს.

მთავარი. აბა ერთი, წამოკითხეთ.

ციხის უფროსნი (კითხულობს). „რა განკარგულებაც არ უნდა მიიღოთ ძველი ბრძანების გასაბათილებლად, კლავდით დღის ოთხ საათზე უნდა დაისჯოს, ბერენ-

რდინი კი — ნაშუადღევს. უფრო დამშვიდებულნი რომ ვიყო, ხუთი საათისთვის კლავდიოს მოკვეთილი თუკი გამომიგზავნეთ. ზუსტად შეასრულოთ ყველაფერი რა-ღაცა მაზე ბევრი რამ არის დამკიდებულნი, ახლა დაწვრილებით ვერ მოგწერთ. ამ ბრძანებას რომ გადაუხვიოთ, საკუთარი სიცოცხლით აგებთ პასუხს“.

ამაზე რას იტყვით, ბატონო?

მთავარი. ეს ბერენრდინი ვინაა, ნაშუადღევს რომ უნდა დასაჯოთ?

ციხის უფროსნი. ბოშა წარმოშობით, მაგრამ აქ დაიბადა და აქ გაიზარდა. ცხრა წელიწადია ციხეში ზის.

მთავარი. როგორ მოხდა, რომ ჩვენმა მთავარმა აქამდე არც გაათავისუფლა და არც სიკვდილით დასაჯა? გამოგონია, ასეთი რამე არ გამოიღობო.

ციხის უფროსნი. მეგობრები ახერხებდნენ, რომ დასჯა გადაევალებინათ. თანაც ბრალდება უტყველო ფაქტებით არ იყო დადასტურებული და ახლად დადასტურდა, ანჭელოს დროს.

მთავარი. ახლა კი ნამდვილად დადასტურებულია?

ციხის უფროსნი. ნამდვილად, თავადაც არ უარყოფს.

მთავარი. ციხეში როგორ ეჭირა თავი? ინანიებდა მაინც დანაშაულს?

ციხის უფროსნი. ეგ ისეთი კაცი გახლავთ, ბატონო, რომ სიკვდილს არაფრად ავადებს — გინდა მოგიკლავთ, გინდა სიმთვრალეში ჩასძინებია. დაუღევარია, თავზებელადებული, უშიშარი, არც წარსულზე ფიქრობს, არც დღევანდელ დღეზე და არც ხვალისდღეზე. სიკვდილისა სულაც არ ეშინია. არა-და, სასიკვდილოდ არის განაწირო.

მთავარი. ნუგეში არა სჭირდება?

ციხის უფროსნი. უურსაც არ დაგივლებთ, ციხეში უფრო თავისუფლად გრძნობს თავს. კარია რომ გაულო და გაუშვა, არ გაიქცევა. დღეში რამდენჯერ-მე გამოიბრუნება, ხან სულ მთვრალია გღია — გადაბამს ხოლმე რამდენიმე დღეს. რამდენჯერ გაგვიღვიძებია, თითქმის თავის მოსაკვეთად მიგვეკვდა, უკლები განკარგულებაც ვაწვევით — ვითომც არაფერიო.

მთავარი. მაგ კაცზე მერე ვილაპარაკოთ. თქვენ შუბლზე გაწერიათ, რომ პატიოსანი და სანდო ადამიანი ხართ. თუ სწორად არ ვცითხულობ, მაშინ ჩემი ძველი გამოცდილება მატუტებს და ეგ არის. მაგრამ თამაზად ვენდობი გუმანს და გაზევად; სიკვდილისკენ კლავდიოს იმაზე მეტი დანაშაულია, რამდენიც კანონის წინაშე, ვიდრე ანჭელოს, რომელმაც მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ოთხი დღე მივრდება, რომ ეს თვალსაჩინოდ დაგიმტკიცოთ. მანამდე კი ერთი დღი და საშუაში სამსახური უნდა გამიწიოთ.

ციხის უფროსნი. რა სამსახური, ბატონო?

მთავარი. გადაღეთ მაგისი დასჯა.

ციხის უფროსნი. ვაიმე, რანაირად! საათი კი ზუსტად მაქვს მითითებული, და საგანგებოდ მიბრძანებს — საკუთარი სიცოცხლით ვაგებ პასუხს — კლავდიოს მოკვეთილი თავი ანჭელოს უნდა მივართვა. ოდნავდაც რომ დავარღვიო ეს ბრძანება, მეც კლავდიოს ბედი უნდა გავიზიარო.

მთავარი. ჩვენი ორდენის საფიცარის ვფიცავ, თუ ჩემს რჩევას გააჟვეთ, არაფერი დაგიშვებდათ. ბერნერდინე დასჯეთ დილით და მისი თავი გაუგზავნეთ ანჯელოს.

ცინის უფროსნი. ორივე ნანახი ჰყავს ანჯელოს და იცნობს.

მთავარი. ო, სიკვდილი ისე შეცვლის ხოლმე ადამიანს! თქვენც შეუწყვეთ ამას ხელი: თმა გადაპარხეთ, წვერი აუკარით. უთხარით სიკვდილის წინ ასე ისურვა-თქო. ეს ჩვეულებრივი რამ არის. თუ თქვენ ამისთვის მაღლობისა და ჭილღოს გარდა რამე მიიღოთ, ჩემს სალოცავ ხატს გეფიცებით, საკუთარი სიცოცხლით დაგიცავთ.

ცინის უფროსნი. კეთილი მამა, მომიტევეთ კი, მაგრამ ეს ხომ ფიცის გატეხა გამოვა.

მთავარი. თქვენ ვის შეგფიცეთ, მთავარს თუ მის ნაცვალს?

ცინის უფროსნი. მთავარს, და მის ნაცვალსაც.

მთავარი. თვითონ მთავარს. თუ სამართლიანად ჩაგითვალათ, მაშინ ხომ აღარ იქნება დანაშაული?

ცინის უფროსნი. მერე ვინ მითვადებობს, რომ მთავარი მომიწონებს?

მთავარი. თავდებობა რაში გპირდებ, როცა თვითონვე წერს ამას. და რაკი ისე დაფეთებულხარო, რომ აღარ ჩემი სამოსი სჭრის, არც ღირსება ჩემი და არც შეგონება, რა გაეწყობა, უნდა გაგიმღავინოთ, თუშეცა ამას არ ვაპირებდი, აგერ, ბატონო, მთავრის ბეჭედი და ხელწერა. ექვი არ შეპარება, რომ მის ნაწერს იცნობთ. არც ბეჭედი იქნება თქვენთვის უცნობი.

ცინის უფროსნი. დიას, ბეჭედსაც ვცნობ და ხელწერასაც.

მთავარი. აქა წერია, რომ მთავარი მალე დაბრუნდება. მერე წაიკითხეთ, თუ გნებავთ. თვითონვე დარწმუნდებით, რომ ორ დღეში აქ იქნება. ანჯელომ ეს არ იცის. დღეს აგი სულ სხვა წერილს მიიღებ: თითქოს მთავარი მოგვედარაყოფს, თუ ბერად შემდგარიყოს არამედიად მონასტერში. სახედნიერად, ეს ასე არ არის. აბა, გახზელეთ, ცისკრის ვარსკვლავი მიწყემსებს მოუხმობს. თქვენ ნუ სწყუხართ, უკველგავარი სიძნელე ადვილი გამოჩნდება, როცა გაიგებ, როგორ უნდა მოგვარდეს. ჭაღათს მოუხმეთ და ბერნერდინს თავი მოკვეთეთ. მანამდე მე ზიარებას მივაღებინებ. კიდევ წუხარო? ეს წერილი გაგამაგრებთ. ჩქარა, ჩქარა, ლამის გათენდა. (გადაინ.)

სურათი მისამდე

იქვე მეორე ოთახი. შემოდის პომპი.

პომპი. იხე შევჩვიე აქაურობას, შინა მგონია თავი. კაცი იფიქრებს, ქალბატონ ვაცვეთილის საროსკიპო აქ გადმოუტანიათო — იმდენ ძველ მუსტრებსა ვხედავ: აგერ თუნდაც ახალგაზრდა ბატონი მუწუცი დაუხვავებია წინ მთელი გორა შესახვევი ქალაქი და კოჭა, ან ოთხმოცდაჩვიდმეტი გირვანქისა, ნაღდად სულ ხუთი მარკა თუ ექნება აღებულთი, რადგან დედებარები ერთიანად გაწყდნენ და კოჭას გასავალი აღარა აქვს. ბატონი ცუნცრუციც აქ გახლავთ, აბრე-

შეშთი მოვაქრე ბატონმა სამმაგბეწევა ჩასვა ოთხი ნაქერი ვარდისფერი ფარჩისათვის და არის ახლა გაფარჩაგებული და გამათხოვრებული. ეგერ კიდევ ახალგაზრდა ბატონი რეტდასხმული, ახალგაზრდა ბატონი ღრმაფიცული, ბატონი სპილენძდელი, ბატონი ნაშიმშილვი — დაშნა-ხანჯლის რაინდი, ბატონი უთვისრომი, ბატონი ზორბა ღვეწარა რომ მოკლა; ბატონი ჭიქური და მამაცი ფეხსაცმელისთამაშა, დიდო მოგაწურა; თავზეხელადებული ნახევარქოთლი, ქოთანს რომ დანა გაუყარა... და კიდევ რამდენი. ორმოცე მეტი მაინც იქნება — სულ ჩვენი საქმის ბურჯები; ახლა კი დავის წყალობის მომლოდინენი.

(შემოდის საზარელი.)

საზარელი. შენ, ეი, ბერნერდინე მოიყვანე. პომპი. ბატონო ბერნერდინე! გაიღვიძეთ უნდა ჩამოგაბრჩონ. ბატონო ბერნერდინე!

ბერნერდინი (გარედან). უელზე ჭირი გეცათ, რა გაღრიალებთ? ვინა ხართ?

პომპი. შენი მეგობრები ვართ, აგერ, ჭაღათი! აბრჩანდით, ჩემო ბატონო, წამობრჩანდით, უნდა მოკლან.

ბერნერდინი (გარედან). თავიდან მომიწყვით, თქვე მანაწალბეო, აქედან დამეკარგეთ, მეძინება.

საზარელი. უთხარი, გაიღვიძოს, თანაც ჩქარა.

პომპი. გეხვეწებით, ბატონო ბერნერდინე, გაიღვიძეთ თავს მოკვრიან და მერე იძინე, რამდენიც გინდა.

საზარელი. შედი და გამოათრიე.

პომპი. მოდის, ბატონო, თავისით მოდის, ჩაღის შრიალი მესმის.

საზარელი. ცული კუნძუე დევს?

პომპი. მზად გახლავთ, ბატონო.

(შემოდის ბერნერდინი.)

აქა ხარ, საზარელო? რა დაგემართა?

საზარელი. მინდა, რომ ახლავე ლოცვებს ჩაუჭდე, ბატონო, განკარგულემა უკვე მივღე.

ბერნერდინი. აი, შე თალღითო! მთელი ღამე ვსვამდი — სასიკვდილოდ არ ვარგვივარ.

პომპი. მით უკეთესი, ბატონო: მთელი ღამე რომ სვამს კაცი და დილით ჩამოახრჩობენ, მეორე დღეს შეუძლია იძინოს და იძინოს.

საზარელი. აგერ, შენი სულიერი მოძღვარიც მოდის — ახლა მაინც ხომ ხედავ, არა ვხუმრობთ.

(შემოდის მთავარი.)

მთავარი. გავიჯე, მალე უნდა დატოვოთ ეს ქვეყანა, და მოვედი, რათა ვაწუგუშოთ, გაგამხნევოთ, თქვენთან ერთად ვილოცო.

ბერნერდინი. მე თავი დამანებე, ბერო, მთელი ღამე ვსვამდი და მომზადებისთვის მეტი დრო მჭირდება; კეთილ რომ გამომიბერტყონ თავიდან ტყინი, ახლავე სიკვდილით დასჯას მაინც არ დავთანხმდები. ეს გადაწყვეტილია.

მთავარი. დაგითანხმებენ, უნდა მოკვდე! იმიტომაც გთხოვნი, საიქოში მეგზავრობაზე იფიქრო, შვილო.

ბერნერდინი. ვფიცავარ, რომ დღეს არ მოკვდები, მაგაზე ვერავინ დამითანხმებს.

მთავარი. ჭერ მომისმინე..

ბერნერდინი. ერთ სიტყვასაც არ მოგისმენ. თუ რამე სათქმელი გაქვს, საკანში მოდი, დღეს იქიანდ ფეხს ვერავინ მომაცვლებინებს (გაღის.)

მთავარი. არცა ცოცხალი უქნია ღმერთს და არცა მკვდარი.

ქვის გული უდევს! გაიყვანეთ, თავი მოკვეთეთ.
(გადასწრაფილი და პომპი. შემოდის ციხის უფროსი.)

ციხის უფროსი. რაო, რას ამბობს?
მთავარი. მზად არ არის სიკვდილისათვის.
მგვარ ყოფათი საიქიოს მისი გაგზავნა ვიშობ, რომ მძიმე ცოდვა არის.

ციხის უფროსი. სწორედ ამ დღითი
იქვე, ციხეში, საშინელი ციებ-ციხელებით
ერთი ცნობილი რაგოზელი მეკობრე მოკვდა.
კლავდიოს კბილა იქნებოდა; თანაც და წვერიც
კლავდიოსავე ფერის ჰქონდა. რა მოხდება, რომ
ამ არამზადს მომზადების დრო გაუფერებლოთ
და მთავრის ნაცვალს რაგოზელის თავი ვაახლოთ,
მით უმეტეს, რომ კლავდიოსაც უფრო ის ჰგავს.
მთავარი. ცით მოვლენილს ჰგავს ეს შემთხვევა:

მთავარი. ცით მოვლენილს ჰგავს ეს შემთხვევა:
ნუ დაყოვნებთ!
ახლავე ნაცვალს გაუგზავნეთ; დრო დანიშნული
ანჯელოსგან ახლოვდება, თქვენვე მიხედეთ,
რომ ისე მოხდეს ყველაფერი, როგორც გებრძანათ.
მე კი ვეცდები, ის ურჩუკი დავიყოლო
და სასიკვდილოდ მოვამზადო.

ციხის უფროსი. კეთილ მამავ,
წავალ, ყველაფერს შევასრულებ. დღეს შუადღისთვის
უნდა დავსაჯო ბერნარდინი აუცილებლად.
მაგრამ კლავდიოს რა ვუყო და რა მოვუხერხო,
თავი საშინელ ხიფათისგან როგორღა ვიხსნა,
მისი სიცოცხლე თუ გამჟღავნდა?

მთავარი. ეს მოგვარდება.
ფარულ საკნებში მოათავსეთ თქვენ ორივენი —
კლავდიოსაც და ბერნარდინიც და მასზე უმალ,
ვიდრე მზე ორჯერ დღიურ საღმით მიესალმება
შემოდან სულდგმულთ — თქვენ იქნებით უკვე
დაცული

ყოველნაირი საფრთხისაგან.
ციხის უფროსი. რასაც მიბრძანებთ,
მე შევასრულებ სუყველაფერს.

მთავარი. მაშინ სასწრაფოდ
თავი ანჯელოს გაუგზავნეთ.

(ციხის უფროსი გადის) მე წერილს დავწერ
და ანჯელოსთან ციხის უფროსს გავატან დღესვე;
მივსწერ, მოვდივარ და სულ მალე სახლში ვიქნები,
მაგრამ მინდა, რომ ზარ-ზეიმით შემომხვდეს ხალხი.
შენ კი პირადად — ასეთია ჩემი სურვილი, —
წმიდა წყაროსთან დამხვდი-მეოქი, ქალაქის ბოლოს.
ამასობაში კი გულდინჯად ავწონ-დავწონი
და მოვიფიქრებ, თუ ანჯელოს როგორ მოვექციე.
(შემოდის ციხის უფროსი, ხელში რაგოზელის თავი-
ვი უჭირავს.)

ციხის უფროსი. აგერ, ეს თავიც — მე თვითონვე
წავლევ ნაცვალს.

მთავარი. ასე აჩბებებს. და სწრაფადვე
მიბრუნდით უკან,
ისეთი რამე უნდა გიოხრათ, რაც თქვენს გარდა
სხვად არცინ უნდა მოისმინოს.

ციხის უფროსი. მალევე მოვალ (გადის).
იზაბელა (გარედან). აქა მშვიდობა, შემომიშვით.
მთავარი. იზაბელა,

და გაგება სურს — თუ მოვიდა ძმის შეწყალება,
ჩერ მე არაფერს არ ვახარებ, არაფერს ვიტყვი,
როდესაც იმედს საბოლოოდ გადაიწურავთ.
მაშინ გავეუბნებ ამ ციური წყალობის გამოხატვას.
(შემოდის იზაბელა.)

იზაბელა. ბეი, აქ ვინ ხართ? შეიძლება?
მთავარი. მშვიდობის დღის
ვისურვებ თქვენთვის, მშვენიერო ასული ჩემო.
იზაბელა. მეტი მადლი აქვს, თვით წმინდანი რო-
ცა დაგლოცავს

არ მიუღიათ ნაცვლისაგან ძმის შეწყალება?
მთავარი. დიახ, უბოძა საშუალო თავისუფლება —
უკვე გაგზავნეს ანჯელოსთან შენი ძმის თავი.
იზაბელა. აჰ, არა, ეს არ ნიშნდება — ალბათ
გეშელება!

მთავარი. სწორედ ასეა. ახლა გმართებს ბრძნის
მოთმინება.
იზაბელა. არა! ახლავე გავიქცევი და თავლებს
დავთხრო!

მთავარი. იმასთან ახლა ვინ შეგიშვებს!
იზაბელა. საბრალო ძმაო!
ო, უბედურო იზაბელა! ოი, მუხთალო
წუთისოფელო! დავუკვდილო, ბილწო ანჯელო!
მთავარი. ამით ვერც იმას ავნებ რამეს, ვერც რას
გახლები!

ამიტომ უნდა მოითმინო — ზეცას მიენდო.
ყური დამიგდე ახლა კარგად და რასაც გეტყვი,
კეშმარტება ის იქნება. ზვალ, როგორც მოთხრებს,
მთავარი უნდა ჩამოვიდეს. ეს ზერმა მამცნო,
მისმა მოძღვარმა — სასახლეში შემოუთვლია.
ანჯელოცა და ესკალუსიც ემზადებიან
ქალაქის ბუქისთან დასახვდრად, რათა გადასცენ
მათთვის დროებით ბოძებული ძალაუფლება.
ახლა თუ ძალგძობ, თქვენი ჭკუა იმ გზით წარმართოთ,
როგორც ამას მე ვისურვებდი, მაშინ მისწვდებით
საწადელს თქვენსას — მოიპოვებთ მთავრის

წყალობას,
შურსაც იძიებთ და საქვეყნოდ მოიხვეკით სახელს.
იზაბელა. რასაც მიბრძანებთ, შევასრულებ.

მთავარი. აჰა წერილი,
უნდა მოძებნოთ ბერი პეტრე და მას გადასცეთ, —
სწორედ მან მამცნო დაბრუნება ჩვენი მთავრისა, —
წერილშიც ვწერ და თქვენც უთხარით, რომ ამაღამვე
მარანასთან ველოდები და იქ მოვიდეს —
მაგ ქალის საქმეს, თქვენს საქმესაც ამ მოძღვარს
ვანდობ,

იგი მიგიყვანს მთავართანაც და შეგეძლებათ
ანჯელოს მთელი სიკაცეე გამოამჟღავნოთ.
მე იქ ვერ მოვალ — წმიდა აღქმა მიკრძალავს ამას.
წადით, წადით ეს წერილი, ცრემლებს ნულრად დვრიო,
გამხიარულდით და ჩემს წმიდა ორდენს არც ენდოთ,
თუ გატუხნოთ და მოგატყუროთ... აქეთ ვინ მოდის?
(შემოდის ლუციო.)

ლუციო. საღამო მშვიდობისა, წმიდა მამავ.
ციხის უფროსი მინდა.

მთავარი. საღამო გავიდა.
ლუციო. ო, მშვენიერო იზაბელა. ასე თვალბდა-
წითლებულს როგორ გხედავ, გული მიცვდება. ნახე,
როგორ გაუფერებდა: მეც რა დღეში ჩავვარდი — სა-
დღლად თუ ვახშმად ცარილა ქატოსა და წყალს
მაძლევენ, ჩემი თავის გადაშეკიდე, მუცელი ვეღარ

გამომავალი. აი რა მყოფ ერთმა გაძლივამ! მაგრამ ხვალ მთავარი მოდისო, მითხერეს. სინდისს გევიცევი, იზაბელა, გულით მიყვარდა შენი ძმა. ეს დამთხვეული მთავარი რომ შინ დატეულიყო და კუთხე-კუთხე დამალობანას არ მოჰყოლოდა, კლავდიო ახლაც ცოცხალი იქნებოდა!

(იზაბელა ვაღის.)

მთაპარი. არა მგონია, მთავარი ძალიან ეძაოფილი დარჩეს მაგ თქვენი სიტყვებით, ბატონო. კიდევ კარგი, სუყველაფერი ტყუილია.

ლუციო. ბერო, შენ ჩემსავით რას იცნობ მთავარს: მაგისთანა მუსუსი მეორე არ დადის ქვეყანაზე. **მთაპარი.** მაგისთვის, როცა იქნება, პასუხის გაცემა მოგიწევთ, ახლა მშვიდობით.

ლუციო. დაცადე, სად მიგჩქარება. მეც გამოგყვები. გინდა, კარგი რამეები გოხრა მთავარზე?

მთაპარი. რაც მითხარით, ისიც ძალიან ბევრია, ბატონო, თუ მართალი სიტყვით, და თუ მართალი არ არის — მაშინ ეგეც შეგი იყო.

ლუციო. ერთხელ გამოიძახა — ვილაც გოგოს შენგან ბავშვი გაუჩნდაო.

მთაპარი. მართლა გაუჩინეთ?

ლუციო. მაშ არა-და მაგრამ ფიცით შევაჭრე, არა-მეთქი, თორემ იმ დამალ მათულის ცოლად შემართავდნენ.

მთაპარი. თქვენთან საუბარი თავშესაქცევად იქნება კარგი იყოს, ბატონო, მაგრამ ვერაფერი პატიოსნებაა.

ლუციო. სინდისს გეფიცები, ვერ გაგიშვებ, უნდა გაგაცილო. უწმინდური ლაპარაკი თუ არ გსიამოვნებს, მეც ცოტას მოვუკლებ, ისე კი ბირკასავით ვარ, ბერო, არ მოგეშვები.

(გაღიან.)

აპრათი მეთხმა

ანჯელოს სახლი. შემოდიან ანჯელო და ესკალუსი. ისპალუსი. ყოველი მისი წერილი მეორეს ეწინააღმდეგება.

ანჯელო. თანაც საოცრად არეულადა და დაბნეულად წერს. გიჟის საქციელსა ჰგავს — ღმერთს შევსხხოვ, თავის ჭკუაზე იყოს და არა მოსვლოდეს რა! რაღა მაინცდამაინც კარიბჭესთან შევხვდეთ და იქ გადავბაროთ ძალაუფლება?!

ისპალუსი. მეც ვერა გამიგია რა.

ანჯელო. ან მისი ჩამოსვლის დრო ერთი საათია ადრე რატომ უნდა გამოვაცხადოთ: თუ ვინმეს რაიმე სარჩელი გაქვთ ჩვენს უსამართლობაზე, იქვე, ქუჩაში მოიტანეთო.

ისპალუსი. ავი მიწეზსაც ასახელებს: ბარემ ერთ-ბაშად განვიხილავ ყველა საჩივარს, რომ შემდეგ აღარავის ჰქონდეს უფლება, რაინე გიხიანკოო.

ანჯელო. ახლა ამას გოხოვთ, რომ საქვეყნოდ გამოაცხადოთ;

ხვალ დილით სახლში გამოვივლით. შეატყობინეთ დიდებულებსაც, კარიბჭესთან რომ შეხვდნენ მთავარს.

ისპალუსი. წყალო, ყველაფერს მოვგავარებ.

ანჯელო. მშვიდობის ღამე. (გაღის ესკალუსი).

ფიქრობ და თავგზა ამერია, გონი დამეშხო! ნამუსის ახლა ქალწულისთვის! და მერე ვისგან? თეო სახელმწიფოს მმართველისგან, ვინაც ამისთვის

სხვებს სჯის კანონით დაუნდობლად! რომ არ ჩაქვდეს ქალწულის კდემამოსილება, ხომ შეუძლია პირში დამადგეს და მამხილოს! თუმც ვერ გაბედავს — ისეთი ნდობით და პატივით ვარ მიღებული, რომ ჩემს ღირსებას ვერ შებღალავს ველარაფერი და თვით შეარცხვენს შემბღალველსა, ძმას არც მოვკლავდი,

იმისი შიში არ მქონოდა, რომ გულფიცს უმაწვილს წამოუფლიდა შურისგების უნის როდენსე, გაისხენება, რომ ნაძრახი სიცოცხლე თვისი სირცხვილის ფასად აქვს ნაყილი... ნეტა ეცოცხლა ვაგლახ, ღირსება-სათნოებას რომ დავიფიქვებთ, აღარც კი ვიცით, რა სჯობს, ანდა როგორ მოვიქცე (გაღიან.)

სურათი მესამე

მინდორი ქალაქგარეთ.

შემოდიან მთავარი და ბერი პეტრე.

მთაპარი. ეს წერილები, დრო რომ დადგეს, მაშინ მომეცა.

(გადასცემს წერილებს)

ჩვენი გემგები ციხის უფროსს გავანდე ყველა. გზას დავადექით და მას უნდა ბოლომდე მიჰყვე, თუმცა, საჭირო თუ გახდება, გაღვებვე კიდევ. ახლა წადი და ფლავიუსის სახლი მოძებნე, შეატყობინე სად ვიქნები. სხვებსაც მოუხმე — ვალენტინუსს, კრასუსს და როლანდს... მეტყუებიც მოიუყანონ მათ კარიბჭესთან. ილონდ ფლავიუსს სხვებზე ადრე უნდა მოვიდეს.

ბერი პეტრე. გავეშურები (გაღიან.)

(შემოდის ვარიუსი)

მთაპარი. ო, ვარიუს, დროზე მოხვედი.

ახლავე უნდა გავემართოთ. სხვა მეგობრებიც, ჩემო კეთილო ვარიუსო, შემოგვხვდებიან. (გაღიან.)

სურათი მეთხმა

ქუჩა ქალაქის კარიბჭის მახლობლად შემოდიან იზაბელა და მარინა

იზაბელა. სიცრუე მიმიძმს, მართალს უფრო ხალისით ვიტყვ

მაგრამ ბრალი თქვენ უნდა დასდოთ, ასე გვიჩივს, საქმისთვის ასე აჭობებსო.

მარინა. უნდა ვუსმინოთ.

იზაბელა. ესეც მირჩია: თუ ჩემს მიმართ ვინცობაა,

უხამსი რამე მოიგონა, არ გავიკვიროვ; რადგან წამალი, ასე მითხრა, თუმცა მწარეა, მაგრამ ბოლო ხომ ტკიბილი აქვსო.

მარინა. ნეტა ძმა პეტრე...

იზაბელა. ჩუ, ჩუმა! ავერ, ისიც მოდის (შემოდის ბერი პეტრე.)

ბერი პეტრე. აქა ყოფილხართ!

რა კარგია, რომ აქ დამიხვდით, ჩვენი მთავარი აქეთკენ ისე ვერ ჩიავისო, არ დაგინახოთ.

ორჭერ გაისმა საყვირის ხმა, დიდებულები უკვე მოაწუნდნენ კარიბჭესა, მთავარიც მალე იქ გამოჩნდება. გავეშუროთ, რაღას ვუდგვივართ!

(გაღიან.)

სურათი პირველი

მოვლანი ქალაქის კარიბჭესთან.

პირსაბურავიანი მარია, იზაბელა და ბერი პეტრე მოშორებით დგანან. მეორე მხრიდან შემოდიან მთავარი, საკუთარ ტანსაცმელში, ვარუსი, დიდებულუბი, ანჯელო, ესკალუსი, ლუციო, ციხის დარაჯი, გუშაგები და მოქალაქენი.

მთაპარი. (ანჯელოს) დიდად ღირსეულს ჩემს მოკეთეს, მოგესალმები. (ესკალუსს) ჩემო ერთგულო შეგობარო, ვხარობ, რომ გხვდავ. **ანჯელო და ესკალუსი.** ბედნიერ იყოს დაბრუნება თქვენი, ბატონო.

მთაპარი. ორივეს გწირავთ დიდ მადლობას. მე მოვივითებ და იმგვარ ქებით ახსენებენ თქვენს გამგებლობას, არ შეიძლება, საქვენოდ არ გითხრათ მადლობა, შემდეგ კი უფრო აღმატებულ ჭილღოს მოგიძღვებით. **ანჯელო.** მაგი თქვენ უფრო მეტს მვალებთ.

მთაპარი. ო, თქვენი ღვაწლი თავად მეტყველებს ხმაშუხარედ, და დავაშვებ, გულისგულში რომ ჩავიკეტო, არ გავაშუღავნო. ის იმსახურებს, სიიღნაშე ღრმად ამოტივიფროს, რათა გაუძლოს დროის კბილებს და დავიწყებას. ხელი მომეცით, დაე, ჩემმა ხალხმა იხილოს, გულში ჩამარხულ გრძნობებს როგორ აღერსით ვამხელ.

აბა, ესკალუს, მეორე მხრით შენ ამომიდექ, თქვენ ორივენი საიმედო ბურჯნი ხართ ჩემი. (ბერი პეტრე და იზაბელა წინ გამოვლენ).

ბერი პეტრე. შენი დროც დადგა — დაიჩოქე და ხმამალა სთქვი.

იზაბელა. დიდო მთავარო, სამართალს ვთხოვთ, გვეუდარებით,

მოწყალე თვალით გადმოხედოთ შურრაცხუბილოდ... ნებაკი ისევ შემედლოს თქმა — ქალწულსა-მეთქი. ო, ღირსეულო ხელმწიფეო, ჭერ ნუ მიაპყრობთ თვალებს სხვა საგნებს, ჭერ ჩემს ალალ გულიდან დაძრულს

ჩვილს უსმინეთ, ამას ვთხოვთ, და გამოჩინეთ მე სამართალი, სამართალი, ო, სამართალი!

მთაპარი. სთქვით, რა გაწუხებთ, რა შეგემთხვათ, ვინ გაწყენინათ.

მოკლედ გვითხარით. და ანჯელო განსჯის თქვენს საქმეს.

მას მოახსენეთ.

იზაბელა. ღირსეულო ხელმწიფეო ჩემო, თქვენ იხებთ, რომ ხსნა და შევლა ეშმაკსა ვთხოვო! არა, თქვენ თვითონ მომისმინეთ, და რასაც გიტყვით, თუ არ ირწმუნებთ, მსჯავრი დამდეთ, და თუ ირწმუნებთ,

მაშინ ღირსება აღმიდგინეთ, ვთხოვთ, მომისმინოთ, ახლავე, აქვე მომისმინოთ.

ანჯელო. ჩემო ბატონო, ვშიშობ, ეს ქალი გონებაზე ვერ უნდა იყოს... ვიციან, თავის ძმის შეწყალებას მთავრობდა, აი, სამსჯავრომ სიკვდილი რომ გადაუწყვიტა..

იზაბელა. სამსჯავრომია..

ანჯელო. მეტად მწარე, მეტად უცნაურ ლაპარაკს არის დაჩვეული.

იზაბელა. მეტად უცნაურს, მაგრამ თან მეტად მართალ ამბავს გეტყვით! **ბატონო!** ანჯელო ფიცის გამტეხია! არ გიკვიროთ განა? ანჯელო კაცის მკვლელი ვახლავთ! არ გიკვიროთ, განა? მოძალადე, მუსხსია, პირფერი, ქლესა! ეს უცნაურე უცნაურად არ წიგარჩნათ?

მთაპარი. რასაც თქვენ ამბობთ, ეს ათეცად უცნაურია.

იზაბელა. უცნაურია და ნამდვილი. ისევე როგორც მას ვხვდავ ახლა. მო, ათეცი სიმართლე ვახლავთ.

სიმართლე ხომ არ შეიცვლება, რაც უნდა თვალით! **მთაპარი.** საწყალს გონება შურეყვია; ვთხოვთ, წაიყვანოთ.

იზაბელა. ო, გევედრებით, ხელმწიფეო, თუკი გწამოთ მართლად,

რომ ამ ცხოვრების მიღმა კიდევ სხვა რაიმეც არის, ნუ მომიშორებთ — ნუ ირწმუნებთ, შეშლილი ვიყო, დაუჭერებელს ნუ მიიჩნევთ შეუძლებელად; შეუძლებელი რატომაა — ლაჩარი, ფლიდი თავს გვაჩვენებდეს წნეკითილად, მორცხვად, თავმდაბლად,

სწორედ ისევე, ვით ანჯელო. განა ანჯელო — პატივდებული ყველასაგან, მირონცხებული, ყოვლი დიდებით აღჭურვილი და შემოკობილი — უკიდურესი ნაძირალა არა ბრძანდება! მე დამერწმუნეთ, ხელმწიფეო, ნაძირალაზეც უარესია, მაგრამ სიტყვებს ვერა ვაოულობ მეტი სიკლახის აღსანიშნად.

მთაპარი. ფთვიც, ეს ქალი თუ შეშლილია, — არც მგონია, ასე არ იყოს, — ახირებული სიგიჟე სჭირს: რა დალაგებით ამახს აზრს აზრს; არ მსმენია მსგავსი სიგიჟე.

იზაბელა. ამ სიტყვას ნუღარ იმეორებთ, ღირსო მთავარო.

სიგიჟედ ნუ სთვლით, რაკი ის ვთქვი, რაც არ გამათ. სჯობს გამოჩნჩყოთ მოქცეული ბნელში სინათლე, და სიყალბე კი, აწ სიმართლედ გასაღებული, ბნელში დაშალოთ.

მთაპარი. ამნარი სალი გონებით ბევრი ჭანმრთელიც, დამერწმუნეთ, ვერ დაიკეხნის. მინც რას გეტყვით?

იზაბელა. მე ვახლავართ და კლავდიოსი, ვისაც ანჯელომ მიუსაჯა თავის მოკვთა მრუშობისათვის. მონასტერში, სადაც მე უნდა აღკვეცილიყავ მონაზვნად, ძმამ გამოგაჯენა ერთი ლუციო...

ლუციო. ის ლუციო, ღირსო მთავარო, თუ ნებას მომცემთ, მე ვახლავართ. და ძმამ მაგისმა მე დამაბარა — იზაბელამ იქნებ როგორმე ანჯელოს ჩემი შეწყალება გამოსთხოვოს.

იზაბელა. ეს ვახლავთ სწორედ **მთაპარი** (ლუციოს). ლაპარაკის ნება ვინ მოგცათ?!

ლუციო. არა, მაგრამ არც გაჩუქება უბრძანებიათ. **მთაპარი.** ახლა გიბრძანებთ, და ეს კარგად დაიმახსოვრეთ.

ხოლო როდესაც ლაპარაკის ჭერი მოვივათ, ღმერთსა შესთხოვეთ, სიტყვები არ გადაგვიწყუდეთ.

ლუციო. მაგისი დარდი ნუ გექნებათ.



მთაბარი. თქვენ ის ეცადეთ, სადარღებლად საქმე თავად არ გაიხადოთ. იზაბელა. ჩემი სათქმელი ზოგიერთი ამ კაცმა გითხრა...

ლუსიო. დიახ, სწორია. მთაბარი. ეს, იქნება, მართლაც სწორია, მაგრამ ენა რომ წინ გაგირბით, არ არის სწორი, — გისმენთ, განაგრძეთ.

იზაბელა. ავდეი და ამ არაშადას, გარეწარ ნაცვალს მივადექი. მთაბარი. მართლაც შეშლილის ლაპარაკსა ჰგავს.

იზაბელა. მაგრამ საქმის კარგად უხდება. მთაბარი. ეს კი სულ სხვაა! საქმისა? აბა, განაგრძეთ. იზაბელა. მოკლედ, — რომ ფუტი ლაპარაკი არ გამოვიდეს:

როგორ ვეხვეწე, ვემუდარე მუხლმოდრეკილმა, როგორ თავიდან მიშორებდა, მე კი კვლავ ვთხოვდი... ამას რომ მოვუყე, მეტისმეტად გამიგრძელდება, და ბილწი ამისი საპარცევიო ბოლოსდა გეტყვით, თუმცა კი მიმძიმს და მრცხვენია. უარზე იყო, თუ ჩემს უბიწო სხეულს მსხვერპლად არ შევწირავდი, რათა იმისი ავხორცული თინი დამეცხრო და ამით მესხნა საბრალო ძმა განსაცდელისგან. დიდხანს ვიდავეთ, მერე კი დღი გულმორწყალებამ ჩემზე ღირსება გადასწონა და დავმორჩილდი... მაგრამ როგორც კი ავხორცობის თინი მოიკლა, არ დააყოვნა, უთენია აფრინა კაცი და შეუთვალა, მოეწრაფათ სიცოცხლე ძმისთვის.

მთაბარი. თითქოს მართალია ჰგავს. იზაბელა. კი არა ჰგავს — მართალი გახლავთ. მთაბარი. ბერავო ქალო, არც კი იცით, რას ლაპარაკობთ!

იქნება ვინმემ, სიძულვილით გაულდაბოღმილმა, ღირსეულ კაცის შესახებლად გულმოყენა. ჭერ ერთი, ეკვით ვერ შეხდლავთ მის სხეტაკ სახელს; მეორეც: თუკი ცოდვისათვის სხვასა სჯის მკაცრად, თავად როგორღა ჩაიდენდა იმავე ცოდვას?! მართლა რომ იყო ცოდვიანი, ძმის დანაშაულს შეუფარდებდა საკუთარსა და არ დასჯიდა. ნამდვილად ვინმემ დაგარბათ, გიჭობთ, გამოტყდით, ვინ მოგაგზავნათ საჩივლელად?

იზაბელა. და სულ ეგ იყო?! მაშ, ზეცის ძალნო, მომთინებს ნუ გამომიღვეთ, და როცა ამის დრო დღდება, ეს ბორტდება, აქ თანაგრძნობის საბურველმა რომ გახვეულა, გამოამუღავნეთ.

(მთავარს) დაგიფაროთ ღმერთმა ავისგან, მე კი მივდივარ შერცხვენილი, გაწილიებული. მთაბარი. ვიცო, რომ წახვალთ, თუ გაგიშვებს! აბა გუშავო,

საპურობილში მიაბრძანე, როგორ იქნება, აქ ჩვენს ახლობელს ღაფში სვრიდნენ, ცილსა სწამებდნენ და ჩვენ კი ამის ნება მივცეთ! ეს ხრიკებია და საჭიროა გავარკვიოთ. სთქვით, ვინ იცოდა, აქ წამოივას რომ აპირებდით? იზაბელა. ნეტა აქ იყო ის კაცი ახლა! წმიდა ბერი ლოდოვიკოა.

მთაბარი. აბ, წმიდა ბერი? იცნობს ვინმე ჩემ ლოდოვიკოს? ლუსიო. მე ვცნობ, ბატონო. ერთი გიგუცხული არამეფობსა თქვენს

თავლში არ მომდის, სწორე გითხრათ. ბერი არ იყო, ვაზრიალებდი გემრიელად — რაც იმან თქვენზე თქვენს არყოფანში წამორთხა!

მთაბარი. კარგი მოძღვარი კი ყოფილა! ჩემზე თქვა რამე? ეს უბედური ქალიშვილი მან გამოგზავნა ჩვენი ნაცვალის სათათხავად. მოძებნეთ ბერი! ლუსიო. ეს ქალიშვილი მასთან ვნახე წუხელ ციხეში

ხებრე ბერია, გარეწარი. ბერი პეტრე. თქვენი წყალობა, აქვე ვიდეკი და მესმოდა, როგორ ბლაღავდნენ თქვენს მეფურს მენებს. ჭერ ერთი, რომ ამ ქალიშვილმა ტყუილუბრალოდ შეურაცხყო თქვენი ნაცვალი, ვინაც ისევე, როგორაც ყრმა, ჭერ არშობილი, არც შეხებია ამ ქალიშვილს, არ შეუღლაღავს.

მთაბარი. მჭერა. მითხარი, ხომ არ იცნობ ბერ ლოდოვიკოს? ბერი პეტრე. ვიცნობ, ბატონო, ვით ღვთისმოსავ და სხეტაკ კაცსა.

სულ ტყუილია, არამეფობს და ხებრე იყო, როგორც ადერ, ამ აწნაურმა თქვენ მოგახსენათ. გთხოვთ, დამერწმუნეთ, თავის ღღეში აუფის სიტყვა არ დასცდებოდა მას თქვენს მიმართ.

ლუსიო. დასცდა, ბატონო, მე დამერწმუნეთ. თანაც როგორ, რა გარეწრულად. ბერი პეტრე. თავად გაგვარკვევს ყველაფერში, როცა დრო მოვა;

ახლა წვეს სიცხით გათანგული; მან მოხოვა სწორედ — როცა გაიგო მთავრის ნაცვალს უჩივიანო — მოვსულეიყავი და მომეფორო მისი სახელით, ვინ მართალია და ვინ ტუთის. მზად ვარ, ამბობს, წმიდა ფიციოთ და საბუთიბით დავადასტურო. ამ ქალის საქმე ვნახოთ ჭერა.

(მარიანაზე მიუთითებს) კეთილშობილ კაცს — ასე უხეშად, უსამართლოდ შეურაცხყოფილს, — ბილწი ბრალდება რომ ჩამოგხსნათ, საჭირო არის აი, ეს ქალი ვამბილით ჭერ, და ვაიძულოთ, სუყველაფერი აღიაროს.

მთაბარი. კარგი, დავკითხოთ. (იზაბელა გუშაგებს გაკუცეთ. მარიანა წინ წამოდგება) არ გეცინებათ, ლორდ ანჯელო? რასა ჩმახვენ! იო, ზეცო, ბედკრულ ბრიუთა ამაოება! მესი მოგვართვით, თქვენც აქ მოდით, ჩემო ანჯელო. მე პირუთენელად მინდა ვიყო — არ ჩავერგეთ, თქვენვე განსაჯეთ თქვენი საქმე. ეს არის მოწმე? ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდეს, სახე გვაჩვენოს. მარიანა. ჩემო ხელმწიფე, მომიტყვეთ, მაგრამ ვიდრემდე

ქმარი არ მეტყვის, პირსაბურველს ვერ ჩამოვიხსნი. მთაბარი. გათხოვილი ხართ? მარიანა. გათხოვილი არ ვარ, ბატონო. მთაბარი. მაშ, ქალწული ხართ? მარიანა. არც ქალწული. მთაბარი. კვირევი ყოფილხართ. მარიანა. არა, ბატონო, არც კვირევი ვარ.

მთავარი. მაშ, არაფერი არა ხართ, არც ქალწული, არც ქვრივი, არც ცოლი?
ლუციო. როსკიანი ყოფილა — ეგენი ხომ არც ქალწულები არიან, არც ქვრივები და არცა ცოლები. მთავარი. ეგ ვაუბატონი გააჩუმეთ — მერცე მოუწევს დაქლაქი, თვის დასაცავად.
ლუციო. გავჩუმდები, ჩემო ბატონო.
მარინანა. გამოვტყდები, რომ არასოდეს არ

გავთხოვილვარ, არც ქალწული ვარ, ამჟამად უნდა გამოვტყდე. ქმართან ვწოლოვარ, მაგრამ ქმარმა თავად არ იცის, ოდესმე ჩემთან თუ წოლილა.

ლუციო. მთავარი. ნეტა თქვენც მთვრალი იყოთ — იქნებ მაშინ გაჩუმებულიყავით.
ლუციო. გავჩუმდები, ჩემო ბატონო.
მთავარი. ანჭვლოს ამით, ვერ გავიგე, რა დაუმოწმა!

მარინანა. ამას ახლავე მოგახსენებთ, ჩემო ბატონო. ეს ქალიშვილი, მრუშობაში რომ სდებს აქ ბრალსა, ამით ჩემს ქმარსაც, უსაფუძვლოდ, მრუშობას სწამებს; თან ამბობს, თითქოს იმ დროს იწვა ლოგინში მასთან, როცა მე თვითონ მეკრღვე შეყავდა მიხუტებული და მთელის გუნება-გატყებით თავად გეტრფოდი.

ანჯალო. მაშ, გამოდის, რომ სხვას სდებს ბრალსა! მარინანა. არა, სხვას არა.
მთავარი. ჩემი ქმარი, თქვენ არა სთქვით.
მარინანა. დიახ, ბატონო.

ვთქვი და ასეა — ჩემი ქმარი ანჯელო გახლავთ, თუმცა, ლოგინში რომ ვეწევი, ეს არც კი იცის, მაგას ჰგონია, იზაბელას სხეულით დასტება.

ანჯალო. ურცხვავდა ტყუის! აბა, ერთი სახე გვაჩვენე! მარინანა. რაკი ქმარს ნებავე, ჩამოვიხსნი ჩემს პირსაბურველს.

(პირსაბურველს მოიხსნის)
გულქვა ანჯელო, ამ სახეზე ფიცავდი ერთხელ, რა აღტანის ღირსიაო; ეს ხელი იყო, ხელში რომ გქონდა მოკცეული, აღთქმას რომ სდებდი; ამ სხეულმა კი იზაბელს საქმრო წარსტაცა, იქ, როცა დამით ბალის სახლში მოგვიწვა გვერდით, შენ კი გეგონა, სხვასთან იწევე.

მთავარი. სცნობს? აქალებს?
ლუციო. სცნობს?! ჩაბღუჭულიც კი ჰყოლია — ამ ქალმა არ თქვა!

მთავარი. არ გაჩუმდებით!
ლუციო. მორჩა, ხმასაც აღარ გავიღებ.
ანჯალო. ჩემო ბატონო, ვაღიარებ, რომ ვიცნობ ამ ქალს;

ხუთი წლის წინათ დანიშნულიც ვიყავით თითქმის, და ჭკარი უნდა დაგვეწერა ჩვენ ერთმანეთზე. მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა. ჭკრ ერთი, შიტომ, რომ ვეღარ მისცეს მას შწითევი შეპირებული; თან კი, — მთავარი, უნდა ვითხარათ, ეს არის სწორედ,

ქალმა სახელი გაიტება ქარაფშუტობით... არ შევხვედრებარ ერთხელაც ამ ხუთ წელიწადში, არ დამინახავს, ხმა მისი არ გამოიღონია... სინდისსა ვფიცავ, მართალს ვამბობ.
მარინანა. დიდო მთავარო,

როგორც სინათლე ციდან მოდის, სიტყვა —
სუნთქვიდან, აზრს სიმართლე ქმნის და სიმართლეს ქმნის
არსსაწინააღმდეგადად
გნებლითმანა
როგორც ეს არის უტყუარი ქვეშაობა, ისე, მერწმუნეთ, მე ამ კაცის ცოლი ვახლავართ — თუკი სიტყვები გამოხატავს აღთქმის სიწრფელს: წარსულ სამშაბათს, ხელმწიფეო, დამით, მის სახლში მე მან შემიცნო, როგორც ცოლი. თუ მართალს ვამბობ,

მაშინ წამოვდგე უფნებელი; და თუ ვცრუობდი, მაშინ ასევე დაჩოქილი დავრჩე მარადის, ვით მარმარილოს ქანდაკება.

ანჯალო. აქამდე მხოლოდ რეცინებოდა, ხელმწიფეო, ახლა კი ვატყობ, რომ მოთმინება აღარ მოუფინის და გვედერებით დავიწყეთ ჩემი სასამართლო. აშკარად ვხედავ, ამ თავხედ ქალებს სხვა, ძლიერი ხელი წარმართავს. ნება მომეცით, გავხსნა ბარემ ეს შეთქმულება.

მთავარი. სულით და გულით ნებას გრთავთ.
როგორც გენებოთ,

ისე დასაჩეთ თქვენ ეგენი. სულელო ბერო, შენც, უკეთურო დედაცაცო, იმ ქალბატონთან შეთანხმებული, ციხეში რომ გავგზავნეთ ახლა, ნეტა თუ ფიქრობთ, თქვენც ფიცით, — თუნდაც ზეციდან

ჩამოიყვანოთ სათითაოდ ყველა წმიდანი, — ამ ღირსეული კაცის მიმართ შეარყევთ რწმენას, ჩემივე ნაღობი განმტკიცებულს? ლორდა ესკალუს, თქვენი ჩემს მძას გვერდით მიუჭქით და შეეცადეთ, თქვენის კეთილის შემწეობით, გამოარკვიოთ, — ეს სიავკაცე რას ნიშნავს, ან საიდან მოდის. ამათ რომ ბერი აქეზებდა, ის აქ მომგვარეთ.
მარინანა. ნეტა აქ იყოს! ეს ქალები სწორედ რომ იმან

გახელდა და საჩივლელად გამოგაგზავნა. ციხის უფროსმა კარგად იცის, სადაც ბინდარობს, მას შეუძლია მოიყვანოს.

მთავარი. წადით, მომგვარეთ.
(ციხის უფროსი გადის.)

თქვენ კი, კარგო და საიმედო ძნობილო ჩემო, თავად განსაჩეთ ეს საქმე და შეურაცხყოფელი, რაც უმჯობესად მიიჩნით, ის მიუსაჩეთ. მე სულ ცოტა ხნით მიგატოვებთ. არსად წახვდით, სანამ საკადრისს მიუზღადვდეთ ცილისმწამებლებს.
მსპალუსი. საქმეს გულდასმით განვიხილავთ,

ჩემო ბატონო (მთავარი გადის). სინიორ ლუციო, მგონი, თქვენს სთქვით, ბერი ლოდოვიკო უპატონოსო კაცია!

ლუციო. Cucullus non fact monachum — მარტო ტანსაცმელი თუ აქვს პატროსანი კაცისა, სულ ლანძღა და თათბა მთავარი.

მსპალუსი. გთხოვთ, აქვე იყოთ, სანამ მოიყვანდნენ — პირში უნდა წაუდგეთ. საშეში კაცია, ეტყობა.

ლუციო. პატროსანი სიტყვას გაძღვეთ, მაგისტონა მერე არ იქნება მთელს ვენაში.

მსპალუსი. ერთხელ კიდევ მოიყვანეთ ის იზაბელა. — უნდა ვალაპარაკო (ერთ-ერთი გულშეგი გადის). ნება მომეცით, მე დავცნობო, ჩემო ბატონო, თქვენ თვითონ ნახავთ, როგორ მოვაქცევ.

ლუციო. რაც მაგან უქნა, იმაზე მეტს მაინც ვე-

რაფერს უშამთ — თვითონ ქალმა თქვა ასე.
მსპალუსი. რა ბრძანეთ?

ლუციო. მე ის მოგახსენეთ ბატონო, რომ ცალკე
გაიყვანდით, აჯობებს, ამდენ ხალხში შერცხვენას.

მსპალუსი. შავსა და ბნელ ღღეს დავაური.

ლუციო. ასე აჯობებს — ქალები უშადადის სიბნე-
ლში უფრო ამსუბუქდებიან ხოლმე.

(შემოდინ გუშავი და იზაბელა)

მსპალუსი. (იზაბელას). აქეთ მობრძანდით, ქალბა-
ტონო. ეს ქალი ყველაფერს უარყოფს, რაც თქვენ აქა-
ბრძანეთ.

ლუციო. ეგერ, ბატონო, ის არამზადაც, მე რომ
გუუბნებოდით. ციხის უფროსს მოჰყავს.

მსპალუსი. კარგ დროს მოიყვანეს. სანამ ჩვენ არ
გეტყვით, ნუ გამოვლაპარაკებო.

ლუციო. ჩუმად ვარ.

(შემოდინ ბერად გადაცმული მთავარი და ცი-
ხის უფროსი.)

მსპალუსი. აბა, მიპასუხეთ: თქვენ დაავადეთ ამ
ქალებს,

ბატონი ანჭილარს წინააღმდეგ ჰორები შეეთითხნათ?
ამთ უკვე აღიარეს, რომ თქვენი მოწყობილია.

მთაპარი. ტყუილია.

მსპალუსი. რა ამბავია! არ იცით, სად იმყოფებით?

მთაპარი. თქვენ დიდ სამყოფელს პატრისა ვცემ.
ზოგჯერ ეშმაკსაც

პატრე დასდონ ცეცხლოვანი ტახტისა ხათრით.

მე მთავარს ვებძე — თურმე ჩემთან სურს ლაპარაკი.

მსპალუსი. ჩვენა ვცვლით მთავარს — ლაპარაკი-
კიც, ჩვენთან მოგიწევთ.

ო, საბრალონო! ბატკანს ეძებთ თქვენ მეღლისთან?
მშვიდობით იუავ, სამართალო არც მთავარია,

და თქვენი საქმეც წასულია. უსამართლობა
გამოუვიდა ღთავარს, როცა თქვენი სარჩელი

გადაულოცა განსახელად იმავ გარეწარს,
ვისაც უჩივით ახლა თქვენვე.

ლუციო. აბა, ეს არის,

ეს არის სწორედ, რომ ვითხარით, ის არამზადა.

მსპალუსი. ჰოი, უღირსო და ურწმუნო, ცოდვილო
ბერო!

ის არ გეყოფა, ეს ქალები რომ გაახელი
ამ ღირსეული კაცის მიმართ? ახლა მომდგარხარ
და პირში ახლი უხიცხვილოდ გარეწარო.
მერე მთავარსაც გადასწვდი და უსამართლობა
დასწამე ცილა! შეიპყრით და წაიყვანეთ!
გაწამებთ, ასო-ასო დაგგლეჯთ! ოღონდ გავიგოთ,
რა ზრახვები აქვს. „უსამართლო!“

მთაპარი. ნუ გაცხარდებით!

თქვენი მთავარი თითხაც ოღნავ ვერ დამაყარებს
და ვერც მაწამებს — საკუთარ თავს აწამებს უშამლ:

მე ქვეშევრდომი არ ვარ მისი, სხვა ქვეყნელი ვარ,
ვენაში ზოგჯერ საქმეზე თუ ჩამოვალ ხოლმე

და ხშირად ვხედავ — გარყვნილება როგორ
თუხუთუხებს,

როგორ გადაღის ყველა საზღვარს. ყველა ცოდვა-
ბრალს

მიყენებული აქვს კანონი, მაგრამ რად გინდა
ცოდვებს თავადვე აქეზებენ და კანონებზე
ვით ჭარბიშებს გრძელი სია სადალაქოში,
ისე ჰკიდა, მთელი ქვეყნის უზადსადედად.

მსპალუსი. მთავრობას ლანძღავს! წააბრძანეთ
ციხეში ჩქარა!

ანჯალო. ლუციო, ეს ხომ ის კაცია, შენ რომ
ამბობდი!

აბა, გვითხარი — რა მოჩამხა, რა დააშავა?
ლუციო. ეს გახლავთ, ჩემო ბატონო. — ერთი აქვს
მობრძანდით, ქაჩალო, მე ვერა მცნობთ?

მთაპარი. ხმაზე გიცანით, ბატონო — ციხეში არ
შეგხვდით მთავრის აქ არყოფნაში!

ლუციო. აჰ, ასე კარგად დავამახსოვრდით? მაშ,
ისიც გეხსომებთ, მთავარზე რეებს ბრძანდებით.

მთაპარი. ძალიან კარგად მახსოვს, ბატონო.

ლუციო. აჰ, გახსოვს, არა! მთავარი ავხორცილო,
სულელიაო, ლაჩარიაო — ასე არ ბრძანეთ?

მთაპარი. მაშინ როლები უნდა შევიცვალოთ, ბა-
ტონო — ეს სულ თქვენი სიტყვებია. ესეც და სხვაც
ბევრი უარესი და უარესი.

ლუციო. აი, შე დაწყველილო ბერო! მაგ სიტყვე-
ბისთვის არ იყო, ცხვირი კინაღამ რომ მოგაგლოჭე!

მთაპარი. ტყუი! მთავარი საკუთარი თავივით
მიყვარს.

ანჯალო. ამ არამზადს ვერ უყურებ, როგორ ერ-
თაზად მოკეტა! თითქმის არც ეთქვას ის ღვთის-
მგომბი სიტყვები.

მსპალუსი. ამისთანა კაცს ლაპარაკი არც უნდა
გაუბა! ახლავთ ციხეში წააბრძანეთ! — სადაა ციხის უფ-
როსი? ციხეში ჩქარა! ბორკილები დაადეთ. ხმა ჩაა-
წყვეტინეთ. ეს კახებიც მაგას მიაყოლეთ თვითონი
ავან-ჩავანით.

მთაპარი (ციხის უფროსს). დამაცადეთ, ჭერ და-
მაცადეთ!

ანჯალო. ხედავ, ეურჩება კიდევ!.. ლუციო, მი-
ეშველეთ.

ლუციო. აბა, წავედით, ბატონო, წავედით. აბა,
ჰე! აი, შე ქაჩალო! შე ქლესა არამზადა! რას შევუთ-
ნულხარ, ჰა? რატომ არ გვაჩვენებ შენს თაღლით მი-
ფათს, ათაშანგიან სიფათს?! გამოჩინე ეს შენი ავაჯაი
სახე და გასწი — ერთ საათში ჩამოგხრჩობენ! აჰ, არა
გნებავს წახვლა?!

(დეაქაგურება და უცებ კაპიუშონს მოაგლეჯს,
მთავარი გამოჩნდება.)

მთაპარი. შენ ხარ პირველი ჰრამზადა, რომელმაც
შემლო

უცებ მთავარი გაეჩინა! ციხის უფროსო,
ამ სამ ღირსეულ ადამიანს მე უთავადედებ.

(ლუციოს)

საით, ყმაწვილო, სად მიძვრებით, თქვენთან სიტყვა
აქვს

იმ ბერს სათქმელი. — აქა გყავდეთ, არსად გაუშვაო.
ლუციო. ჩამოხრჩობაზე უარესი რაღაცა მეღის.

მთაპარი (ესკალუსს). რაც ახლა ბრძანეთ, შემიწ-
დვია, აქვე დაქვით.

მე კი სჯამს, აგერ, ეს დამითმობს. თქვენ, ვეზბატონო, (ანჭელოს)

რამ უნდა გიხსნათ — სიტყვამ, ჭკუამ თუ უტფრობამ?

თუკი რისიმე იმედი გაქვთ, გვიხსნათ, ბარემ, ვიდრემდე ფარდა უკვლავისთვის არ ამიხდია, მერე მშვიდობით.

ანჯელო. ო, მრისხანე ხელმწიფე, ჩემო, მე ვიქნებოდი ჩემს ცოდვებზე მეტად შემცოდე, თავის დაფარვის იმედი რომ კვლავ შემჩინონდა, რაკილა მხვებდი ჩასწვდომიხართ ღვთიური თვალით, უკვლა ჩემს საქმეს. ამიტომაც გემუდარებით, ჩემი შერცხვენის სასამართლოს ნულარ გასკიმავეთ, ეკმარეთ ჩემი აღსარება და მომიხსვეთ სიკვდილი ბარემ, სხვა წუალობას მე აღარა გთხოვთ. მითაპარო. აქეთ მობრძანდით, მარიანა, სთქვი, შენ ამ ქალთან

იყავ როდისმე დანიშნული? ანჯელო. დიახ, ბატონო.

მითაპარო. მაშინ წადით და დაქორწინდით დაუყოვნებლივ. წმიდაო მამა, გააქვეით და ჭვარი დასწერეთ; როცა მორჩებით, ეგენიც თან წამოიყვანეთ. ციხის უფროსო, თქვენც გააქვეით. (გაღიან ანჭელო, მარიანა, ბერი პეტრე და ციხის უფროსი.)

მსპალუსი. ჩემო, ბატონო, უსინდისობა ანჭელოსი უფრო მაკვირვებს, ვიდრემდე მთელი ამ ამბავის უცნაურობა.

მითაპარო. აქეთ მობრძანდით, იზაბელა. ის თქვენი ბერი ხომ ზედავთ, ნთავრად დადაგეცათ. როგორც აქამდე უსაიადუმლე და მრჩეველი ვიყავი თქვენი, — ტანსაცმლის შეცვლა გულს არ შეცვლის, — ამის შემდეგაც

თქვენს რწმუნებულად დამეცაღვლით. იზაბელა. ო, მომიტყვეთ, რომ ჭკვეფრომმა მბრძანებელი ვერ შეგიციანთ და უნებურად შეგაწუხებთ.

მითაპარო. შენდობილი ხართ, და თქვენც ასევე შენდობას გთხოვთ, ჩემო

ძვირფასო. ძმის სიკვდილი რომ გულს გიწურავთ, ვანა არ ვიცი. და ძალიანაც გიკვირთ აღბათ, ასე შეფარვით რად ვცოდვილობდი იმის დასწახს, როცა შემეძლო, გამოემჩინა დაფარული ძალაუფლება და განჩინებას ერთბაშადვე წინაღვედგამოდო. საქმე ის არის, ჩემო კარგო, რომ არ ველოდი, სიკვდილით დასჯას ამგვარად თუ დაჩქარებდნენ, და განჯარახულის შესრულება ვერ მოვასწარი. ღმერთმა უღბნოსო. იქ სიცოცხლე ამქვეყნიურს სჯობს. სიკვდილის აღარ ეშინიათ. აქ კი ცოცხლობ და სიკვდილის შიში არ გშორდება. ის ნეტარია და ნუგეშადაც ესა გქონდით.

იზაბელა. ვიცი, ბატონო. (შემოდიან ანჭელო, მარიანა, ბერი პეტრე და ციხის უფროსი.)

მითაპარო. რაც შეიხება ამ კაცს, ახალდაქორწინებულს, გულისთქმას რომ ვერ მოერიბა და შეურაცხგყოთ,

ეს შეცოდება მარიანას ხატობით შეუნდით... მაგრამ რაკილა ძმა სიკვდილით მან დაჯიჯაჷთ, ორმაგადაც კი შემცოდით — ჯერ ერთი, ხელყო უმანკოება, და მეორეც — სიტყვა გატენს რომ მსხვერპლის ფასად მძას სიცოცხლეს არ წაართმევდა.

უკვლავ უფრო გულმორწყალე და ლმობიერი კანონიც ამას მოგვიწოდებს: „კლავდიოსათვის მას მიეზღოს; სიკვდილის წილ სიკვდილი მხოლოდ“. ვინაც იჩქაროს, სიჩქარითვე იმას მიეგოს, ავი სიუვარულს სიუვარულით უპასუხებენ; „საწყაულის წილ საწყაული“ ისევ და ისევ. შენი ცოდვები გამომუდავნდა, ვეღარ უარყოფ და თავს მოგკვეთენ შენ, ანჭელო, იმავე კუნძზე, რაიც კლავდიოს გაუმზადე; ინავ სისწრაფით. მოკვეთეთ თავი!

მარიანა. გულმორწყალე ხელმწიფე ჩემო, ქმარს რომ მაძღვედით, ნუთუ მხოლოდ დაცივნა იყო? მითაპარო. თვით დაცვიონდათ, როცა თქვენი ქმარს ხდებოდა

მე გადავწყვიტე, აღგიდგინოთ ამ ქორწინებით ღირსება თქვენი. ვიცოდი, რომ მისგან გალანძღულს გამწარებული გექნებოდათ მთელი ცხოვრება, მის დაგახოზბდით ურვედგარი სიკეთისაკენ. მისი ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის წესით, მაგრამ ამჟამად — ვით მაგუს თქვივს — თქვენ მოგაუტოვნებთ.

იმით შეიძენთ უკეთეს ქმარს. მარიანა. ჩემო ხელმწიფე, სხვას მე რას ვათნევ, უკეთესი რაში მჭირდება? მითაპარო. ნუ, ნულარა მოხოვო, მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი.

მარიანა. სათნო მთავარო... (დაიჩქებს). მითაპარო. თავს ამაოდ ნუ შეიწუხებთ. ეს წაიყვანეთ და დასაჯეთ. (ლუციოს). წინ წამოდექით.

მარიანა. ო, ხელმწიფეო... იზაბელა, ჩემო ძვირფასო,

შენც მოიღრიკე ჩემთან ერთად მუხლი ედრებოთ და მიმსახურე მერე თუნდა მთელი სიცოცხლე. მითაპარო. თქვენი ვიდრება საღ გონებას არ ეგუება —

ვისთვისა მთხოვს შეწყალება მუხლმორდრიკლმა? აჩრდილი ძმისა ხომ წამოღდა ქვის საწლილიან და მოაკვიფნა შესაზარად!

მარიანა. ო, იზაბელა, ჩემო ძვირფასო იზაბელა, შენც დაიჩქე, ხელი აღაპყო და თუ ვინდა, ნურას იუზნებ, სათქმელს მე ვიტყვი. ხომ ამბობენ ქვეყნის რჩელნი შეცოდებებზე იზრდებიან, მცირე ცოდვების ხშირადა ქმნიან გამორჩეულ ადამიანთო — ექნებ ჩემს ქმარსაც ეს ბედი აქვს. ო, იზაბელა, მუხლს არ მოიყრი ჩემი ხატობით?

მითაპარო. კლავდიოს მკვლელი თავად მოკვდება.

იზაბელა (მუხლზე დაეშეება). ისე განსაჯეთ თქვენ ეს კაცი, თითქოს ჩემი ძმა ცოცხალი იყოს. მეჩვენება, რომ სულ პირველია. სანამ მნახავდა, ის საქმეებს გულის სიწრფელით და მართლად სჯიდა. ამიტომაც დე, ნუ მოკვდება. ჩემმა ძმამ ცოდვა ჩაიღინა და მართებულად

მიეწოდო კიდევ — იგი მოკვდა შეტოდებისთვის. ხოლო ანჯელო...

მან ხომ თავისი ავი ზრახვა ვერ შეასრულა, გზაშივე მოკვდა ის განზრახვა; და, გზაშივე განზრახვადვე დაიშარხოს. ზრახვა გულისა ფიქრია მხოლოდ, აღსრულება თუ არ ელისა. მარტინაბ. მხოლოდლა ფიქრი, ხელმწიფეო.

მთაპარი. ამაოლა მთხოვო.
ქარა, ადექო. გამახხენდა უცებ სხვა ცოდაც. ციხის უფროსო — აბა, ერთი მითხარ, კლავდიო უჩვეულო დროს რად დასაჯე?

ციხის უფროსი. ასე მიზარქანეს.
მთაპარი. ასე მოგწერეს საგანგებოდ?
ციხის უფროსი. არა, ბატონო,

შიკრიკის პირით მაუწყა ეს.
მთაპარი. სწორედ ამიტომ

დამითხოვინარ. ჩამაბარე გასაღებები.
ციხის უფროსი. ჩემო ბატონო, მომიტყვეო. მეც

არ იუოს-მითქი ეს შეტდომა, და ვერ გავბედე. მერე გამიხდა სანანებლად, და ამას კიდევ დავდასტურებ: სხვისი დასჯაც შემომითავლეს, და არ დავსაჯე.

მთაპარი. ვისი დასჯა?
ციხის უფროსი. ერთი ვილაცა ბერნერდინია, ციხეში მყავს.

მთაპარი. ნეტა კლავდიოც არ დაგესაჯათ, აქ მომგვართ ის ბერნერდინი.
(ციხის უფროსი გაღის.)

მსპაღმსი. ო, როგორა მწყინს, რომ თქვენწაირსა განათლებულსა და ბრძენს, ანჯელო, მოგივიდათ ასეთი მარცხი — ჭერ გულისთქმას ვერ მოერიეთ, ხოლო მას შემდეგ არ აღმოგჩანდათ გონიერული განსჯის უნარი.

ანჯელო. მე იმას ვწუხვარ, რომ ეს წყენა თქვენ მოგაყენეთ,

და მონაწიე გულში ისე ღრმად მაქვს გამჭდარი, რომ შეწყულებას არ ვინატრი, სიკვდილსა ვნატრობ — დავიმსახურე სიკვდილი და მოვიზიხოვ კიდევ.

(შემოდან ციხის უფროსი, ბერნერდინი, მოსასხამში გახვეული კლავდიო და ჯულიეტა.)
მთაპარი. რომელი არის ბერნერდინი?
ციხის უფროსი. აი, ეს გახლავთ.

მთაპარი. მაგის ამბავი ერთმა ბერმა მიაბმო უკვე. შენ იმწარი უხიაკი სული ბქონია, რომ ვეღარაფერს ვეღარ ხედავ ამ ქვეყნის მიღმა, ამწარადვე მოგიწყვია შენი ცხოვრებაც. შენ სასჯელი გაქვს დადებული, მაგრამ შეგინდობ ამქვეყნიურს ცოდვას ყველას. გამოიყენე ეს მოწყალება, რომ უკეთეს ცხოვრებას შეხვდე. ბერო, დამოძღვრე. შენ გაბარებ. ეს ვინლა არის, რომ შეფთხოულა?

ციხის უფროსი. ესეც ერთი ტუსადი გახლავთ, სიკვდილიმისჯილი კლავდიოსებრ, მაგრამ დავიხსენ, კლავდიოსა ჰგავს — გეგონება მას შევყურებო.

(საბურველს მოსხნის კლავდოსი)
მთაპარი (იზაბელას). თუ თქვენს ძმასა ჰგავს, მისი ხატოთი ვათავისუფლებ.

თქვენ კი ხელსა გთხოვთ, აღმიტყვათ, რომ ჩემი გახლებით,

ეს კაცი ჩემი ძმა იქნება. თუმცა ეს შემდეგ... ანჯელომ ცოტა შეება იგრძნო: ხედავ, თვალები რა სიხარულით გაუბრწყინდა! აბა, ანჯელო, ცოლდები შენი სასიკეთოდ შემოგობრულდ. გულთი გიყვარდეს შენი ცოლი, მისი ღირსება წონას შემპატებს შენს ღირსებას. გულსა სწადიან, ყველა აქ მყოფს შეუნდოს ცოდვა, თუმცა ერთს მაინც ვერ შეუუნდობ ვერასილებით.

(ლუციო)
მაშ, მე გიუი ვარ, ვუბატონო, ავხორცი, მრუში, ლაჩარი, ვირი, დამთხვეული? ასე რომ მამკობ, მითხარი მაინც, რით ვიმსახურებ?
ლუციო. დამერწმუნეთ, ჩემო ხელმწიფევე, ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. თუ ამისთვის ჩამომხარჩობთ, თქვენი ნებაა, რა გაეწყობა. მე კი იმას ვინატრებდი, მარტო გავწყებლა გენებებიათ ჩემი.

მთაპარი. მაშ, ჯერ გავწყებლავ და ძელზე კი მერე

დაგვიდებ ციხის უფროსო, მთელს ქალაქში გამოაცხადე: თუ აღმოჩნდება ქალი ვინმე, ამა გარყვნილი ვაუბატონისგან ცთუნებული — ვიცი იქნება, თვითონვე მითხარა, ერთ ქალს ბავშვი გაუჭინეო — ჩვენთან მოვიდეს უსათუოდ, რომ ცოლად შევრო, მერე გავწყებლავ ჯარად ამ მრუშს და ჩამოვახრჩობ. ლუციო. თქვენო ბრწყინვალეებავ, გემულდარებით, ქუჩის ქალს ნუ შერთავთ. აკი თქვენ თვითონვე ბრძანეთ — მითვრად მაქციეო! ნუთუ იმით ვაღამიხდით, რომ თავზე რქებს დამადგამთ?
მთაპარი. სიტყვას არ გავტებ, ცოლად შევრთავ, სინიღისს ვფიცავ.

მერე კორებიც შემინდვია, სხვა ცოლდა-ბრალიც. ახლა ციხეში წააბრძანეთ. რაც ვთქვი, შესრულდეს! ლუციო. ჩემო ხელმწიფევე, როსკიას შერთვა ხომ იგევა — მომკლათ, გამწყებლოთ, ჩამომხარჩოთ.

მთაპარი. ვინაც ხელმწიფის ცილს დასწამებს, ახია მასზე.

(გადიან გუშაგები და ლუციო.)
ამ ქალს, კლავდიო, შელახული თქვენგან სახელი კვლავ აღუდგინეთ. მარინა, ნუ მოგკლებოდე თქვენ სიხარული, შეიყვარეთ იგი, ანჯელო, ვიცი, როგორი ქალიც არის — ვით თავის მოძღვარს, აღსარება ხომ მე გამანდო. ჩემო ესკალუს, შენი უსაზღვრო სიყვითისთვის მადლობელი ვარ და შევეცდები, აგამაღლო ღირსების დარად. ციხის უფროსო, შენაც გმადლობ ერთგულებისთვის, უფრო ღირსეულ სამსახურსაც ელოდე მალე. უნდა შეუნდო, ანჯელო, რომ კლავდიოს ნაცვლად შენ რაგოზელის მოკვეთილი თავი მოგართვა — ასეთი ცოდვა თავისთავად შენდობილია. ჩემო ძვირფასო იზაბელა, როცა გაგანდე სურვილი ჩემი, შენთვის მსურდა მხოლოდლა კარგი, და თუ მოისმენ შენ ამ სურვილს კეთილი უურით, რაც კი რამა მაქვს, შენიც არის, შენი — ჩემია. ახლა გავსწოთ სასახლეში, იქ გეტყვით ყველას, რაიც აქამდე არ მითქვამს და მსურს კი გამხელა.

(გადიან.)
თარგმანი ვახტანგ ზედიძისა